პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია თოიძე

წევრები

მარიამ აბელიანი

თამილა გრძელიშვილი

ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ,,თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში" ვიზიტის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის №ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: თოიძე მაია (ჯგუფის თავმჯდომარე) და წევრები: მარიამ აბელიანი (პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), ნანა ვერულაშვილი (დარგის ექსპერტი) და თამილა გრძელიშვილი (დარგის ექსპერტი), განახორციელა შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტი (მის: საქართველო, ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას №7) განხორციელდა 2022 წლის 16-18 ნოემბრის პერიოდში. მათ შორის, დარგის ექსპერტები ვიზიტზე იმყოფებოდნენ მხოლოდ 18 ნოემბერს.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ 2022 წლის 23 სექტემბრის №00007113 კორესპონდენციით წარმოდგენილი თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. ასევე, შესწავლილი იქნა ხარვეზის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრული პაკეტი და ვიზიტის ბრძანების გაცნობიდან 5 დღის პერიოდში, 2022 წლის 29 ოქტომბრის №00010050 კორესპონდენციით, ცენტრში წარდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის განახლებული ვერსია, რომელშიც აისახა ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა: რეავტორიზაციის მიზნებისათვის გამოთხოვილი და შესწავლილი იქნა შესაბამისი მექანიზმების რეალურად არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები; დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, როგორც ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის შეფასების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,საექთნო განათლება“ და ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით; განხორციელდა ვიზიტი პარტნიორი კომპანიების ბაზებზე. კერძოდ, შპს ,,ავერსი ფარმას“ ქსელის №30 აფთიაქში, ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში. შედგა ინტერვიუ კოლეჯის დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის ყოველი დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გასცა უკუკავშირი ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების შედეგებთან მიმართებაში. ცალკეულ იდენტიფიცირებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ვიზიტის დღეებშივე მოახდინა რეაგირება და წარმოადგინა შესაბამისი უზრუნველყოფის მტკიცებულებები, რაც გათვალისწინებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დეტალური ინფორმაცია ასახულია დასკვნაში და მტკიცებულებები წარმოდგენილია დანართების სახით.

წარმოების ფარგლებში, ხარვეზი არ გამოვლენილა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 08 დეკემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა დასკვნის პროექტი, რომლის მიხედვით გაცემული იქნა ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის რეკომენდაცია მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით (ინდიკატორი- 5.1.2 (3)), ორი შესაბამისობის რეკომენდაცია ,,ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამასთან (ინდიკატორები: 2.2. 1 (1) და 2.4. 2 (2)) და ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია ,,საექთნო განათლების“ (ინდიკატორ - (2.4. 2 (2)) პროგრამასთან მიმართებაში.

ასევე, გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაციები (7 რეკომენდაცია პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით და 5-5 რეკომენდაცია ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით ,,ფარმაციისა (სააფთიაქო) და ,,საექთნო განათლების“ პროგრამების შეფასებისას).

მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში გაცემული იყო შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია

5.1.2 (3)- დაწესებულებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ეძლევათ რეკომენდაცია, დამტკიცებული შესაბამისობის გეგმის მიხედვით, განსაზღვრულ ვადებში (დეკემბერი, 2022 წელი) უზრუნველყოს ინდიკატორთან შესაბამისობა.

5.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ , თუმცა მეხუთე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“.

,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამასთან მიმართებით მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის ფარგლებში (ინდიკატორი - **2.2.1. (1)) გაცემული იყო შემდეგი შესაბამისობის რეკომენდაცია** - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მატერიალური რესურსით და დაწესებულებამ უზრუნველყოს დამტკიცებული შესაბამისობისა გეგმის მიხედვით, შესყიდვების პროცესი დასრულება 2022 წლის დეკემბერში.

2022 წლის 27 დეკემბერს შპს ,,პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ № 00012665 კორესპონდენციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სასწავლებელი ეთანხმება ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტში ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერას და წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის დამადასტურებელი მტკიცებულებები: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 26 დეკემბრის MIA 2 22 03651701 წერილი, რომლის თანახმად სამსახურმა შეითანხმა შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და ,,ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით მატერიალური რესურსების შესყიდვების პროცედურების დასრულების მტკიცებულებები.

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა დაწესებულების მეხუთე სტანდარტთან და ,,ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის მეორე სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, რომლის მიხედვით დაგეგმილი აქტივობები უნდა დასრულებულიყო 2022 წლის დეკემბერში (4 თვის პერიოდში) (დეტალურად ინფორმაცია იხილეთ სტანდარტების შეფასების აღწერილობით ნაწილში). იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა და გაითვალისწინა შესაბამისობების გეგმა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უკვე მათი შესრულების მტკიცებულებების შესწავლა, რადგან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა გავიდა.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულებამ დააკმაყოფილა 5.1.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა- დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება'. სტანდარტის შეფასება არ იცვლება, ისედაც შეფასებული იყო როგორც ,,შეესაბამება".

<u>დადგინდა, რომ ,,ფარმაციის (სააფთიაქო)" პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულებამ სრულად შეისყიდა პროგრამისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიცვალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ..ფარმაცია (სააფთიაქო)" შეფასება 2.2 კომპონენტთან მიმართებით და შეფასდა როგორც ,,შეესაბამება". შესაბამისად შეიცვალა პროგრამის საბოლოო შეფასება და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამა შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☒	☐	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5)მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ გამოვლენილა.

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ბოლო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელებული იყო 3 წლის წინ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისა და .პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №188; 17.09.2019).

პროგრამები შეფასებულია და რეკომენდაციები გაცემულია ძველი სტანდარტების მიხედვით. შესაბამისად, ამ ეტაპზე მათი შესრულების აღწერა და შეფასება არარელევანტურია.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია

საექთნო განათლება

2.4. 2 (2) - დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მის შესაბამისად დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება 2023 წლის 15 მარტისათვის (5,5 თვე). ექსპერტები აღნიშნულ კომპონენტს აფასებენ როგორც მეტწილად შესაბამის და იძლევიან შესაბამისობის რეკომენდაციას, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესისა და პროცედურის შესაბამისად, ,,საექთნო განათლების“ პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესის წარმართვა და დადგენილ ვადაში დასრულება (დეტალური ინფორმაცია იხილეთ კომპონენტის აღწერაში).

ფარმაცია (სააფთიაქო)

2. 4. 2 (2) - დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მის შესაბამისად დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე). ექსპერტები აღნიშნულ კომპონენტს აფასებენ როგორც მეტწილად შესაბამისს და იძლევიან შესაბამისობის რეკომენდაციას, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესისა და პროცედურის შესაბამისად, ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესის წარმართვა და დადგენილ ვადაში დასრულება (დეტალური ინფორმაცია იხილეთ კომპონენტის აღწერაში).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაციები

პირველი სტანდარტი

1.2.1 (1) - სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის სწორად წარმართვის მიზნით, რეკომენდებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის ფარგლებში განისაზღვროს, რომ დაწესებულება ვალდებულია, სტრატეგიული ან/და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა თუ გადახედვის მიზნებისათვის სამუშაო ჯგუფის წევრებს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი ანალიზისათვის შერჩეულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდთან დაკავშირებით (SWOT, PESTLE, GAP მეთოდოლოგები) (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

1.2.1 (1) - დაწესებულების საქმიანობის მოქნილობისა და სწორად დაგეგმვის მიზნით, რეკომენდებულია რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება და კალენდარული წლის ფინანსური დაგეგმარება წარიმართოს პარალელურ რეჟიმში და სამოქმედო გეგმა მოიცავდეს არა ე.წ სასწავლო წლის პერიოდს, არამედ კალენდარულ წელს (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

1.2.1 (3) - რეკომენდებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესრულების ინდიკატორები იყოს სტატისტიკურად გაზომვადი და მიღწევის მაჩვენებელი (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

1.2.1 (3) - რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში არ იყოს შეტანილი ისეთი ოპერაციული საქმიანობები, რაც სისტემატურად ხორციელდება და შესაბამისად გეგმაში კონკრეტული შესრულების პერიოდი ვერ განისაზღვრება (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

მესამე სტანდარტი

3.2.1 (5) რეკომენდებულია, რომ უკუკავშირის მიღების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარები შემუშავდეს იმგვარად, რომ გამოკითხვის შედეგი აფასებდეს ავტორიზაციის სტანდარტების სხვადასხვა კომპონენტის კონკრეტული ინდიკატორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დაკმაყოფილების საკითხს და კვლევის შედეგების ანალიზიც წარმოდგენილი იქნას ავტორიზაციის კონკრეტული სტანდარტის კონკრეტულ ინდიკატორის შეფასების სახით (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

მეოთხე სტანდარტი

4.1. 2 (1) - რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს შინაგანაწესში არსებულ ჩანაწერს ადმინისტრაციული პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით და ნაცვლად წლიური დატვირთვის მაქსიმალური ზღვარისა დაადგინოს ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი, რათა არ შეფერხდეს პერსონალის ძირითადი საქმიანობის განხორციელება (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

მეხუთე სტანდარტი

5.2.2 (2) - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში (eflow) ჩართოს თანამშრომლების მაქსიმალური ოდენობა (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

განმავითარებელი რეკომენდაციები - მე-2 სტანდარტი (საექთნო განათლება)

2. 1.1 (1) - რეკომენდებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური და სამართლებრივი მიზანშეწონილობის ასპექტები.

2.1.1 (8) - იმის გათვალისწინებით, რომ ფარმაციისა და საექთნო განათლების პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლობენ ერთსა და იმავე ჯგუფში, რეკომენდებულია ,,საექთნო განათლებისა“ და ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამების ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ენის მოდულების (,ქართული ენა A 2"; ,,ქართული ენა B 1") სასწავლო გეგმები იყოს ერთგვაროვანი. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული ორი პროგრამის ,ქართული ენა A 2" ,,ქართული ენა B 1" მოდულების სასწავლო გეგმები მოიყვანოს შესაბამისობაში (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

2.1.1 (8) - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს. ,,საექთნო განათლების" სასწავლო გეგმას და სტაბილურად გადაანაწილოს საკონტაქტო საათები, რათა ხშირად არ ხდებოდეს მეცადინეობათა გრაფიკის ცვლა და ასევე, პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული დატვირთვა გადანაწილდეს იმგვარად, რომ საკონტაქტო საათები იყოს იმ მოცულობის, რომ პროფესიულ სტუდენტს დარჩეს თავისუფალი დრო (დეტალურად იხილეთ აღწერილობითი ნაწილი).

2.4.1 (1) - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის ბიუროკრატიისაგან განთავისუფლების, მოქნილი მართვის სისტემის დანერგვის მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გადაიხედოს წესი რომლის მიხედვითაც სავალდებულოდ არის განსაზღვრული მეცადინეობათა ცხრილების დამტკიცების საკითხი.

2.4.2 (1) და 2.1.1 (8) - შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვროს შუალედური შეფასების პერიოდი. აღნიშნული დაეხმარება მას შუალედური შეფასების შინაარსის გააზრებაში და შეფასების სწორად დაგეგმვაში.

განმავითარებელი რეკომენდაციები - მე-2 სტანდარტი - ფარმაცია (სააფთიაქო)

2. 1.1 (1) - რეკომენდებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების ეკონომიკური და სამართლებრივი მიზანშეწონილობის ასპექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 (8) - იმის გათვალისწინებით, რომ ფარმაციისა და საექთნო განათლების პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლობენ ერთსა და იმავე ჯგუფში, რეკომენდებულია ,,საექთნო განათლებისა“ და ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამების ქართული ენის მოდულების (,ქართული ენა A 2“; ,,ქართული ენა B 1“) სასწავლო გეგმები იყოს ერთგვაროვანი. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული ორი პროგრამის ,ქართული ენა A 2“ ,,ქართული ენა B 1“ მოდულების სასწავლო გეგმები მოიყვანოს შესაბამისობაში (იხილეთ კომპონენტის აღწერა).

2.1.1 (8) - დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს. ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმას და სტაბილურად გადაანაწილოს საკონტაქტო საათები, რათა ხშირად არ ხდებოდეს მეცადინეობათა გრაფიკის ცვლა და ასევე, პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული დატვირთვა გადანაწილდეს იმგვარად, რომ საკონტაქტო საათები იყოს იმ მოცულობის, რომ სტუდენტს დარჩეს თავისუფალი დრო (დეტალურად იხილეთ აღწერილობითი ნაწილი).

2.4.1 (1) - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის ბიუროკრატიისაგან განთავისუფლების, მოქნილი მართვის სისტემის დანერგვის მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გადაიხედოს წესი რომლის მიხედვითაც სავალდებულოდ არის განსაზღვრული მეცადინეობათა ცხრილების დამტკიცების საკითხი.

2.4.2 (1) და 2.1.1 (8) - შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვროს შუალედური შეფასების პერიოდი. აღნიშნული დაეხმარება მას შუალედური შეფასების შინაარსის გააზრებაში და შეფასების სწორად დაგეგმვაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ზოგადი სახის რეკომენდაციები:

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება იყო ძალიან ზოგადი ხასიათის, არ ჰქონდა აღწერითი, შეფასებითი ხასიათი. მტკიცებულებათა ჩამონათვალიც არ იყო კონკრეტული. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სამომავლოდ გათვალისწინოს აღნიშნული და ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით მომზადებული თვითშეფასება იყოს იმდენად ინფორმაციული, რომ ექსპერტებს ჰქონდეთ თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაციის გადამოწმებისა და შეფასების შესაძლებლობა.
- სხვადასხვა დოკუმენტაციაში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები და დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლებელში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის პირველი ეტაპი მოიცავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსაზღვრას/გადახედვას. დაწესებულებას ჰქონდა მისია, მაგრამ 2022 წელს, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გადაიხედა კოლეჯის მისიაა და ის ახალი რედაქციით ფორმულირდა.

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მისია - შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ მისიაა - ,,მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამედიცინო მიმართულების კვალიფიციური კადრების მომზადება, მთელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სიცოცხლის განმავლობაში განათლების მიღების და მასზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ბიზნესსა და საგანმანათლებლო სფეროს შორის ურთიერთეფექტური თანამშრომლობის დამყარების ხელშეწყობა“.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების გაცხადებული მისია ეხმიანება პროფესიული განათლების მიზნებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 7 ივნისის N01/22 ბრძანებით დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში არის არასწორი ჩანაწერი (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი) - ,,მისია არის განაცხადი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მიდგომით ახორციელებს სასწავლებელი ხედვის (სასურველი სამომავლო სურათის) მიღწევას“. თუმცა დოკუმენტში ყველა სხვა მუხლში სწორად იკითხება მათი არსი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით ეს არის ტექნიკური შეცდომა და მას გაასწორებენ. ინტერვიუერებითაც დადასტურებულია, რომ დაწესებულებას სწორად აქვს გააზრებული მისია და ხედვას შორის კავშირი და განსხვავება. ***<u>შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი.</u>***

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულება, მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში. კერძოდ მისიაში ჩანს, რომ დაწესებულება ისწრაფვის უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მომზადება სამედიცინო მიმართულებით, ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობით. დაწესებულებას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში და სამედიცინო სფეროში ოპერირება მისი მთავარი მახასიათებელია.

ხელმძღვანელ პირებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება არ გეგმავს პროფილის გაფართოებას. კოლეჯისთვის პრიორიტეტული ტრადიციის შენარჩუნება და ამ სფეროში სხვადასხვა ფორმის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კონკრეტული პერიოდი, რომლის ფარგლებშიც ის აპირებს თავისი მისიის რეალიზებას. კერძოდ, კოლეჯი გეგმავს 2030 წლისთვის, საზოგადოებისთვის მაღალი ხარისხის სხვადასხვა ფორმის საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებით მოიპოვოს დაინტერესებული მხარეების ნდობა და აღიარება სასწავლებლის კურსდამთავრებულების პროფესიონალიზმის, პიროვნული ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ.

სხვადასხვა ფორმის საგანმანათლებლო პროგრამებში, წარმომადგენელთა განმარტებით, მოაზრებულია სამედიცინო მიმართულებით პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების ამოქმედება, ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით და იმ დეფიციტის შევსებაზე მუშაობა რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა პანდემიის პერიოდში სამედიცინო სფეროში კადრებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით აქვთ მაღალი მომართვიანობა, როგორც სწავლის მსურველთა, ასევე, დამსაქმებელთა მხრიდან. ამავე დროს, ეს გააზრებული აქვთ როგორც დაწესებულების ფინანსური ეფექტიანობის გაზრდის საშუალება. დასახელდა კონკრეტული პროფესიული გადამზადების პროგრამა (გერონტოლოგიის და გერიატრიის) მიმართულებით, რაზეც გამოკვეთილია მოთხოვნა და აპირებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

სასწავლებელი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა შემდეგ მთავარ ღირებულებებს: ღიაობა, გუნდურობა, თანასწორობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია კოლეჯის ხედვა და ღირებულებები.

4. 2022 წელს, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში განსაზღვრული წესისა და პროცედურის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გადაიხედა მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც უკუკავშირის მიზნით წარდგენილი იქნა დაინტერესებული მხარეებისათვის (ადმინისტრაციის თანამშრომლები, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები). მტკიცებულებებად წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იქნა მისიის, ხედვის, ღირებულებების გადახედვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 14 ივნისის, 17 ივნისის, 20 ივნისის სამუშაო შეხვედრის ფურცლები.

მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ვებ - გვერდზე (www.medicalschool.edu.g) და კოლეჯის მეორე სართულზე გამოკრულია თვალსაჩინოდ.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 7 ივნისის N01/22 ბრძანება;
- შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“-ს მისიის, ხედვის და ღირებულებების. 2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვის და 2022 -2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის თაობაზე“ შპს თბილისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №01/27 ბრძანება;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების გადახედვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 14 ივნისის, 17 ივნისის, 20 ივნისის სამუშაო შეხვედრის ფურცლები;
- დაწესებულების ვებ გვერდსა (www.medicalschool.edu.ge) და პროგრამების კატალოგში განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები;
- კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებთან და პროცესში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიმუშავა 2020 წელს (2020 -2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა). თუმცა გაანალიზდა, რომ არსებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების გეგმა, საჭიროებდა გადახედვას. ამას საფუძვლად დაედო ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ დაწესებულებას შეეცვალა სახელწოდება, ასევე, შეიცვალა მენეჯმენტი და განხორციელდა რესტურქტურიზაცია.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის/შეფასების პროცესს და შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, ამ პროცესში ჩართული პერსონალის უფლება-მოვალეობებს, სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების/ცვლილებების წესსა და პირობებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიღწევის პერიოდი განისაზღვრება 7 წლით.

მეთოდოლოგიით, სხვა ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების სტრუქტურა. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად 2022 წელს გადაიხედა 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და შემუშავდა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

დაწესებულებამ სტრატეგიული გეგმის ცვლილებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული ახალი მეთოდოლოგიით და 2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვის და 2022 -2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, სამუშაო ჯგუფის წევრებია: დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში, პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების კოორდინატორი, მატერიალური რესურსების კოორდინატორი, მასწავლებლების, განმახორციელებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თითო წარმომადგენელი.

მეთოდოლოგიის მიხედვით, ანალიზისთვის შესაძლოა გამოყენებულ იქნას შემდეგი მეთოდები: SWOT - ანალიზი - ძლიერი მხარეების, სისუსტეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების/რისკების ანალიზი; PESTLE: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და გარემოსთან დაკავშირებული გარემოებების შეფასება; GAP ანალიზი - არსებულ მდგომარეობასა და მისაღწევ შედეგებს შორის სხვაობის ანალიზი. მიმდინარე წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვისას, კოლეჯმა გამოიყენა SWOT - ის მეთოდი. ექსპერტებმა გამოითხოვეს SWOT ანალიზის დოკუმენტი (2022 წლის 27 ივნისის შეხვედრის მტკიცებულება) და შედგა ინტერვიუ სამუშაო ჯგუფის წევრებთან.

გამოვლინდა, რომ წარმოდგენილ SWOT - ის დოკუმენტში, ცალკეულ შემთხვევებში, საფრთხეებად მოაზრებული დაწესებულების სუსტი მხარეები და შესაძლებლობად - დაწესებულების ძლიერი მხარე. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგა კომუნიკაცია ჯგუფის წევრებთან და გაანალიზებული იქნა არსებული საკითხები. აღსანიშნავია, რომ იდენტიფიცირებული თემებს მოცემულ ეტაპზე გავლენა არ მოუხდენია სტრატეგიული თუ სამოქმედო გეგმების გადახედვა/ შემუშავების პროცესზე. თუმცა, სამომავლოდ მსგავსი უზუსტობების თავიდან აცილებისა და შესაძლო არასწორი დაგეგმვის პრევენციის მიზნით, **ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მეთოდოლოგიის ფარგლებში განისაზღვროს, რომ დაწესებულება იღებს ვალდებულებას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა თუ გადახედვის დროს სამუშაო ჯგუფის წევრებს აუმაღლოს კვალიფიკაცია ანალიზისათვის გამოყენებულ მეთოდ(ებ)თან დაკავშირებით** (SWOT, PESTLE, GAP მეთოდოლოგები).

ასევე, უნდა აღინიშნოს რომ დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი იწყება და სრულდება იმგვარად რომ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე უზრუნველყოფილი იყოს მისი დამტკიცება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რა დროსაც მხედველობაში მიიღება წინა წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში - მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, ასევე სასწავლებლის შემდეგი წლის ბიუჯეტი.

ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება წინ არ უნდა უსწრებდეს მომავალი წლის ბიუჯეტის შემუშავებას. დაწესებულების საქმიანობის მოქნილობისა და სწორად დაგეგმვის მიზნით, რეკომენდებულია რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება და კალენდარული წლის ფინანსური დაგეგმარება წარიმართოს პარალელურ რეჟიმში და სამოქმედო გეგმა მოიცავდეს არა ე.წ სასწავლო წლის პერიოდს, არამედ კალენდარულ წელს.

2. დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

კოლეჯის მისიით განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, პრიორიტეტული დარგის - სამედიცინო მიმართულებით კადრების მომზადება. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასწავლებლის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენს ნებისმიერი პირი ან/და პირთა ჯგუფი, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად ეხება სასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობა. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვისას სამუშაო ჯგუფის სავალდებულო წევრებია: სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალი; პროფესიული განათლების მასწავლებელი; სასწავლებლის პარტნიორი ან/და დამსაქმებელი; პროფესიული სტუდენტი/სასწავლებლის კურსდამთავრებული.

2022 წელს გადაიხედა და კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ოქმები, სამუშაო შეხვედრების ფურცლები, ფოტო - მასალა) დადასტურებულია სტრატეგიული გემის გადახედვის პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გადამუშავებული დოკუმენტი პრეზენტაციის სახით ასევე, წარდგენილი იქნა ფართო აუდიტორიისათვის.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით, განსაზღვრულია სტრატეგიული დაა სამოქმედო გეგმების სტრუქტურა. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა მოიცავს: სტრატეგიულ მიზნებს, სტრატეგიულ ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს; განხორციელების ვადებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას - მოიცავს: სტრატეგიულ მიზნებს, სტრატეგიულ ამოცანებს, შესრულების ინდიკატორებს, განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებს; შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს და საჭირო რესურსებს (ფინანსური, მატერიალური, ადამიანური).

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით (იხ. მტკიცებულებების ჩამონათვალი) 2022 წელს ცვლილება შევიდა სტრატეგიული განვითარების გეგმაში და დამტკიცდა 2022—2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები აკმაყოფილებს მათ მიმართ წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნებს. თუმცა, ვთვლით, რომ ცალკეული ინდიკატორები ან არასაკმარისია ან სტატისტიკურად არაგაზომვადი. მაგალითად სამოქმედო გეგმაში: აქტივობა 2.2.2. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის თანამედროვე სწავლების მეთოდებსა, შეფასებასა და პროფესიულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება - შეფასების ინდიკატორად მითითებულია სატრენინგო მასალები, აღრიცხვის ფურცლები. მაშინ როცა ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი გადამზადებულ მასწავლებელთა ოდენობაა; ან კიდევ - აქტივობა 2.3.4 - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ახალი ჯგუფების მიღების მიზნით სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება და შეფასების ინდიკატორად მითითებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ახალი ჯგუფების მიღების მიზნით განხორციელებული სარეკლამო ღონისძიებების ამსახველი მასალა. ვთლით, რომ შეფასების ინდიკატორი უნდა იყოს თუ რა შედეგი გამოიღო ამ რეკლამამ და რა ოდენობის აპლიკანტი მოიზიდა ამა თუ იმ აქტივობამ და ა. შ.

ასევე, სამოქმედო გეგმაში შეტანილია ზოგიერთი ისეთი აქტივობა რაც დაწესებულების თანამშრომელთა ყოველდღიური, ოპერაციული საქმიანობაა (მაგ: 3.1.2; 3.1.3; 3.1.4;) და არ უნდა იყოს სამოქმედო გეგმის ნაწილი. სამოქმედო გეგმაში მსგავსი ტიპის ოპერაციული საქმიანობა შედის მაშინ როცა იგეგმება სიახლის დანერგვა და მიზანი მისი ხარისხობრივი გაუმჯობესებაა.

შესაბამისად, ***ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაციები როგორც სტრატეგიულ ასევე, სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში:***

- ***რეკომენდებულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესრულების ინდიკატორები იყოს სტატისტიკურად გაზომვადი და მიღწევის მაჩვენებელი.***
- ***რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში არ იყოს შეტანილი ისეთი ოპერაციული საქმიანობები, რაც სისტემატურად ხორციელდება და შესაბამისად გეგმაში კონკრეტული შესრულების პერიოდი ვერ განისაზღვრება.***

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ -ს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 7 ივნისის N01/22 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“-ს მისიის, ხედვის და ღირებულებების. 2020-2026 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვის და 2022 -2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის თაობაზე“ შპს თბილისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ივნისის №01/27 ბრძანება;
- ,,შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ სამოქმედო ერთწლიანი გეგმის (2022- 2023 წ. დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს N01/49 ბრძანება;
- თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის 2022 წლის 10 ივლისის №01/15 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ცვლილების ბრძანება);
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის 2020 წლის 06 ივლისის №7 ოქმი სტრატეგიული გეგმის განხილვასთან დაკავშირებით;
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2020 წლის 10 ივლისის №01/15 ბრძანებაში ცვლილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 15 ივლისის N01/33 ბრძანება;
- სტრატეგიული გეგმის შეფასებასა და გადახედვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 24 ივნისის, 27 ივნისის, 30 ივნისი, 05 ივლისის 08 ივლისის სამუშაო შეხვედრის ფურცლები (მათ შორის, SWOT ანალიზი);
- სამუშაო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 01 აგვისტოს, 04 აგვისტოს, 15 აგვისტოს, სამუშაო შეხვედრის ფურცლები.
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმი და აღწერილია შეფასების პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ანალიზს. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და დადგენილია განხორციელების პროცედურები. 2022 წელს დაწესებულებამ არსებული სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზი სწორედ ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიით განახორციელა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაანალიზდა ა) რა შესრულდა; რისი განხორციელება შეფერხდა; იყო თუ არა საჭირო რომელიმე მიზნის/ამოცანის ამოღების ან დამატების საჭიროება, გადაიხედა განხორციელების ვადები და სხვ.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას. ახლად შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის თაობაზე ანგარიშგება ხორციელდება ყოველ 6 თვეში (შუალედური და საბოლოო). შესაბამისად, ვადებიდან გამომდინარე, მისი შეფასება ვერ განხორციელდა და ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა წინა რეგულაცია მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებით და შესაბამისი მტკიცებულებები. არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულებას ნაწარმოები ჰქონდა მხოლოდ წლიური ანგარიშები. დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 – 2020; -2020-2021 და 2021-2022 წლების ანგარიშები, სამოქმედო გემების შესრულებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი ანგარიშები. აღსანიშნავია დაწესებულების პროგრესი ანგარიშების შინაარსთან დაკავშირებით. ბოლო ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც ცალკეული აქტივობების შესრულების თაობაზე ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას, ინფორმაციას მიგნებების, პროგრესის გამოწვევების თაობაზე. შეფასებულია აქტივობების ეფექტურობა, მათი ხარჯთეფექტურობა. მოცემულია ინფორმაცია რომელი შეუსრულებელია აქტივობები უნდა იქნას გადატანილი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. წარმოდგენილი იქნა დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრების ოქმები შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა 2021-2022 სასწავლო წლის გეგმის შეფასების დოკუმენტი. განხორციელებულია სამოქმედო გეგმის შეფასება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: ა) შესაბამისობა: არის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები ჯერ კიდევ აქტუალური? პასუხობს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს? რამდენად კარგად პასუხობს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების აქტივობები და აქტივობის შედეგები პრობლემას, ამოცანებსა და მიზნებს? ბ). ეფექტურობა: რამდენად იქნა (ან იქნება) მიზნები და ამოცანები მიღწეული? რამდენად დროულად მოხდა მიზნებისა და ამოცანების მიღწევა? რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანებისა და მიზნების მიუღწევლობა (არსებობის შემთხვევაში)? გ) ეფექტიანობა: არის თუ არა აქტივობები ხარჯთეფექტური? რამდენად სამართლიანია იმ შედეგებზე გაწეული ხარჯები, რომელიც სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შედეგად იქნა მიღწეული? რამდენად იყო შესაძლებელი იგივე შედეგების მიღწევა ნაკლები რესურსებით ან სხვა რესურსებთან კომბინაციით?

დაწესებულებამ გაითვალისწინა შეფასების შედეგები 2022-2023 სასწავლო წლის დაგეგმვისას. პანდემიიდან გამომდინარე, ის შეუსრულებელი ამოცანები, რომლებიც ისევ რელევანტურად შეფასდა ასახული იქნა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ამასთან, სასურველი იყო ანგარიშში ყოფილიყო მეტად კონკრეტული და მასში ინფორმაცია მეტად დეტალურად ყოფილიყო წარმოდგენილი მიზნის, ამოცანის, აქტივობისა და შეფასების კრიტერიუმის შესაბამისად.

თუკი შევაჯამებთ ზემოაღნიშნულს, ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულების მიერ უკვე განხორციელებული საქმიანობის გათვალისწინებით, საიდანაც აშკარად იკვეთება პროგრესი წინა პერიოდში განხორციელებულ საქმიანობასთან მიმართებაში, ექსპერტები თვლიან, რომ ამ ეტაპზე დაწესებულება კომპონენტის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების საჯაროობას. დაწესებულებას ვებ. გვერდზე განთავსებული აქვს 2021-2022 სასწავლო წლის ანგარიში და ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ -ს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 7 ივნისის N01/22 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული გეგმის შეფასებასა და გადახედვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 24 ივნისის, 27 ივნისის, 30 ივნისი, 05 ივლისის 08 ივლისის სამუშაო შეხვედრის ფურცლები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის 2020 წლის 01 ივლის ამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის №5 ოქმი;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სასწავლებლის 2019 – 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებულია შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან და პსდ-ში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს. წესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, დაინტერესებულ პირთა კონსულტირების საკითხები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები (მათ შორის, მოტივაციური გასაუბრების), შეფასების შედეგების აპელაციის წესი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა.

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია, „საექთნო განათლების და „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. გათვალისწინებულია უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში გათვალისწინებულია მიღებული განათლების აღიარების შესახებ - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის სავალდებულოობა. შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“), 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ („პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი“) და 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ („ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) ბრძანებების მოთხოვნებთან.

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკაში განხორციელების შესწავლის მიზნით, ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები. 2022 წლის 3 ოქტომბერს გამოიცა კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის №01/74 ბრძანება „საექთნო განათლებისა“ და „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის, ვადებისა და დოკუმენტების მიღების ფორმის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2022 წლის 10 ოქტომბერს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის №02/13 ბრძანება შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ. „საექთნო განათლების“, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა 66 პროფესიული სტუდენტი, ხოლო „ფარმაციაზე (სააფთიაქო)“ ჩაირიცხა 55 სტუდენტი. კოლეჯის დირექტორის 7 ნოემბრის №02/19 ბრძანებით, მეორადი ჩარიცხვების ფარგლებში, ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ და ,,საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა თითო-თითო პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული პროცესები განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გადამოწმდა, ასევე, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ის შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის შესახებ საკითხები (მუხლი 18, 19, 20). აღნიშნული წესი არეგულირებს, ასევე, მობილობის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხებს (მუხლი 21). ამავე წესით (მუხლი 23), გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებელი კონკრეტული პროგრამის სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლებით, რისთვისაც უზრუნველყოფს პროგრამის მილევად რეჟიმში განხორციელებას და შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს ასრულებინებს სწავლას და ანიჭებს ამ პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას ან უქმნის შესაძლებლობას პროფესიულმა სტუდენტმა ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის აღდგენის, მობილობის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული მექანიზმების პრაქტიკის დანერგვის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა გამოითხოვეს აღნიშნული პროცესების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 ოქტომბრის №02/15 ბრძანებით „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას თან ახლავს პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ. აღნიშნულმა პირმა 2022 წლის 19 სექტემბერს კოლეჯის დირექტორს მიმართა სტატუსის აღდგენის განცხადებით და 2022 წლის 30 სექტემბრის №02/10 ბრძანებით მას აღუდგა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის დაწესებულებამ შეიმუშავა ისგ (უფრო დეტალურად ისგ-ს შემუშავების პროცედურის თაობაზე იხილეთ ინდიკატორი - 3.1 5).

რაც შეეხება სტატუსის შეწყვეტის პრაქტიკას - კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 2 ნოემბრის №02/16 ბრძანებით ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი იყო სტატუსის შეჩერებიდან სამწლიანი ვადის გასვლა. ყველა ზემოაღნიშნული ინფორმაცია ასახულია, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (evet.emis.ge), კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა მობილობის პრაქტიკაც. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ახალი მიღების ფარგლებში ჩარიცხულმა ორმა პროფესიულმა სტუდენტმა კოლეჯის დირექტორს მიმართა განცხადებით (09.11.2022), სადაც ერთი მათგანი ითხოვს ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან, „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო მეორე სტუდენტი „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლა. განცხადებებთან ერთად წარმოდგენილია, ასევე, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი (05/30, 10.11.2022), სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულია, რომ კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21-ე მუხლის 1,2,3,4 პუნქტების თანახმად, მიზანშეწონილია განცხადებების დაკმაყოფილება. ასევე, აღნიშნულია, რომ მოცემული შემთხვევები არ საჭიროებს სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენას, ვინაიდან სასწავლო პროცესი ახალი დაწყებულია და სწავლის შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. 2022 წლის 10 ნოემბერს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის №02/23 ბრძანება პროფესიული სტუდენტების შიდა მობილობით გადაყვანის თაობაზე. წარმოდგენილ დოკუმენტებს თან ახლავს, ასევე, სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებით.

დაწესებულებას აქვს, ასევე, გარე მობილობის პრაქტიკაც. კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 10 ნოემბერს გამოიცა №02/20 ბრძანება, შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ. ბრძანებას თან ახლავს პროფესიული სტუდენტის განცხადება და სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი (05/27 07.11.2022). წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სტუდენტმა მიმდინარე წლის 8 ნოემბერს სწავლა დაიწყო სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, „საექთნო განათლების“ პროგრამაზე, შესაბამისად, სწავლება და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ჯერ არ იყო განხორციელებულა. კოლეჯის მის მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებლის 21-ე მუხლის 1,2,3,4 პუნქტების თანახმად, შესაძლებელი გახდა განცხადების დაკმაყოფილება. აღნიშნული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (evet.emis.ge). ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი იცავს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ დებულებებს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს, ასევე, ფორმალური განათლების აღიარების საკითხებს, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს არ აქვს ფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემულია, ინფორმაცია დისტანციური სწავლების, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. წესი არეგულირებს პროფესიული სტუდენტების უფლებების, ვალდებულებების, შეზღუდვებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

აღნიშნული წესი მოიცავს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემაზე (თავი 3), შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადებისა და პროცედურების შესახებ, ასევე, განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის წესი. დოკუმენტის დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. წესში, შეტანილია, ასევე ინფორმაცია შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ (თავი 4), „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა (ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა).

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 31-34) არეგულირებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის გაცემის პროცედურასაც. დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ექსპერტებმა შეისწავლეს კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის №02/04 ბრძანებით კვალიფიკაცია მიენიჭა ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 38 პროფესიულ სტუდენტს. ბრძანებას თან ახლავს სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ 38 პროფესიულ სტუდენტს დადასტურებული აქვს ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგი. რაც შეეხება საექთნო განათლებას, კოლეჯმა წარმოადგინა საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვის, ჩატარებისა და კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები. დირექტორის 2022 წლის 13 ივლისის №01/25 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ; კომისიის სხდომის ოქმი N1 (14.07.2022), სადაც განხილულია საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტის შედგენის საკითხები. ასევე, ოქმში, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის მიერ აღნიშნულია, რომ 2019 წელს ჩარიცხული 90 პროფესიული სტუდენტიდან, საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული 180 კრედიტი დააგროვა 73 პროფესიულმა სტუდენტმა, რის საფუძველზეც მათ უფლება აქვთ საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მიღების; კომისიის სხდომის ოქმი N2 (18.07.2022), სადაც განხილულია საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები და საკვალიფიკაციო გამოცდის საორგანიზაციო საკითხები. აღნიშნულია, რომ შემუშავებული ტესტი მოიცავდა 300 კითხვას შემდეგი მოდულებიდან: ,,თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები", ,,ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია", ,,გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები", ,,ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები", ,,პედიატრია და მოზარდები", ,,კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია", ,,სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები", ,,ფარმაკოლოგია", ,,ავადმყოფის მოვლა, ინფექციის კონტროლის საფუძვლები", ,,ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში". საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მოსაზრებების შეჯერებით შერჩეულ იქნა 100 საგამოცდო კითხვა, რომლის კონფიდენციალურად დაცვა დაევალა კომისიის მდივანს. კომისიის სხდომის ოქმი N3 (28.07.2022), სადაც განხილულია ჩატარებული გამოცდის ორგანიზაციული მხარის ხარისხის განხილვა და პროფესიული სტუდენტების მიერ მიღწეული აკადემიური შედეგების განხილვა. ოქმში აღნიშნულია, რომ გამოცდაზე გამოცხადდა გამოცდაზე გასვლის უფლების მქონე 73-ვე პროფესიული სტუდენტი. ყველა მათგანმა დააგროვა 70-ზე მეტი ქულა, რომელიც სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მინიმალურ ზღვარს შეადგენდა. ოქმს დანართის სახით თან ახლავს 73 პროფესიული სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელობითი სია, პირადი ნომრების მითითებით, რომელთაც დირექტორის ბრძანებით მიენიჭათ კვალიფიკაცია. ექსპერტთა შეფასებით, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა განხორციელდა კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის თანახმად, სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და სწავლების საწყის ეტაპზევე აცნობს მათ საკუთარ უფლებებს. პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე: ახდენს სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას; აცნობს სასწავლებლის სერვისებს და ინფრასტრუქტურას; (ლაბორატორიები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა და ა.შ.); აცნობს სასწავლებლის ელექტრონულ გვერდებს. (ვებგვერდი, ფეისბუქ გვერდი.) აცნობს გვერდებზე განთავსებულ სასწავლებლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის, მეცადინეობათა ცხრილის, შინაგანაწესის და სასწავლებელში მოქმედი სხვა საჭირო სამართლებრივი აქტების მოძიების ინსტრუქციას; აცნობს ინიციატივების მხარდამჭერ პროცედურებს.

დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის შეხვედრების ანგარიშები და ფოტოები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან (მათ შორის ახალი მიღების) და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას.

ექსპერტები გაესაუბრნენ საექთნო განათლების პროგრამის 4 პროფესიულ სტუდენტს (ლ.ც, ნ.წ, ი.ხ, რ.კ), ფარმაციის პროგრამის 2 პროფესიულ სტუდენტსა (ნ.ლ, ა.ქ), კურსდამთავრებულს (ს.ბ). პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს: თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; მოითხოვონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ უფლებების გამოყენების ნაწილში მათ არანაირი გამოწვევა არ ჰქონიათ. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში კი დაწესებულების წარმომადგენლებისაგან ხშირად ესმით ფრაზა - სტუდენტზე ორიენტირებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

3. შეფასების სისტემის პროცედურები, მათ შორის, აპელაციის წესი, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. აღსანიშნავია, დაწესებულებას დადგენილი აქვს წინმსწრებ და მომდევნო მოდულს შორის სავალდებულოდ 3 კვირიანი პერიოდის არსებობა, შეფასების, დამატებითი შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში, აპელაციისათვის საჭირო ვადების გაანალიზების საფუძველზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ,სტუდენტს მოდულის დაწყებისთანავე აცნობს სასწავლებელში მოქმედ შეფასების სისტემას და აწვდის განმსაზღვრელი შეფასების განხორციელების პროცესის თაობაზე ინფორმაციას. მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარების თარიღამდე სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტში მოცემული დავალების არსისა და დავალების შესრულების ინსტრუქციის, შეფასების კრიტერიუმების თაობაზე. პროცედურა არეგულირებს ასევე შეფასების შედეგების გაცნობის/უკუკავშირის წესებს. შეფასების შედეგები სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ შესაბამისი უწყისის შევსებისთანავე - შეფასებიდან არაუგვიანეს მე-3 დღეს იმგვარად, რომ დაცული იქნას კონფიდენციალურობა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

სტუდენტის პერსონალური მონაცემები. ინფორმაციას სტუდენტებს შედეგების შესახებ ელ - ფოსტაზე უგზავნის საბიბლიოთეკო და სტუდენტის აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტი.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელი შეფასების განხორციელებამდე აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შედეგები მათ ელ. ფოსტის საშუალებით ეცნობება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

4. პროფესიულ სტუდენტებთან, მათ შორის არასრულწლოვან პირების კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე. შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში ჩარიცხული იყო რამდენიმე არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, რომელთა პირად საქმეში განთავსებული იყო მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილ წარმომადგენელთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულებების შინაარსი შესაბამისობაშია წინააღმდეგობაში კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტების ჩართულობის შესახებ საკითხებს. აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემთხვევებს, როგორიცაა: მასწავლებელი, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან შეთანხმებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტზე (შემდგომში „სსსმ სტუდენტი“) დაკვირვების საფუძველზე ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებას; ბ) სსსმ სტუდენტი ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო; გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სასწავლებლის პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის; დ) პირს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტი ვადით და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; ე) პირი საპატიო მიზეზით ვერ ესწრებოდა სასწავლო პროცესს ერთ თვეზე მეტი ვადის განმავლობაში და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; ვ) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში დამდგარია შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საჭიროება.

ექსპერტებმა შეისწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკა, სტატუსის აღდგენის შემთხვევაში. ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა 2022 წლის 19 სექტემბერს კოლეჯის დირექტორს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მიმართა სტატუსის აღდგენის განცხადებით, რომელსაც 2022 წლის 30 სექტემბრის 02/10 ბრძანებით აღუდგა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას თან ახლავს სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათი (30.09.2022), რომელშიც აღნიშნულია, რომ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ II სასწავლო წელს, რადგან სტუდენტს დადასტურებული აქვს პროგრამის I სასწავლო წლით გათვალისწინებული ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგი. პროფესიული სტუდენტის ჩართულობით შემუშავდა **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც სამსახურებრივი ბარათით (05/20 05.10.2022) სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორმა დასამტკიცებლად წარუდგინა დირექტორს. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნების სრული დაცვით, პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ასათვისებელი მოდულების წინაპირობების დაცვით შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ასევე, აღნიშნულია, რომ გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო პროფესიული სტუდენტი, რაც დასტურდება გეგმაზე პროფესიული სტუდენტის ხელმოწერით. გეგმაში ასახულია პროფესიული სტუდენტის მიერ გასავლელი მოდულები, როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის №02/12 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევისა და ჩარიცხვის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- „საექთნო საქმისა“ და „ფარმაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების ჩარიცხვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის, ვადებისა და დოკუმენტების მიღების ფორმის დამტკიცების შესახებ“ შპს პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის №01/74 ბრძანება;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის №02/13 და 2022 წლის 7 ნოემბრის №02/19 ბრძანებები შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2021 წლის 10 ოქტომბრის 02/15 ბრძანება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის X პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 30 სექტემბრის №02/10 ბრძანება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის X პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 5 ოქტომბრის №02/12 ბრძანება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის X პროფესიული სტუდენტის ისგ-ს დამტკიცების შესახებ;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის №02/23 ბრძანება X და Y პროფესიული სტუდენტების შიდა მობილობასთან დაკავშირებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეთანხმებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის №02/20 ბრძანება X პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის ფარგლებში „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 29 ივლისის №02/04 ბრძანება ფარმაციის პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;
- 2022 წლის 13 ივლისის №01/25 ბრძანება ,,საექთნო განათლების“ პროგრამაზე საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ;
- ,,საექთნო განათლების“ პროგრამაზე საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმები;
- თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები;
- სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათები;
- პროფესიული სტუდენტების განცხადებები სტატუსის შეჩერება, აღდგენა, მობილობასთან დაკავშირებით;
- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები (მათ შორის არასრულწლოვან პირებთან)
- პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (სამსახურებრივი ბარათები, ბრძანებები);
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგი;
- კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები და ფაქტობრივი გარემოებები;
- დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროფესიული სტუდენტების კონსულტაციისა და აკადემიური მხარდაჭერის საკითხები გაწერილია რამდენიმე თანამშრომლის ფუნქცია მოვალეობებში. მათ შორის, დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო მომსახურებისა და პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტი, რომლის ფუნქციებშიც შედის: სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის მიერ მიწოდებული აკადემიური მიღწევების შედეგების პროფესიული სტუდენტებისთვის მიწოდება. სტუდენტების კითხვის უნარის განვითარების ხელშეწყობა; შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროფესიული სტუდენტების კონსულტაციასა და მხარდაჭერაზე ზრუნავს, აგრეთვე პროგრამის კოორდინატორი, რომლის ფუნქციებიც მოიცავს პროფესიული სტუდენტისთვის აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზებას. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებლები პროფესიული სტუდენტებისთვის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ კონსულტირებასა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებას სტუდენტებისთვის, რაც გაწერილიც არის მასწავლებლის ფუნქციებში.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ყოველდღიურ სასწავლო რეჟიმში მასწავლებლები აძლევენ მითითებებს და რჩევებს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში. ასევე, პროფესიულ სტუდენტებს კონსულტაციები უტარდებათ დამატებითი და განმეორებით დამატებითი შეფასების წინა პერიოდშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი კოლეჯისაგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის თანახმად, კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და სწავლების საწყის ეტაპზევე აცნობს საკუთარ უფლებებს.

ვიზიტის პერიოდში, მტკიცებულებების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა საინფორმაციო შეხვედრის ანგარიში, ფოტოები და დასწრების ფურცლები, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გააცნეს ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ექსპერტები, ასევე, გაესაუბრნენ კოლეჯის სტუდენტებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს რომ საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ჩატარდა სწავლის დაწყების წინ, ხოლო კონსულტაციებს და მხარდაჭერას სტუდენტები მუდმივ რეჟიმში იღებენ როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან, რაც უადვილებს მათ სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. შესწავლილი მტკიცებულებებითა და ინტერვიუირებით დასტურდება, რომ დაწესებულება, სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა გაცნობითი სახის აქტივობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. შპს პირველი სამედიცინო სასწავლებლის საქმისწარმოების მე-13 მუხლით რეგულირდება, რომ დოკუმენტების შესრულების ვადები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ამავე დოკუმენტით, ან სასწავლებლის სხვა სამართლებრივი აქტით. დოკუმენტების შესრულების ვადები შემოსული კორესპონდენციისთვის აითვლება რეგისტრაციის დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს ადმინისტრაციული მხარდაჭერით. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორის სამუშაო აღწერილობა მოიცავს პროფესიული სტუდენტისთვის გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის უზრუნველყოფას.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციისადმი განცხადებით მიმართვის სხვადასხვა შემთხვევები. მაგ: სტუდენტის განცხადება და მასზე გაცემული ცნობა სტუდენტის სტატუსი შესახებ, განცხადება შიდა მობილობის შესახებ და შესაბამისი რეაგირების დოკუმენტები, განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ და შესაბამისი ბრძანება, სტატუსის შეჩერების და აღდგენის მტკიცებულებები შესაბამისი განცხადებებით და ბრძანებებით, აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის ვადები დაცულია. დაწესებულების რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტმა მოგვაწოდა ყველა დოკუმენტაცია, რომელთა გაცემის ვადები დაცული იყო.

ასევე, პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლი ითვალისწინებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების შესაძლებლობებს. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების წარდგენა ინიციატორის მიერ ხორციელდება სასწავლებლის დირექტორისთვის წერილობითი მიმართვით. სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების ინიციატორი შესაძლებელია იყოს სტუდენტი/სტუდენტის წარმომადგენელი, პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი. ასევე, სასწავლებლის სხვა პერსონალი, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი პირ/ებ/ი; პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელ/ებ/ი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებელი სტუდენტური ინიციატივების და ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერას ძირითადად ახორციელებს შემდეგი მიზნით: პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება; სტუდენტური ინტერესების რეალიზება და განვითარება; პიროვნული ღირებულებების და სოციალური პასუხისმგებლობების ამაღლება; სტუდენტთა პროფესიული განვითარება.

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელში ასევე შესაძლებელია აზრების/წინადადებების/ინიციატივების გამოხატვა/დაფიქსირება ანონიმურად. ამ მიზნით სასწავლებელში გარდა ანონიმური გამოკითხვებისა, არსებობს ე.წ. „ინიციატივების ყუთი“, ინიციატივების ყუთი“ იხსნება ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორის მიერ და წარდგენილი აზრების/წინადადებების/ინიციატივების ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება სასწავლებლის დირექტორის მოადგილეებს ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში და დირექტორის მოადგილეს სასწავლო მიმართულებით. ზემოაღნიშნული ფუნქციურად აქვს გაწერილი პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორს სამუშაო აღწერილობაში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუირებისას განაცხადეს, რომ კოლეჯი ზრუნავს სტუდენტების არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას. მაგალითად, სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა სტუდენტებში თუ რა არაფორმალური აქტივობის განხორციელებას ისურვებდნენ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი სურვილი იყო ექსკურსიის განხორციელება. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული გამოკითხვის მტკიცებულებები, სადაც სტუდენტების უმრავლესობის მოთხოვნა ექსკურსიის განხორციელებაა და იგეგმება აღნიშნული აქტივობა. ასევე, გარდა ამისა, მიმდინარე წლის 14 ნოემბერს კოლეჯში ჩატარდა დიაბეტის საერთაშორისო დღესთან მიძღვნილი შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან. შეხვედრის მიზანი იყო, დიაბეტის შესახებ ინფორმირება და ცნობიერების გაზრდა - თუ რა არის დიაბეტი, მისი ტიპობრივი თავისებურებანი, მიზეზები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

რისკ-ფაქტორები, ნიშნები, გართულებები, მკურნალობა და მსოფლიო სტატისტიკა. დაწესებულებამ წარმოადგინა გასული წლების სხვადასხვა ღონისძიებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ღონისძიების ანონსი და შეხვედრის ამსახველი ფოტოები.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას, SWOT ანალიზის დოკუმენტში, სუსტ მხარედ მიუთითეს, რომ პანდემიისას ყველაზე მეტად სწორედ არაფორმალური აქტივობების მხრივ ჰქონდათ გამოწვევა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური ინიციატივების მხარდასაჭერად დაწესებულებას მოქმედი სამოქმედო გეგმით აქვს განსაზღვრული შესაბამისი ბიუჯეტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებისა და კმაყოფილების კვლევას. კვლევის მიზანია პროფესიული სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სასწავლო პროცესი, სასწავლებლის ინფრასტრუქტურა, პროცედურები, სტუდენტური სერვისები და სხვა. დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარები. სტუდენტებთან ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომლის ფარგლებშიც გამოკითხული იყო 115 პროფესიული სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ შედეგები წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკის სახით, ნარატიული ანალიზის გარეშე.

დაწესებულებაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც სტუდენტებისგან იღებენ ინფორმაციას მათ საჭიროებებზე. მაგალითად, მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს კოლეჯში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა. დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრის ანგარიში, სადაც ერთ-ერთ საკითხად აღნიშნულია, რომ სტუდენტების ჯგუფმა სასწავლებელს მიმართა თხოვნით, რათა კოლეჯი დახმარებოდა მათ შუამდგომლობით საცხოვრებელი ბინის დამქირავებლებთან კომუნიკაციაში (შეღავათის გაწევის თვალსაზრისით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ინიციატივის საფუძველს წარმოადგენდა ქვეყანაში შექმნილი საცხოვრებელი ბინების დაქირავების ღირებულების მკვეთრი ზრდა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯს ჰქონდა რეაგირება ამ ფაქტზე. პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების მიმართულებით სტაჟიორის მიერ განხორციელდა რამდენიმე სასტუმროსთან კომუნიკაცია. ერთ-ერთმა სასტუმრომ სტუდენტებს შესთავაზა 20%-იანი ფასდაკლება. თუმცა, პროფესიული სტუდენტებისთვის მოცემული პირობები მაინც არ იყო მისაღები. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ დაწესებულება ცდილობს სტუდენტებთან უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს მომსახურება. დაწესებულებამ გაითვალისწინა ერთ-ერთი გამოკითხვის საფუძველზე სტუდენტთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიცია და ,,საექთნო განათლების“ პროგრამაზე, 2022 წლამდე მიღებულ ჯგუფებთან , შეინარჩუნა ჰიბრიდული სწავლების მოდელი.

ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ პროფესიულ სტუდენტთა კითხვარები შეიმუშაონ იმგვარად რომ გამოკითხვის შედეგი აფასებდეს ავტორიზაციის სტანდარტების სხვადასხვა კომპონენტის კონკრეტული ინდიკატორის დაკმაყოფილების საკითხს და კვლევის შედეგების ანალიზიც წარმოდგენილი იქნას ავტორიზაციის კონკრეტული სტანდარტის კონკრეტულ ინდიკატორის შეფასების სახით.

აღნინიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ ის უკვე მუშაობს ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების მიზნით ახალი კითხვარების შემუშავებაზე და ახალ სტუდენტებთან უკვე აღნიშნული კითხვარით განხორციელდება გამოკითხვა. მტკიცებულებად მან წარმოადგინა რამდენიმე ნიმუში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;

50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის დირექტორის ს 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის საშტატო განრიგი და საშტატო განრიგით განსაზღვრულ პირთა სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრების ანგარიში, ფოტოები და სამუშაო შეხვედრების ფურცლები
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა და 2023 წლის ბიუჯეტი;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების ანგარიში, ფოტოები
- სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების შედეგები

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის თანახმად პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კარიერული მხარდაჭერით. კოლეჯის შერჩევისა და ჩარიცხვის წესის მე-4 მუხლი ითვალისწინებს პროფორიენტაციასა და კონსულტირებას როგორც არსებული, ისე პოტენციური სტუდენტებისთვის. დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის პოზიცია, რომლის ფუნქციებშიც შედის პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების მხარდაჭერა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება კარიერის დაგეგმვაში (რეზუმეების/სამოტივაციო წერილის/საკონკურსო განაცხადების შედგენაში, ინტერვიუსთვის მომზადებაში მხარდაჭერა) და ასევე, პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც მოიცავს: პროფესიული ორიენტაციის ხასიათის შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებას; სასწავლებლის პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელშეწყობას; პროფესიული ორიენტაციის ინდივიდუალური კონსულტაციების წარმართვას. სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად იღებენ დაწესებულებისგან კარიერულ მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეგზავნებათ ინფორმაცია დასაქმების, ვაკანსიების შესახებ, მონაწილეობას იღებენ დასაქმების ფორუმებში და სხვ.

პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს, რეგისტრაციის ფარგლებში, პოტენციური სტუდენტების მოსაზიდად მომზადდა ახალი ფლაერები, განახლდა პროფესიული პროგრამების კატალოგი, სოციალურ ქსელში განთავსდა ფასიანი რეკლამები. აღსანიშნავია, ასევე, რომ კოლეჯი პოტენციურ სტუდენტებს, მიმდინარე წლის მიღების ფარგლებში, სთავაზობდა კიდევ ერთ სერვისს, რომელიც ითვალისწინებდა ქიმიისა და ბიოლოგიის გამოცდისთვის დარეგისტრირებული აპლიკანტების ტესტირებისთვის მომზადებას. აღნიშნულ სერვისის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ორი ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულება (22.08.2022, 08.08.2022). ხელშეკრულებები ითვალისწინებდა საგამოცდო პროგრამების თემების ირგვლივ ტრენინგების ჩატარებას პოტენციური სტუდენტებისთვის, მისაღებ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებში - „ბიოლოგია“ და „ქიმია“. წარმოდგენილ ხელშეკრულებებს თან ახლავს, ასევე მიღება-ჩაბარების აქტები შესრულებულ სამუშაოზე. აღნიშნული შეთავაზების შესახებ განცხადებები, ტრენინგზე რეგისტრაციის ვადების მითითებით განთავსებული იყო სოციალურ ქსელში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-14 მუხლის თანახმად პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ კარიერული მხარდაჭერით. დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებულია პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის თანამდებობა, რომლის ფუნქციებშიც შედის: სასწავლებლის პარტნიორ ორგანიზაციებთან/შრომის ბაზრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლებთან/დამსაქმებლებთან შეხვედრების მოწყობა; პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა სტაჟირების/დასაქმების ხელშეწყობა; კარიერული განვითარების მხარდაჭერა - დასაქმების შესაძლებლობების/ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება სამუშაოს მოძიებასა და კარიერის დაგეგმვაში (რეზუმეების/სამოტივაციო წერილის/საკონკურსო განაცხადების შედგენაში, ინტერვიუსთვის მომზადებაში მხარდაჭერა); დასაქმებული სტუდენტების შესახებ მონაცემების მართვა; კურსდამთავრებულთა ბაზის წარმოება.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს მუდმივად ეგზავნებათ ინფორმაცია აქტიური ვაკანსიების შესახებ, დასაქმების ფორუმების შესახებ. ვაკანსიები ვრცელდება ელ - ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით. ასევე, აღინიშნა, რომ კოლეჯში პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა დამსაქმებლებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ზემოაღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მიმდინარე წლის 3 ივნისს გაიმართა დასაქმებისა და განათლების ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის სტუდენტებმა. ფესტივალზე სტუდენტებმა მიიღეს რჩევები და რეკომენდაციები დამსაქმებლებისგან. ასევე, მიმდინარე წლის 13 ივლისს კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულებმა მონაწილეობა მიიღეს ,,საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციისა“ და ,,დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს“ ორგანიზებით ჩატარებულ პროფესიული განათლების დასაქმების ფორუმში. ფორუმში მონაწილეობდნენ აგრეთვე, კოლეჯის პარტნიორები. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადგილზე გაეცნენ შეთავაზებულ აქტიურ ვაკანსიებს და გაესაუბრნენ დამსაქმებლებს. აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების სოციალურ ქსელში.

აღსანიშნავია, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, კოლეჯმა უმასპინძლა ფარმაცევტულ კომპანია „გეფას“ წარმომადგენლებს. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მომსახურების მხარდაჭერა და დასაქმების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაფართოება. შეხვედრას ესწრებოდნენ პირველი და მეორე სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსის "ფარმაციის" (სააფთიაქო) პროფესიული სტუდენტები. კომპანიის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ისაუბრეს, პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მომსახურების მხარდაჭერის, დასაქმების ხელსაყრელი პირობებისა და პერსპექტივების შესახებ. ასევე, სტუდენტებს შესთავაზეს ანაზღაურებადი პრაქტიკების გავლა მათ კომპანიაში.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა დამსაქმებლების ბაზა, რომელ კომპანიებთან თანამშრომლობენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მიმართულებით. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი თანამშრომლობს 6 მსხვილ ფარმაციულ კომპანიასთან, როგორიცაა: ,,ავერსი ფარმა", ,,ფარმადეპო", ,,ფარმ. სახლი", ასევე კოსმეტოლოგიის მიმართულებით - შპს ,,ისი პარი" და სხვა. რაც შეეხება ,,საექთნო განათლებას", აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს 19 კლინიკასთან, მათ შორისაა: ევექსის ჰოსპიტალები, ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრი, ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა, იაშვილის ცენტრალური ჰოსპიტალი და სხვა.

პროფესიულმა სტუდენტებმა, ინტერვიუირებისას დაადასტურეს, რომ ისინი მუდმივად იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების, დასაქმების შესაძლებლობებისა და დასაქმებასთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ. ასევე, მათ დასაქმებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ კოლეჯის ორთავე პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორთა ბაზებზე ხორციელდება, რაც ზრდის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს კვლევის მეთოდოლოგიას, მათ შორის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგიას. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია - მოვალეობაში შედის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის მიზანიცაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. გამოკითხვა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული ყოველი ნაკადის სწავლის დასრულებიდან ყოველ ექვს თვეში ერთხელ, მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში.

დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა. საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2019-2022 მიღების 73 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 65 კურსდამთავრებული (84%). რაც შეეხება ფარმაციას, 2019-2021 მიღების 41 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 23 მათგანი (56%).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დაწესებულება პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს კვლევების ჩატარებას. შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების მეთოდოლოგიები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ატარებს კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვას, რომლის მიზანიცაა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა. გამოკითხვა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული ყოველი ნაკადის სწავლის დასრულებიდან ყოველ ექვს თვეში ერთხელ, მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, პრაქტიკისა და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი აგროვებს ინფორმაციას სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ, რომელი მათგანი არ არის დასაქმებული და აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით აკავშირებს მათ დამსაქმებლებთან -ეხმარება დასაქმებაში. ფარმაციის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ინტერვიუირებისას ისაუბრა მისი დასაქმების გამოცდილებაზე. განმარტა, რომ პრაქტიკის კოორდინატორის დახმარებით დასაქმდა იმ ობიექტზე, სადაც გადიოდა პრაქტიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გასული წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი ინარჩუნებენ კომუნიკაციას იმ პირებთან ვინც ჯერ კიდევ არ არის დასაქმებული, იძიებენ ვაკანსიებს და აწვდიან მათ, რათა მაქსიმალურად გაუმჯობესონ დასაქმების მაჩვენებელი, რაც ამ ეტაპზეც არ არის დაბალი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა, კურსდამთავრებულთა კვლევაზე საუბრისას აღნიშნეს, რომ მოცემულ ეტაპზე ჩართულები არიან უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა კვლევაში, რომლისგანაც მიღებულ შედეგებს უფრო მეტად აქტიურად გამოიყენებენ ხარისხის გაუმჯობესების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კოლეჯის დირექტორის ს 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანება - კოლეჯის საშტატო განრიგი და საშტატო განრიგით განსაზღვრულ პირთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მომსახურების ხელშეკრულებები აპლიკანტების საგამოცდო საკითხებისთვის მომზადების შესახებ და მომსახურების მიღების მიღება - ჩაბარების აქტები;
- პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირების შედეგები;
- სოციალურ ქსელში, დაწესებულებაში განთავსებული ინფორმაციები ვაკანსიებთან დაკავშირებით.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

4. ადამიანურირესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობის საკითხი დარეგულირებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანებით, რომლითაც დამტკიცებულია კოლეჯის საშტატო განრიგი და საშტატო განრიგით განსაზღვრულ პირთა სამუშაო აღწერილობები.

2022 წელს შეიცვალა დაწესებულების სახელწოდება, მენეჯმენტი და განხორციელდა რესტრუქტურიზაცია. წარმოდგენილია სასწავლებლის შიდა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები (7 ოქმი), რომლითაც დასტურდება დაწესებულების სტრუქტურის და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების თანამშრომლობით პროცესში შემუშავება.

დოკუმენტურად და სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დგინდება, რომ პირველ ეტაპზე თანამშრომელთა არსებულ ფუნქცია - მოვალეობათა ანალიზის საფუძველზე შემუშავდა პროცესების რუქა, რომელიც უკვე მომდევნო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეტაპზე გადამუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოთხოვნების გათვალისწინებით. აღნიშნული რუქები საფუძვლად დაედო დაწესებულების ორგანიზაციულ მოწყობას. დაწესებულებას სტრუქტურით განსაზღვრული აქვს შესაბამისი თანამდებობები (და არა სტრუქტურული ერთეულები) და თანამდებობრივი ინსტრუქციების ანალიზით დგინდება, რომ სრულად არის გათვალისწინებული ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები და ფაქტობრივად არ არის დატოვებული ისეთი ინდიკატორი, რომელიც არ იყოს გააზრებული და რომლის დაკმაყოფილებაზე პასუხისმგებელი თუ შემსრულებელი პირები არ იყოს იდენტიფიცირებული. უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურის შემუშავებისას დაწესებულებამ გაიაზრა მე-4 სტანდარტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები და კოლეჯის სტრუქტურით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების კოორდინატორი.

კოლეჯში დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: პოზიციის დასახელება, სხვა პოზიციისადმი დაქვემდებარება, მასზე დაქვემდებარებული პოზიცია/პოზიციები, სამუშაოს მიზანი, ფუნქცია - მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ინფორმაციას განათლებისა თუ სამუშაო გამოცდილების თაობაზე, ასევე ინფორმაციას კომპეტენციის/პიროვნული თვისებების შესახებ. დამატებით მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია: სამუშაოს ადგილი, სამუშაოს ხანგრძლივობა, განაკვეთი, ანაზღაურება, სამუშაო დროის დაწყებისა და დასრულების პერიოდი.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოქნილად აქვს გააზრებული და არ არის ხისტი მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ყველა პოზიციისათვის შემოთავაზებულია სხვადასხვა ალტერნატივები - განათლების, სამუშაო გამოცდილებისა თუ სერტიფიცირების მიხედვით, თუ რა შემთხვევაში შეიძლება პირმა დააკმაყოფილოს თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამასთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა,.მაგ: საკვალიფიკაციო მოთხოვნაში მონიშნულია როგორც სავალდებულო, ასევე, სასურველი განათლებაც (მაგ: ბუღალტერი, სასწავლო პროცესის მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოორდინატორი და სხვ.). ვიზიტისას, ინტერვიუირებით დადგინდა რომელი იყოს ვალიდური მოთხოვნა. <u>**დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადახედოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ბადეს და გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები.**</u>

დოკუმენტაციის გაცნობით დადასტურდა, რომ პერსონალი იცნობს საკუთარ სამუშაო აღწერილობას. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის დანართსაც წარმოადგენს თანამდებობის სამუშაო აღწერილობა და მასზე ხელმოწერით დასტურდება პირის მიერ საკუთარი ფუნქცია - მოვალეობების გაცნობა.

გარდა დოკუმენტურად წარმოდგენილი მტკიცებულებებისა, სტანდარტების შეფასებისას, საჭიროებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ყველა პოზიციის თანამშრომელთან შედგა კომუნიკაცია და დადასტურებულია მათ მიერ საკუთარი ფუნქცია - მოვალეობების ცოდნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

2. ექსპერტთა მიერ პერსონალის სამუშაო აღწერილობები გაანალიზდა დაწესებულების საქმიანობის ჭრილში. როგორც აღინიშნა ფუნქცია- მოვალეობები იმგვარადა ჩამოყალიბებული, რომ გათვალისწინებულია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები. პოზიციათა შორის პასუხისმგებლობები სწორადაა გადანაწილებული და ხელს უწყობს დაწესებულებას თავისი საქმიანობის განხორციელებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შეფასების მიზნით, შეისწავლა დაწესებულების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების თავსებადობა. დადასტურებულია, რომ კონკრეტული მიზნების მიღწევაზე, აქტივობების შესრულებაზე რელევანტურად არის განსაზღვრული როგორც პასუხისმგებელი, ასევე შემსრულებელი პირები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუირებითაც დადგინდა, რომ დაწესებულების მენეჯმენტს 2022 წელს დიდი ძალისხმევა აქვს ჩადებული რეორგანიზაციისა და ორგანიზაციული მოწყობის პროცესში. ადმინისტრაციის თანამშრომლები იცნობენ საკუთარ ფუნქცია - მოვალეობებს როგორც ყოველდღიური ოპერაციული საქმიანობის ჭრილში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გემასთან მიმართებით.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებულია დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის - „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის (PDCA) პრინციპებს. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, მათ შორის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა.

ექსპერტებს ჰქონდათ კომუნიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, რომელიც კონკურსის წესით შერჩეული და დანიშნული კადრია. მას კარგად აქვს გააზრებული საკუთარი ფუნქციები და შესაბამისად, აქტიურად იყო ჩართული კოლეჯის რეავტორიზაციისათვის მომზადების პროცესში.

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები გაანალიზდა სხვა თანამდებობების ფუნქცია- მოვალეობებთან და არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმების ანალიზითაც დგინდება, რომ კოლეჯს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია სწორად აქვს დანახული და გეგმებით გათვალისწინებულ ცალკეულ ამოცანებთან/აქტივობებთან მიმართებაში პასუხისმგებლობების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისათვის დაკისრება რელევანტურად არის გადაწყვეტილი. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ კოლეჯში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი"-ს საშტატო განრიგისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისათვის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ" შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანება;
- 2022 წელს შეიცვალა დაწესებულების სახელწოდება, მენეჯმენტი და განხორციელდა რესტრუქტურიზაცია. წარმოდგენილია ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის შიდა ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2022 წლის 12 აპრილის №1 , 13 აპრილის №2, 14 აპრილს №3, 15 აპრილის №4 , 26 აპრილის №5, 28 აპრილის №7 შეხვედრების ოქმები,
- შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 ივნისი №1/24 ბრძანება;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები თანდართული სამუშაო აღწერილობებით;
- ,,შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" სამოქმედო ერთწლიანი გეგმის (2022- 2023 წ. დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს N01/49 ბრძანება;
- თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის 2022 წლის 10 ივლისის №01/15 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ცვლილების ბრძანება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის საკითხები დაწესებულებას დარეგულირებული აქვს სხვადასხვა დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებით.

სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N01/45 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლებლის პერსონალის - ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესსა და პროცედურას, პერსონალის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, მართვის პროცესებს, ასევე პერსონალის სამუშაოს შეფასებასა და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ და სხვა თანმდევ საკითხებს. ხოლო მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომელსაც არ აწესრიგებს აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი, აგრეთვე, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია სასწავლებლის შინაგანაწესით, სასწავლებლის სხვა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

წარმოდგენილი სამუშაო შეხვედრების ფურცლებით, ოქმებითა და თანამშრომლებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შემუშავების პროცესში ჩართულობის მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, ის გააზრებულია თანამშრომელთა მიერ.

სასწავლებლის შინაგანაწესი არეგულირებს სასწავლებელსა და დასაქმებულებს შორის არსებულ შრომით, სამსახურებრივ (მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ურთიერთობები) და მის თანმდევ ურთიერთობებს. შინაგანაწესი წარმოადგენს სასწავლებელსა და დასაქმებულს შორის არსებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების/პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს თუ შესაბამისი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესის რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობას, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებას.

კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია: შრომითი/სამსახურებრივი ურთიერთობის საფუძვლები და დისკრიმინაციის აკრძალვა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულთა ხელშეწყობა; წინა სახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა ხელშეკრულების დადებამდე; სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტები: შრომითი/სამსახურებრივი ურთიერთობის დაწყება და დასაქმების ზოგადი წესები; შეთავსებითი სამუშაოს საკითხები, რომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო, დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება–მოვალეობანი; წახალისება და სხვა ბენეფიტები; დისციპლინური წარმოება; შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა; დავის განხილვა და გადაწყვეტა და დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის კომუნიკაციის საკითხები.

სასწავლებელი უზრუნველყოფს ყველა დასაქმებულისთვის შინაგანაწესის/მასში შეტანილი ყველა ცვლილების/დამატების გაცნობას ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნის გზით ან სასწავლებლის ოფიციალურ ვებ. გვერდზე გამოქვეყნებით ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებებით გაცნობის გზით. აღნიშნული დადასტურებულია ინტერვიუთი და დაწესებულების ვებ.გვერდის გადამოწმებით. ყველა პირად საქმეში დევს გაცნობის ფურცლები (2020 და 2022 წლების).

ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების, მათ შორის ხელშეკრულებების შესწავლისას დადასტურდა მათი შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ამასთან, ერთ- ერთი ხელშეკრულების (№06/01; 20.05.2022) გაცნობისას, გამოიკვეთა, რომ ერთი და იგივე პირი არის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებში და ასევე, სასწავლებლის ბუღალტერი. დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, გარდა ერთი გამონაკლისისა, ხელშეკრულების დანართით (სამუშაო აღწერილობა) განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა (30-30 საათი) და პერიოდი (10:00-17:00) ორთავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პოზიციისათვის იყო ერთი და იგივე. აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამობაში აღმოჩნდა კოლეჯის შინაგანაწესის მე-7 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის მიხედვით, დასაქმებულს უფლება აქვს შეთავსებით ეკავოს სხვა თანამდებობა და ასრულებდეს ანაზღაურებად სამუშაოს, მათ შორის მუშაობდეს პროფესიული განათლების მასწავლებლად, თუ შესაძლებელია შეთავსებითი სამუშაოს შესრულება სასწავლებელში მისი სამუშაო დროისგან თავისუფალ დროს.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა ცვლილებები. კერძოდ, შევიდა ცვლილება ბუღალტრის სამუშაო აღწერილობაში და შესაბამისად, გაფორმდა შეთანხმება სასწავლებელსა და დასაქმებულს შორის და ბუღალტრის ფუნქციების შესასრულებლად განისაზღვრა მაქსიმუმ 10 საათი, შეიცვალა სამუშაოს შესრულების პერიოდი და დაემატა სამუშაოს დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობაც (დანართი №2).

ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია შეთავსებით სამუშაოსთან დაკავშირებით. შეთავსებითი სამუშაოს საკითხებს არეგულირებს შინაგანაწესის მე-7 მუხლი. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს სათანადო კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა, არაუმეტეს 300 აკადემიური საათისა სასწავლო წლის განმავლობაში. ინტერვიუთი და საათობრივი დატვირთვის ბადის გადამოწმებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციულ პერსონალს რეალურად არ აქვს კვირაში -7-8 საკონტაქტო საათზე მეტი. თუმცა ზემოაღნიშნული ჩანაწერი არ ზღუდავს კვირეულ საათობრივ დატვირთვას და არსებობს ადმინისტრაციული პერსონალის ყოველკვირეული მოცულობითი დატვირთვის რისკი, რაც ხელს შეუშლის მას ძირითადი ფუნქცია- მოვალეობების შესრულებაში.

<u>შესაბამისად, - რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს შინაგანაწესში არსებულ ჩანაწერს ადმინისტრაციული პერსონალის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით და ნაცვლად წლიური დატვირთვის მაქსიმალური ზღვარისა დაადგინოს ყოველკვირეული სასწავლო დატვირთვის მაქსიმალური ზღვარი, რათა არ შეფერხდეს პერსონალის ძირითადი საქმიანობის განხორციელება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურების საკითხები დარეგულირებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევა და დასაქმება ხდება სხვადასხვა გზით:

ა) წარდგინების საფუძველზე; ბ) შიდა საკადრო გადაადგილების გზით; გ) ღია კონკურსის წესით. თანამშრომლის შერჩევის პროცესს კოორდინირებას უწევს და მართავს სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი. კონკურსის გამოცხადებისას იყენებენ სხვადასხვა პლატფორმებს და ათავსებენ მასზე ვაკანსიებს.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში განხორციელდა რეორგანიზაცია, კოლეჯში საკმაოდ ბევრი ახალი თანამშრომელი არის დასაქმებული. მათი ნაწილი შიდა როტაციის პრინციპით გადაინიშნა ახალ პოზიციაზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ნაწილი კი შერჩეული იქნა კონკურსის გზით. დაწესებულებამ წარმოადგინა რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიციებზე კონკურსის ჩატარების მტკიცებულებები (ბრძანებები, ოქმები, დანიშვნის აქტები, ხელშეკრულებები). დადასტურებულია კონკურსების ჩატარება და თანამშრომელთა შერჩევა მართვის პოლიტიკის დოკუმენტის რეგულაციის შესაბამისად. თანამშრომელთა ნაწილი კი დანიშნულია წარდგინების საფუძველზე.

ადამიანური რესურსების მოზიდვისა და კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით შედგა ინტერვიუ ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორთან. ასევე, ახლადდანიშნულმა კონკურსის გზით შერჩეულმა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა დეტალურად აღწერა კონკურსის წესი და ჩატარების პროცედურა, შეფასების სქემა, ისაუბრა კონკურსის გამჭვირვალობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და თანამშრომელთა ინტერვიუთი დასტურდება, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. აღნიშნულის მიზნით ექსპერტებმა გამოითხოვეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გაანალიზდა მათი შესაბამისობა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. დადასტურებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის კვალიფიკაციის რელევანტურობა.

<u>თანამშრომლების პირად საქმეებში დაცულ დოკუმენტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე თანამშრომლის პირად საქმეში არ იდო დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. მაგალითად: ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პირად საქმეში არ იდო CV (თუმცა დაცული იყო საკონკურსო მასალებში); მატერიალური რესურსების კოორდინატორის პირად საქმეში არ იყო სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ დოკუმენტები პირად საქმებეში განათავსა ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე.</u>

ექსპერტები ადასტურებენ, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ორგანიზაციის მართვის პოლიტიკის მე-20 მუხლით ჩამოყალიბებულია ხედვა ორგანიზაციულ კულტურასთან მიმართებაში:

ორგანიზაციული კულტურა გულისხმობს სასწავლებლის საქმიანობის წარმართვის პრინციპებს, ფასეულობებს, ქცევის სტანდარტებს, სამუშაო ატმოსფეროს, პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს; ორგანიზაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურა ეფუძნება პასუხისმგებლობის, გუნდურობის, თანასწორობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. პერსონალი პატივს უნდა სცემდეს სასწავლებელსა და მის ტრადიციებს და სასწავლებლის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაიცვან სამსახურებრივი სუბორდინაციის პრინციპი.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში, ორგანიზაციასთან შედგა თანამშრომლობითი ურთიერთობა და თავად ორგანიზაციაც მოქმედებდა გუნდური პრინციპით. დაწესებულებამ ვიზიტისას, მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და ვიზიტისას განხორციელებული ქმედებებით გამოამჟღავნა პასუხისმგებლობა და დაადასტურა გუნდურობა.

მართვის პოლიტიკის მონაწილეობითობა და გუნდურობა დადასტურებულია რესტრუქტურიზაციის პროცესში თანამშრომელთა ჩართულობით, სამუშაო ჯგუფების ფარგლებში შექმნილი განახლებული მექანიზმებით, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება გეგმავს თავისი საქმიანობის განხორციელებას.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,თბილისი პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 04 აგვისტოს №01/45 ბრძანება;
- შპს ,,თბილისი პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 8 ივნისის N01/24 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“-ს საშტატო განრიგისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისთვის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/87 ბრძანება;
- ხელშეკრულების შეთანხმება (17.11 2022) - ,,შპს ,,თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელსა და ფიზიკურ პირს - რუსუდან ბაბაკიშვილს შორის 2022 წლის 20 მაისს გაფორმებულ №06/01 შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელში რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტის ვაკანსიაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 14 ივლისის N01/32 ბრძანება;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის „ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტის არსებულ ვაკანსიებზე კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N01/46 ბრძანება;
- საკონკურსო მასალები;
- დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათები;
- პერსონალის პირადი საქმეები (cv/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატები), მათ შორის, შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალთან და ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან/პირებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლებელი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, რისთვისაც შემუშავებული აქვს სპეციალური კითხვარები. პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი და განვითარებაზე ზრუნვა გაწერილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

დაწესებულებაში თანამშრომელთა შეფასების სისტემა გულისხმობს პერსონალის საქმიანობის შეფასებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. პერსონალის შეფასება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, სასწავლებლის ყველა თანამშრომლისთვის (გარდა სასწავლებლის დირექტორისა). შეფასების პროცედურების დაგეგმვა-განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება ხორციელდება შემდეგი გზებით: თვითშეფასება; უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა; პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვა. შეფასების პროცესის ამსახველი მასალები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. დამსაქმებელი ვალდებულია არ გაახმაუროს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მისთვის ცნობილი ინფორმაცია. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც.

პერსონალთან კომუნიკაციით დადგინდა, რომ თანამშრომელთა შეფასებას დაწესებულება არ ახორციელებდა და მიმდინარე წელს დაინერგა ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგია. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წელს დამტკიცებული მართვის პოლიტიკის შესაბამისად ჩატარებული თანამშრომელთა თვითშეფასებისა და შეფასების მტკიცებულებები ადმინისტრაციის ყველა თანამშრომლისათვის. შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმა, გარდა ქულობრივი შეფასებისა ასევე, მოიცავს ინფორმაციას ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების თაობაზე, სადაც ფიქსირდება უშუალო ხელმძღვანელის პოზიცია.

ექსპერტები თვლიან, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ერთდროულად მიმდინარეობს თვითშეფასება და უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასება პირის სამუშაო აღწერილობასთან მიმართებაში და აღნიშნული იძლევა არა ზოგად შეფასებას პირის საქმიანობასთან მიმართებით, არამედ ფასდება სამუშაო აღწერილობიდან რას ასრულებს თანამშრომელი ყველაზე კარგად ან რას აქცევს ნაკლებ ყურადღებას და დგინდება სად სჭირდება მას მხარდაჭერა.

მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის პროფესიული განვითარება. ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი პასუხისმგებელია, სასწავლებლის პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის სხვადასხვა ტიპის მოკვლევის ჩატარებაზე, საჭიროების დასადგენად თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციების განვითარება ესაჭიროება პერსონალს პერსონალის შრომითი კმაყოფილებისა და ჩართულობის განსაზღვრის, მათი ინტერესებისა და მოტივაციის დონის დადგენის მიზნით, ასევე, პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოკვეთის მიზნით, ჩატარებულია კვლევა ონლაინ პლატფორმა Google forms საშუალებით. წარმოდგენილია კვლევის ანგარიში (2022 წლის 04 აპრილის სამსახურებრივი ბარათით). აღნიშნული კვლევით გამოკვეთილია საშტატო განრიგის გადახედვის აუცილებლობა თანამშრომელთა შეფასების სისტემის ამოქმედების საჭიროება და იდენტიფიცირებულია პერსონალისათვის სხვადასხვა საჭიროებები. შესაბამისად, კოლეჯის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია პერსონალის განვითარება მათი საჭიროებების მიხედვით. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში ცალკე ამოცანად არის განსაზღვრული „პერსონალის მართვის და შეფასების პროცესების დანერგვა“ და აღნიშნული პროცესები დაწესებულებამ უზრუნველყო. ასევე, ცალკე ამოცანაა - „პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა“, გაწერილია კონკრეტული აქტივობები და განსაზღვრულია ბიუჯეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. დაწესებულებამ პერსონალის საჭიროებათა კვლევის ანალიზის საფუძველზე, უკვე 2022 წელს განახორციელა სხვადასხვა აქტივობები. მათ შორის, ინტერვიუს დროს თანამშრომლებმა აქცენტი გააკეთეს ბოლო პერიოდში ჩატარებულ ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსსა და ტრენინგზე ,, ელექტრონული დოკუმენტების სისტემის - eflow - ს არსი ფუნქციონირების პრინციპები".

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განვითარების ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის 2020 – 2022 წლების სტატისტიკა; ადმინისტრაციული პერსონალიდან 17 პირმა გაიარა 6 კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი: კომპიუტერული კურსი, საოფისე კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი (2020-2022), პირველადი გადაუდებელი დახმარება, ელექტრონული დოკუმენტების სისტემის - eflow- ს არსი ფუნქციონირების პრინციპები, სასწავლო პროცესის წესი და მათთან დაკავშირებული მარეგულირებლები, ინკლუზიური განათლების პრინციპები და სხვ.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.

3. სასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია განვითარების ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის 2020 – 2022 წლების სტატისტიკა- 29 პირმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგი ტრენინგი: კომპიუტერული კურსი, საოფისე კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსი (2020-2022), პირველადი გადაუდებელი დახმარება, ელექტრონული დოკუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემის - eflow. Emis არსი ფუნქციონირების პრინციპები, სასწავლო პროცესის წესი და მათთან დაკავშირებული მარეგულირებლები, ინკლუზიური განათლების პრინციპები და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, პროფესიული განათლების მასწავლებლები ყველაზე დიდ გამოწვევად ასახელებენ შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და ამ მიმართულებითად ტარდება სამუშაო შეხვედრები და მიმდინარეობს მათი უნარების გაძლიერება. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან შეხვედრის დროს.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი. სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი წარუდგენს ახალ თანამშრომელს ადმინისტრაციულ პერსონალს გააცნობს გარემოს, სერვისებს, უფლება - მოვალეობებს და სხვ.

ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას ხელს უწყობს, უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორთან ერთად აცნობს მისი პოზიციის სამუშაოს აღწერილობას და განუმარტავს სამუშაოს მოთხოვნებს, აცნობს თუ როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი სამუშაო და უსახავს ყველა იმ ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისთვის.

აღნიშნული რეგულაცია გადამოწმდა ადმინისტრაციის ახლადდანიშნულ თანამშრომლებთან (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი) ინტერვიუს გზით. მათ დაადასტურეს ინტეგრირების პროცესში მხარდაჭერის პროცესი. ისაუბრეს კონკრეტულად განხორციელებულ აქტივობებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა პერსონალისა, ინტეგრაციის ხელშეწყობა დასტურდება ახალ მასწავლებლებთანაც, რომლებმაც ისაუბრეს ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებზე სწავლების, შეფასების, კალენდარული გეგმის შედგენის საკითხებზე.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-19 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარების საკითხებს. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების გამოვლენა ხორციელდება პერსონალის პროფესიული განვითარების მოკვლევის ფარგლებში ან ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორისადმი წერილობითი/ზეპირი მიმართვის საფუძველზე. სწორედ პერსონალის საჭიროებათა კვლევის დროს პერსონალის უმრავლესობამ წამოაყენა ინიციატივა ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულებამ უმოკლეს ვადაში უზრუნველყო. აღნიშნული დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,თბილისი პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 04 აგვისტოს №01/45 ბრძანება;
- ადმინისტრაციის თანამშრომელთა თვითშეფასებისა და შეფასების ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- დირექტორის მოადგილის 2022 წლის 04 აპრილის სამსახურებრივი ბარათით წარდგენილი პერსონალის საჭიროებათა ანალიზი;
- ონლაინ პლატფორმა Google forms გადამოწმების შედეგი (პერსონალის საჭიროებათა კვლევის მტკიცებულება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ სამოქმედო ერთწლიანი გეგმის (2022- 2023 წ. დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 16 აგვისტოს N01/49 ბრძანება; რომელშიც ასახულია პერსონალის განვითარების გეგმის შესაბამისი ბიუჯეტი;
- განვითარების ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის 2020 – 2022 წლების სტატისტიკა;
- განვითარების ღონისძიებებში პროგრამის განმახორციელებელთა მონაწილეობის 2020 – 2022 წლების სტატისტიკა;
- პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტები/მასალა;
- პერსონალთან პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ ***შეესაბამება***

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი. საჯარო რეესტრის ამონაწერით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.13.06.009.020; განცხადების **რეგისტრაცია - N** 882022817775 - 08/11/2022) დასტურდება, რომ სასწავლებელს შპს ,,რეაბილიტაცია - ადაპტაციის ეროვნული ცენტრი" - საგან იჯარით აღებული აქვს ფართი ჯამში 1013 კვ. მ. მათ შორის, სასწავლებელი ფუნქციონირებს მეორე და მესამე სართულებზე, რომლის ფართი შეადგენს 958 კვ.მ. (II სართული – 485 კვ.მ; III სართული – 473 კვ. მ). წარმოდგენილია უზუფრუქტის ხელშეკრულება, რომელიც გატარებულია საჯარო რეესტრში. ხელშეკრულება გაფორმებულია ავტორიზაციის ვადით (28/02/2029).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი და შევსებული ფორმა მე-5 სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია მატერიალური რესურსის, მათ შორის, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა: ფოიე, თეორიული სწავლების აუდიტორიები, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ფართი, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სანიტარიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვანძები, ბიბლიოთეკა, ექთნის ოთახი, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები, სივრცე არქივისთვის. ფართები აღჭურვილია საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს მათ დანიშნულების შესაბამისად ფუნქციონირებას.

შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზით. იგივე დოკუმენტი არეგულირებს სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრის, შეძენის, მოთხოვნა - შენახვისა და გამოყენების წესებს. სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი. აღნიშნულ წესით დადგენილია თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების მატერიალურ - ტექნიკური რესურსით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის შესაძლებლობები. სტუდენტის მიერ სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლება ასევე გაწერილია სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

სასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე გათვალისწინებულია სტუდენტის უფლება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ლიფტი. შესაბამისად, უზრუნველყოფილია გადაადგილება ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ბრძანებით განსაზღვრულია ლიფტით სარგებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზიტის პერიოდში შედგა ინტერვიუ პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დადასტურებულია, რომ სასწავლებელში არ ყოფილა გამოწვევა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის, საერთო სივრცეებისადა მატერიალური რესურსის გამოყენების თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, დადასტურებულია, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. სასწავლებლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ" №01/29 ბრძანება არეგულირებს სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის საკითხებს. გაფორმებულია ხელშეკრულება დამლაგებელთან, რომელიც პასუხისმგებელია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს დაწესებულება და ვიზუალურადაც დასტურდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. დამლაგებელი ანგარიშვალდებულია მატერიალური რესურსების კოორდინატორთან. შემუშავებულია და სანიტარულ კვანძებში განთავსებულია დამლაგებლის მიერ ყოველდღიური საქმიანობის აღმწერი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია შემსრულებელი და უშუალო ხელმძღვანელი პირების მიერ. ამასთან, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პანდემიურ და არაპანდემიურ სიტუაციებში დასუფთავების წესებსა და პერიოდულობას.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. დაწესებულებამ თვითშეფასებაში მიუთითა, რომ სასწავლებლის ერთი სართული უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო დანარჩენ ნაწილში დაგეგმილია ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფა და წარმოადგინა 5.1 კომპონენტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით ცენტრალური გათბობა დამონტაჟდებოდა 2022 წლის დეკემბრის ბოლომდე. თუმცა ვიზიტის პერიოდში გათბობა უკვე დამონტაჟებული იყო. აღნიშნული დადასტურდა დოკუმენტური მტკიცებულებებით (მომსახურების ხელშეკრულება და მიღება - ჩაბარების აქტი) და ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, დადასტურებულია რომ შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. შინაგანაწესის მიხედვით, სასწავლებელი ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის საჭირო, ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი სანიტარულ–ჰიგიენური, ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების მოთხოვნებზე; კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის №01/15 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების წესები. ასევე, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა. რეგულაციები სასწავლებელში თვალსაჩინოდ არის განთავსებული.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სასწავლებელს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების აკრედიტებულ სპეციალისტთან, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია - მოვალეობები გაწერილია სამუშაო აღწერილობაში. ვიზიტის პერიოდში ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი ჯერ არ იყო ჩატარებული, ვინაიდან სწავლა ახალ დაწყებული იყო. თუმცა, წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, რომლითაც დადასტურდა თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის განსაზღვრის, შეძენის, მოთხოვნა - შენახვისა და გამოყენების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული რეგულაციის მიხედვით, პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალა-ნედლეულისა და პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის ოდენობას, პროგრამის განმახორციელებელი პირების ჩართულობით განსაზღვრავს პროგრამების კოორდინატორი, ხოლო მასალა-ნედლეულის უწყვეტ და შეუფერხებელ მიწოდებაზე პასუხისმგებლობა აკისრია მატერიალური რესურსების კოორდინატორს.

მასალა-ნედლეულის წერილობითი სახით მოთხოვნა ხდება მოდულის განხორციელების დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე. მასწავლებელს მატერიალური რესურსების კოორდინატორი გადასცემს მოდულის დაწყებამდე მასალა-ნედლეულს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ხოლო, მოდულის დასრულებისას მასწავლებლის მიერ ხდება გახარჯული მასალა-ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და არსებობის შემთხვევაში გაუხარჯავი მასალა-ნედლეულის დაბრუნება მატერიალური რესურსების კოორდინატორისთვის, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

ვიზიტის პერიოდში არსებული მექანიზმის მოქმედების მტკიცებულებებად დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა, მატერიალური რესურსების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათები, მოთხოვნის ფორმები, მიღება - ჩაბარებისა და ჩამოწერის აქტები. აღნიშნული მიზნებისათვის შემუშავებული აქვთ სხვადასხვა სახის ფორმები, რომელთა გამოყენებითაც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ასევე განსაზღვრავს ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს. აღნიშნულ წესთან დაკავშირებით, ექსპერტებმა მიუთითეს, რომ დოკუმენტი მოიცავს ისეთ დებულებებს, რაც სასწავლებელში არ ხორციელდება და არც უნდა ეწეროს წესში. კერძოდ - ამოსაღებია ჩანაწერი - „ქიმიური ნარჩენები გროვდება ერთმანეთისგან განცალკევებულად: აღნიშნული ქვეკატეგორიები მოიცავს ვერცხლისწყლის შემცველ დაზიანებულ საგნებს/მოწყობილობას, ბატარეებს, კადმიუმის შემცველ ნარჩენებს, ფოტო-რეაგენტებს, ლაქებსა და ლაბორატორიულ რეაგენტებს“.

84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერცხლისწყალი არც ერთი პროგრამით არ არის გათვალისწინებული. განმარტეს, რომ მას არც იყენებენ და წესში არის ტექნიკური შეცდომა. ანალოგიურად, წესში ნახსენებია კონცენტრირებული მჟავე, რაც ანალოგიურად არ გამოიყენება პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წესში არის ტექნიკური უზუსტობები და გაასწორებენ. ***შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია წესში გაასწოროს ტექნიკური უზუსტობები.***

უტილიზაციის წესის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, რომ ვადაგასული და გამოუსადეგარი რეაქტივები გროვდება ცალკე და უტილიზაციისათვის /გასანადგურებლად გადაეცემა შესაბამის ლიცენზირებულ დაწესებულებას. აღნიშნულის მტკიცებულებად, დაწესებულებამ წარმოადგინა სპს ,,მეიკალ ტექნოლოგთან: გაფორმებული 2019 წლის 21 ნოემბრის უტილიზაციის ხელშეკრულება (№21/11- 1ხ; 21.11.2019); მიღება - ჩაბარების აქტები №20/07- 1ა;20.07.2022 და № 21/07-2გ; 21.07.2022.

ყოველივე ზემოაღნიშნულით დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით დამტკიცებული ,,მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“ - ს მიხედვით, სასწავლებლის მატერიალური რესურსების კოორდინატორი ზრუნავს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის/ეფექტიანობის შეფასებასა და თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სასწავლებლის მატერიალური რესურსების კოორდინატორი უზრუნველყოფს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგს არაუმეტეს 6 თვეში ერთხელ, გამართულად მუშაობის შემოწმებას და ხარვეზების/ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას. მტკიცებულებად წარმოდგენილია ინვენტარიზაციის მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით კი დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს მატერიალური რესურსების შეფასება -გაუმჯობესებას და ზოგადად რესურსების უწყვეტი შეფასების საფუძველზე მის მუდმივ განვითარებას.

წარმოდგენილია კითხვარი მასწავლებლების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციისათვის რომელიც ითვალისწინებს რესურსის შეფასების საკითხს. წარმოდგენილია სამსახურებრივი ბარათები რესურსების განახლებას, ახლის შეძენასთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაში და ასევე წარმოდგენილია მათი უკვე შესრულების მტკიცებულებები (ინვოისები, სასაქონლო ზედნადებები; ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. სასწავლებელში ორთავე სართულზე არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები (5 კვანძი), რომლებიც უზრუნველყოფილია წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის (3 სანიტარული კვანძი ადაპტირებულია)..

წარმოდგენილია ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნების დამაყოფილება.

9. სასწავლებელში ყველა სასწავლო ფართი, სადაც პროფესიულ სტუდენტს და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება მუშაობა, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით.

10. სასწავლებელში არსებული სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით.

11. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი, რომლებშიც ჩატვირთულია ელექტრონული სასწავლო რესურსი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში მოქმედებს სასწავლებლის დირექტორის სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 08 ივნისის N 01/26 ბრძანებით დამტკიცებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გამოკრულია ბიბლიოთეკაში. კოლეჯის რეგულაციები მიხედვით, თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და ინტერნეტრესურსებით, სამუშაო დღის საათებში 10:00-17:00.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შპს ,,რეაბილიტაცია - ადაპტაციის ეროვნული ცენტრთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;
- აზომვითი ნახაზი და შევსებული ფორმა მე-5 სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- ბალანსზე რიცხული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- სასაქონლო ზედნადებები, მიღება - ჩაბარების აქტები;

87

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ №01/29 ბრძანება;
- შპს თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელსა და *ფ/პ* რობერტი ხურციძეს შორის გაფორმებული 2022 წლის 07 ნოემბრის მომსახურების ხელშეკრულება გათბობის სისტემის მონტაჟი/გამართვასთან დაკავშირებით და 2022 წლის 14 ნოემბრის მიღება - ჩაბარების აქტი;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე (კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელშეკრულება);
- უტილიზაციის ხელშეკრულება - შპს ,,*მედიკა* ტექნოლოგი“ (№21/11- 1*ბ*; 21.11.2019); მიღება - ჩაბარების აქტები №20/07- 1ა;20.07.2022 და № 21/07-2*გ*; 21.07.2022;
- ,,მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“ - დამტკიცებულა შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით;
- ინვენტარიზაციის მასალები; ინვოისები, სასაქონლო ზედნადებები;
- ინვენტარის აღწერის/განახლება/შეკეთების/ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- 2021 წლის 25 დეკემბრის 301/20 ბრძანებით განსაზღვრული ინვენტარიზაციის შედეგები;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის №01/80 ბრძანება;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

88

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

2 დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

3 დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

4 დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

1. დაწესებულებას უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს ,,კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული 2020 წლის 17 ივლისის ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადასტურებულია სასწავლებლის შენობის მდგრადობა.

დაწესებულებას თვითშეფასებით წარმოდგენილი ჰქონდა სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N 01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობისა გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის დეკემბერი. თუმცა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა შსს- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის 04 ოქტომბრის №MIA 7 22 02778220 კორესპონდენციით წარმოდგენილი ,,სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის №417 მიწერილობა“, რომლის მიხედვითაც დაწესებულების შემოწმება განხორციელდა 2022 წლის 29 სექტემბერს. დაწესებულებას მიღებული აქვს 12 რეკომენდაცია. მათ შორის, 2022 წლის 17 ნოემბრისთვის შესრულებული უნდა ყოფილიყო შემდეგი რეკომენდაცია - ,,შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ობიექტის თანამშრომელთაგან განისაზღვროს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებასა და გამოყენებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2022 წლის 20 ოქტომბრის №01/80 ბრძანება, რომლითაც დასტურდება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. მიწერილობის მიხედვით რეკომენდაციების შესრულების გეგმა გაწერილია 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან მიღებული აქვს მიწერილობა (გეგმა - გრაფიკი) და მიჰყვება მას, ექსპერტები თვლიან, რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. შემუშავებულია პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ექთნის საშტატო ერთეული. კოლეჯში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი. სამუშაო აღწერილობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია შესასრულებელი ფუნქცია - მოვალეობები. პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტში არსებობს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. ვიზიტის დროს განხორციელდა გადაუდებელი დახმარების ოთახის ვიზუალური დათვალიერება.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. წარმოდგენილია სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კომუნიკაცია და 5.1 კომპონენტთან შესაბამისობაში მოყვანის პერიოდად განსაზღვრულია 2022 წლის დეკემბერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს №01/43 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა - ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ -ს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დოკუმენტი შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით, მაგრამ ვიზიტის მომენტისთვის არ იყო შეთანხმებული. შესაბამისად, **დასკვნის პროექტის ფარგლებში 5.1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დ 5.1.2 (3) ინდიკატორთან მიმართებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია.**

2022 წლის 27 დეკემბერს შპს ,,პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ № 00012665 კორესპონდენციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 26 დეკემბრის MIA 2 22 03651701 წერილი, რომლის თანახმად სამსახურმა შეითანხმა შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა და გაითვალისწინა შესაბამისობების გეგმა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უკვე მათი შესრულების მტკიცებულებების შესწავლა, რადგან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა გავიდა. წარმოდგენილი მტკიცებულებით დადგინდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ დააკმაყოფილა 5.1.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლებლის შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია დასაქმებულის ვალდებულებები წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დაცვის თანამშრომელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ხოლო სამუშაო აღწერილობებში გაწერილია მისი ფუნქცია-მოვალეობები.

ვიდეოკონტროლის და დაცვის სისტემით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თვითშეფასებით წარმოდგენილი იყო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N 01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობისა გეგმა, რომლითაც წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის პროცესის დასრულება გათვალისწინებული იყო 2022 წლის დეკემბრის თვის ბოლოს. თუმცა ვიზიტისას დადგინდა რომ აღნიშნული პროცესი დასრულებული იყო. წარმოდგენილია შპს "ომეგა მ.ბ.რ."-სთან გაფორმებული 2022 წლის 09 სექტემბრის მომსახურების ხელშეკრულება ,,სიგნალიზაციის, ვიდეოსამეთვალყურეო და დაშვების სისტემების, ნასყიდობისა და მონტაჟს ხელშეკრულება და მიღება - ჩაბარების აქტი.

წარმოდგენილი მტკიცებულებით, ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია დაწესებულებაში წესრიგის დაცვის მექანიზმების ფუნქციონირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N 01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის 04 ოქტომბრის №MIA 7 22 02778220 კორესპონდენციით წარმოდგენილი ,,სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის №417 მიწერილობა;
- ,,კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრის“ მიერ გაცემული 2020 წლის 17 ივლისის ექსპერტიზის დასკვნა (შენობის მდგრადობის დასკვნა);
- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვასა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებასა და გამოყენებისთვის მზადყოფნაზე, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე, აგრეთვე ლიფტით სარგებლობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორს 2022 წლის 20 ოქტომბრის №01/ 80 ბრძანება;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/60 ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი.
- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“ -ს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 01 აგვისტოს №01/43 ბრძანება;
- შპს "ომეგა მ.*გ.რ.*"-*სთან* გაფორმებული 2022 წლის 09 სექტემბრის მომსახურების ხელშეკრულება ,,სიგნალიზაციის, ვიდეოსამეთვალყურეო და დაშვების სისტემების, ნასყიდობისა და მონტაჟს ხელშეკრულება;
- მიღება - ჩაბარების აქტები;

93

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების დათვალიერების შედეგები;
- კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.
- **შპს „პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ 2022 წლის 27 დეკემბრის № 00012665 კორესპონდენცია - არგუმენტირებული პოზიცია;**
- **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 26 დეკემბრის MIA 2 22 03651701 კორესპონდენცია**
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

კომპონენტიც ფასდება როგორც „ შეესაბამება“

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით დაწესებულებას თვითშეფასებით წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N 01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობისა გეგმა, რადგან არ იყო საკმარისად მიჩნეული ტექნიკა ადმინისტრაციული პერსონალისათვის. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროცესს, -სასწავლებელში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისად და ადეკვატურად იყო შეფასებული. დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში უკვე დასრულებული ჰქონდა შესყიდვების პროცედურა (შეძენილია 18 კომპიუტერი, 18 კლავიატურა, 5 მონიტორი, 1 პრინტერი, 3 ქსელის გამანაწილებელი, 1 უწყვეტი კვების წყარო; 3 კედლის მონიტორი). წარმოდგენილია შესყიდვების ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით დაწესებულებას გამოწვევა არა ჰქონია. ყველა ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით მუშაობის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ჩანს პროგრამების შეფასებისას. კერძოდ, დაწესებულებას კომპიუტერული კლასი მოწყობილი აქვს 20 პროფესიული სტუდენტისათვის.

წარმოდგენილია ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება. გადამოწმებით დადასტურდა, რომ ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლებლის სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის პირობებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და განვითარების მექანიზმებს, IT რისკების მართვას, ელექტრონულ და საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია IT სპეციალისტი, რომელთან კომუნიკაციითაც დადასტურდა მისი კვალიფიციურობა. ის დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. თანამშრომლებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციითაც დადასტურდა მათი კმაყოფილება აღნიშნული მიმართულებით.

წარმოდგენილი მტკიცებულების, პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურებულია, რომ სასწავლებელში უზრუნველყოფილია IT სერვისების უსაფრთხო და ეფექტიანი ხელმისაწვდომობა. როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის N01/30 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. დარეგულირებულია შემდეგი საკითხები: სასწავლებელში დამუშავებული მონაცემები, მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, მონაცემთა დამუშავების მიზნები, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასა და დავაზე პასუხისმგებელი პირები, მონაცემთა უსაფრთხოება. მონაცემთა დამუშავების ტექნიკური უსაფრთხოება რეგულირდება სასწავლებლის მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესის შესაბამისად. კერძოდ: სასწავლებლის ტერიტორიაზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულია უსაფრთხოების/ვიდეოსამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები. უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები დაცულია არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან, ინახება დაცვის ოთახში განთავსებულ, პაროლით დაცულ სპეციალიზებულ მოწყობილობაში. ისე, რომ შეუძლებელია არაუფლებამოსილ პირთა მხრიდან მათზე წვდომა - მათი დათვალიერება, გადმოწერა, წაშლა, არასასურველი მიზნით გამოყენება, გავრცელება და ა.შ უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები ინახება 40 დღის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხდება ჩანაწერების ავტომატურად წაშლა. უსაფრთხოების კამერების საშუალებით, გარე პერიმეტრისა და შესასვლელის მონიტორინგის ახორციელებს დაცვის თანამშრომელი. ამასთან პერსონალთან, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები მოიცავს პერსონალური მონაცემების გაზიარების თაობაზე თანხმობას, დამატებით პირად საქმეებში ინახება პერსონალური მონაცემების გაზიარების თანხმობის ხელმოწერილი დოკუმენტი.

დაწესებულების თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მათი პერსონალური მონაცემების დაცვას. შრომის შინაგანაწესითა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებითაც გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვა.

ინდიკატორის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ -ითვალისწინებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ, პროფესიულ სტუდენტთა კვლევის მეთოდოლოგია სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების (მატერიალური/სასწავლო/ინფორმაციული ტექნოლოგიები) შეფასებას. შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. აღნიშნულ თემებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით უკუკავშირი მიიღება ადმინისტრაციული პერსონალისა და პროგრამების განმახორციელებლებისაგან. სწორედ ადმინისტრაციული პერსონალისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაგეგმა დაწესებულებამ და 2022 წელს გაუმჯობესა IT ინფრასტრუქტურა, რასაც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი.

დადასტურებულია, რომ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5. სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით დამტკიცებულ მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესით რეგულირდება IT ინფრასტრუქტურის გამოყენების საკითხები, პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის როგორც სასწავლო, ისე საგანმანათლებლო საქმიანობის მიღმა.

არსებული რეგულაციის, პერსონალისა და სტუდენტებთან ინტერვიუთი დადასტურდა რომ სასწავლებელი ქმნის ყველა პირობას რათა იქ მყოფ ყველა პირს ჰქონდეს IT ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობა.

6. სასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, ადმინისტრაციული პერსონალისთვის დომეინით შექმნილი ელ. ფოსტების მეშვეობით. პროფესიული სტუდენტებისთვის სოციალურ ქსელში შექმნილია ერთიანი ჯგუფები, სადაც პანდემიის დროს ხდებოდა მათთან კომუნიკაცია. ამ ეტაპზე დაწესებულება სტუდენტებთან კომუნიკაციისათვის აქტიურად იყენებს ელექტრონულ მიმოწერას და ასევე სოციალური ქსელის ჯგუფებს. სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტებზე ეგზავნებათ სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, განმსაზღვრელი შეფასების შედეგები. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 2 სექტემბრის N01/54 ბრძანებით დამტკიცებული მატერიალური რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N 01/68 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 17 ივნისის N01/30 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა;
- IT სპეციალისტის პირადი საქმე / ხელშეკრულება;
- შესყიდვის ხელშეკრულებები (შპს ,,*ივერსი*“; შპს *ეა ელექტრონიქსი,*) სასაქონლო ზედნადებები, მიღება - ჩაბარების აქტები.
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება (30.10.2019);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლის შედეგი (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი);
- IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგი;
- დაწესებულების *დომეინით* პერსონალისთვის ამოქმედებული ელ-ფოსტის მისამართების შემოწმების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან, თანამშრომლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლებელში მოქმედებს საქმისწარმოების წესი, რომელიც აწესრიგებს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს სასწავლებელში შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა დოკუმენტაციის მომზადების, გაფორმების, აღრიცხვის, შესრულება/გამოყენების, შენახვის და განადგურების წესს. გაფორმებულია ხელშეკრულება რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტთან და მის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები.

დაწესებულებაში არის საქმისწარმოების შერეული სისტემა (მატერიალური და ელექტრონული საქმისწარმოება) ვიზიტისას გადამოწმდა საქმისწარმოება სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბრის N01/57 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესთან მიმართებაში (გადამოწმდა ცნობების გაცემა, განცხადებების რეგისტრაცია, ბრძანებების რეგისტრაცია, წიგნების წარმოება; კორესპონდენციისა და ანგარიშის გაგზავნა და სხვ) და დადასტურებულია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

2. სასწავლებელი იყენებს საქმისწარმოების/ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას (e-flow), ამ ეტაპზე აქვთ ოთხი იუზერი (დირექტორი, მოადგილეები და რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტი). მიმდინარე წელს ყველა თანამშრომელს ჩაუტარდათ ტრენინგი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (e-flow) მართვასთან და ფუნქციონირების პრინციპებთან დაკავშირებით. ვიზიტისას შეფასდა ელექტრონულ სისტემაში პროფესიულ სტუდენტთა ბრძანებების, განცხადებების ასახვა.

ასევე, სასწავლებელი საქმიანობის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელებისთვის, ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის შესაქმნელად, ელექტრონული ფოსტისთვის, ინტერნეტში გაზიარებული სივრცისთვის და გამოკითხვისთვის იყენებს შესაბამისი ფუნქციების პლატფორმებს. დაწესებულებას ეძლევა

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ადმინისტრაციული პროცესების მოქნილად წარმართვის, გამჭვირვალე საქმისწარმოებისათვის აუცილებელია თანამშრომლების მაქსიმალური ოდენობა ჩაერთოს e-flow- ში.

შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია მაქსიმალური ოდენობა ჩართოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში eflow.

3. სასწავლებელი ასახავს ინფორმაციას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნული მიზნებისათვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტთან.

აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მე-3 და მე-4 სტანდარტებთან შესაბამისობაშიც (სტუდენტის ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა და სხვ) მიმართებაში და დადასტურებულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლებელს საქმისწარმოების წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პროცედურა და იცავს მათ. აღნიშნული მოთხოვნის შეფასება განხორციელდა ელექტრონული სისტემის eflow გადამოწმებით და დადასტურებულია შესაბამისობა. დადასტურებულია, რომ დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი"-ს საშტატო განრიგისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისათვის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ" შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანება;
- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 07 სექტემბრის N01/57 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა) - გადამოწმების შედეგი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის გადამოწმების შედეგი;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია, გაგზავნილი ანგარიშები და სხვ.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც ,, შესაბამისი"

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლებელს აქვს ვებ-გვერდი www.medicalschool.edu.ge რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულებამ ვებ. გვერდი განაახლა 2022 წელს. მასზე განთავსებულია; მისია, ხედვა ღირებულებები, დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, სტუდენტებისათვის მეცადინეობათა განრიგი, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინფორმაცია პარტნიორთა თაობაზე, დასაქმების სტატისტიკა, წლიური ანგარიშები, სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები, ფოტოგალერეა და სხვ. ვებ. გვერდზე ინფორმაცია დაჯგუფებულია ლოგიკურად და იძლევა მარტივი ნავიგაციის შესაძლებლობას.

ვებ გვერდის ფუნქციონირებისათვის მოვალეობები გადანაწილებულია ორ პოზიციას შორის. ინფორმაციის მომზადებაში შესაბამისი პოზიციის თანამშრომელთან კოორდინაცია და მიწოდებული მასალის რედაქტირება საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მოვალეობაა, ხოლო ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება - IT სპეციალისტის მოვალეობაა.

ასევე, დაწესებულებას აქვს სოციალური ქსელი, სადაც სისტემატურად ხდება სასწავლებლის შესახებ სიახლეების განთავსება. სოციალური ქსელის ადმინისტრირებაც საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მოვალეობაა.

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს დანიშნული საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი. სამოქმედო გეგმის მიხედვით მისი შერჩევა 2023 წლის დასაწყისში იგეგმება. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის ფუნქციებს კი ასრულებდა დირექტორის მოადგილე სასწავლო მიმართულებით. თუმცა აღნიშნული არ დადასტურდა დოკუმენტურად. ვიზიტის პერიოდში გამოიცა შესაბამისი აქტი, რომლითაც - სასწავლო მიმართულებით დირექტორის მოადგილეს დროებით დაეკისრა საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მოვალეობები (დანართი №3).

ვებ გვერდისა და სოც ქსელის გადამოწმებით დადასტურდა რომ ისინი ასრულებს საინფორმაციოა და საკომუნიკაციო ფუნქციას. სტუდენტები და თანამშრომლებიც იცნობენ ვებ. გვერდსა და სოციალურ ქსელს და იყენებენ მათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე აღნიშნული საფუძველზე, დადასტურებულია, რომ ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. დაწესებულებას მისიაშიც განსაზღვრული არ აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება,

3. სასწავლებელს დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლებლის კომუნიკაციის მექანიზმებს და ოფიციალური ინფორმაციის გაცემის წესს . წესის მიზანია საზოგადოების მხრიდან სასწავლებლის ცნობადობის, მისდამი ნდობისა და აღიარების ამაღლებისთვის უზრუნველყოს: საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა; სანდო, უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის დროული ხელმისაწვდომობა; საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომის ზრდა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სანდო და უტყუარი ინფორმაციის ვალდებულებას.

დაწესებულების ვებ. გვერდის გადამოწმებით დადასტურებულია, რომ ის უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4-5. სასწავლებლის ვებ. გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კატალოგის მოიცავს პროგრამების შესახებ შემდეგ ინფორმაციას: პროგრამის სახელწოდება, სწავლის შედეგები, მოცულობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ხანგრძლივობა, მოდულების დასახელება, შეფასების სისტემა, სსსმ პირთა სწავლების თაობაზე, პარტნიორთა შესახებ და ჩარიცხვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობის მიხედვით, ყოველწლიურად პროგრამების კატალოგის შემუშავება/ განახლებაზე პასუხისმგებელია პროგრამებს კოორდინატორი. ვიზიტის მომენტისათვის ვებ. გვერდზე განთავსებული იყო 2021 და 2022 წლების კატალოგი.

6.საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი ითვალისწინებს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის გამოყენების საკითხს. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის მ/შ სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ ახდენს სხვადასხვა საკომუნიკაციო პლატფორმიდან შემოსული შეკითხვების, შენიშვნების და/ან რეკომენდაციების ანალიზს. ანალიზის შედეგად აყალიბებს რეკომენდაციებს, რომელიც წარედგინება დირექციას. მაგალითად, ამგვარი უკუკავშირის საფუძველზე ვებ. გვერდზე გაჩნდა სასწავლო ცხრილები, სტუდენტის გზამკვლევი და სხვ.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“-ს საშტატო განრიგისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისათვის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანება;
- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის უფლებამოსილებების ამავე სასწავლებლის თანამშრომლისათვის - სასწავლო მიმართულებით დირექტორის მოადგილისათვის დროებით დაკისრების თაობაზე“ შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/86 ბრძანება;

107

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 05 სექტემბრის N 01/55 ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- სასწავლებლის ვებ. გვერდისა და სოციალური ქსელის გადამოწმების შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეული აქტივობის შესაბამისი ფინანსური რესურსები, რომლებიც შესაბამისობაშია დაწესებულების წლიურ ბიუჯეტთან.

დაწესებულება არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამები იყო ფასიანი, ხოლო ბოლო ორი წელია უკვე პროფესიული სტუდენტის სწავლა ფინანსდება ვაუჩერულად, სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, კოლეჯს აქვს დაფინანსების სხვადასხვა წყარო. ის უფლებამოსილია მოიზიდოს დამატებითი სახსრები. ფინანსური და ადმინისტრაციული მიმართულებით .დირექტორის მოადგილე, რომლის მოვალეობაა, სასწავლებლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის გაანგარიშება, ადასტურებს, რომ ფინანსური გამოწვევა არ აქვთ. წარმოდგენილია დაფინანსების დინამიკა, რომელიც სტაბილურია.

მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულებიდან ჩანს, რომ დაწესებულებამ ფინანსურად უზრუნველყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

შესაბამისად, დადასტურებულია, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.

2. დირექტორის მოადგილის მოვალეობაა სასწავლებლის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და მასალა-ნედლეულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესყიდვის უზრუნველყოფა. სასწავლებლის წლიური საპროგნოზო ბიუჯეტით დასტურდება, რომ დაწესებულების როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია სათანადო ფინანსური რესურსით. ადმინისტრაციის წარმომადგენლები და განმახორციელებლებიც ადასტურებენ, რომ საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებით გამოწვევა არ აქვთ. აღნიშნული დადასტურებულია შესყიდვების მტკიცებულებებით.

3. სასწავლებელი ადგენს ფინანსურ ანგარიშს და განათავსებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. მტკიცებულებად წარმოდგენილია პორტალზე ატვირთული 2021 წლის ინდივიდუალური ანგარიშგება.

4. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აფასებს საკუთარ ფინანსურს შესაძლებლობებს და შესაბამისად გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს. დაწესებულება აფასებს საკუთარ შემოსავლებს და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიდან, ინტერვიურებითაც იკვეთება რომ შეფასების შედეგების საფუძველზე, დაწესებულების გაძლიერებისთვის ის მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება, მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სამოქმედო გეგმები, შესყიდვების გეგმები და ბიუჯეტი;
- დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- საპროგნოზო ბიუჯეტები;
- დაფინანსების დინამიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- შესყიდვების მტკიცებულებები;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ - საექთნო განათლება

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Higher Vocational Qualification in Nursing
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	160

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი (საექთნო განათლება)

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების გადაწყვეტილება „საექთნო განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი“, რომლის თანახმად (მუხლი 2) პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის მიერ ბაზრის მოკვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების (ადამიანური, მატერიალური,სასწავლო და ფინანსური) ანალიზსა და კონსულტაციას სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს: ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება მოკვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით; ბ) სასწავლებელი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში; გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას, ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალიზაციას და/ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან და დასტურდება კვლევებით; დ) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ მიზანშეწონილობა შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა გამომდინარეობს მისიიდან. საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ არის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამა და ის შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

შრომის ბაზრის კვლევების ანალიზითა და პარტნიორ კომპანიებთან კომუნიკაციით დაწესებულებამ დაადასტურა შრომის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობა. ასევე, მასზე მაღალია მოთხოვნა აპლიკანტთა მხრიდანაც, რაც დასტურდება აპლიკანტთა ოდენობის მზარდი სტატისტიკური მონაცემებით. მაგალითად, 2022 წელს მიღებაზე გამოცხადებულ 79 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 200 აპლიკანტი. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორები - კორპორაცია სს ევექსის ჰოსპიტლების, შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის, წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს; შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის, ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასის სახით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში მიზანშეწონილობაში წარმოსადგენ სავალდებულო ინფორმაციასთან მიმართებით: რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილობის დასაბუთებაში გამოკვეთოს პროგრამის განხორციელების *ეკონომიკური და სამართლებრივი მიზანშეწონილობის ასპექტები.*

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო განათლება“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საექთნო განათლება“ / Nursing“ (რეგისტრაციის ნომერი - 09119-პ; დამტკიცების და ბოლო ცვლილების თარიღები: 12.06.2019; 30.05.2022) მოთხოვნასთან.

სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ,,საექთნო განათლების“ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს მხოლოდ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების გავლას. დამატებითი შერჩევის მეთოდი, რაც დაშვებულია კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის №01/74 ბრძანებით ასევე, დამტკიცებულია ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა, რაც ითვალისწინებს კოლეჯის მეხუთე დონის პროგრამებზე სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენას. რეგულაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უშვებს შესაძლებლობას, რომ აპლიკანტმა არ წარმოადგინოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის 2022 წლის 10 ოქტომბრის №02/13 ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ზემოაღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებულია უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის პროცედურა და შერჩევის მეთოდი (მოტივაციური გასაუბრება), თუმცა შესაბამისი სტატუსის მქონე პირები (რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანების 23-ე მუხლი), საექთნო განათლების პროგრამაზე ბოლო ორი წლის პერიოდში არ დარეგისტრირებულან და აღნიშნული მეთოდით აპლიკანტთა შერჩევაც არ განხორციელებულა.

3. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლის მესამე მუხლით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხები. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის რაოდენობა; პარტნიორი ორგანიზაციის/პრაქტიკის ობიექტის რესურსი (მატერიალური/ადამიანური/პრაქტიკის ხელმძღვანელთა რაოდენობა) და სასწავლო გარემოთა გამტარუნარიანობა, როცა ერთი და იგივე ფართი გამოყენებულია სასწავლებლის მიერ განხორციელებადი ორივე პროგრამის ფარგლებში. ასევე, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა და კვირეული დატვირთვა; პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, პროგრამის მოთხოვნადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ,,საექთნო განათლების“ პროგრამისათვის წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში იქნა მიღებული შემუშავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფაქტორები. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, სასწავლო რესურსის რაოდენობა, სასწავლო სივრცე - A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობა და კლინიკური მოდულების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კორპორაცია სს ევექსთან, შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალთან, წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოსთან; შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრითან, ააიპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან და შპს №5 კლინიკური საავადმყოფოსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ერთდროულად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა შეთანხმებული რაოდენობა შესაბამისი და საკმარისია 160 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.

სასწავლებელი ორი სხვადასხვა პროგრამის (საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო) რამდენიმე მოდულის განხორციელების მიზნით იყენებს რამდენიმე ერთ და იმავე სივრცეს (A, B, C გარემო), ვინაიდან ისინი თავსებადია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებისადმი განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა სასწავლო გეგმებით განსაზღვრული მოდულების კვირეული დატვირთვა და ჯგუფების ოდენობა. კოლეჯში პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელებისთვის, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლებისთვის, ყველა სასწავლო გარემო მოწყობილია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა არაუმეტეს 20 ადგილის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

,,საექთნო განათლების“ პროგრამისათვის გათვალისწინებულია: 5 A ტიპის აუდიტორია, თითოეულში 20 სამუშაო ადგილი, სულ 100 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე, გამოიყენება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის მიზნებისთვის); 1 B ტიპის აუდიტორია, 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე გამოიყენება „ფარმაციის“ პროგრამის მიზნებისთვის); 4 A/C ტიპის აუდიტორია, მათ შორის: ქიმიის ლაბორატორია და ანატომიის ლაბორატორია ასევე გამოიყენება „ფარმაციის“ პროგრამის მიზნებისთვის.

პარტნიორ კომპანიასთან:

სს „ევექსის ჰოსპიტლები“-თან გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №.09/02 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას კორპორაციის ქსელში შემავალ სამედიცინო ბაზაზე, ათი მოდულის ფარგლებში, ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 160 სტუდენტისა იმ გაანგარიშებით, რომ ამავე სასწავლებლის არაუმეტეს 7 სტუდენტზე გამოყოფილ იქნას ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი.

შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან გაფორმებული 2022 წლის ექვსი მაისის №09/01 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ორი მოდულის ფარგლებში მიიღოს ერთდროულად 76 პროფესიული და სტუდენტთა თითოეულ ჯგუფს (ჯგუფში არაუმეტეს 7 სტუდენტისა) განუსაზღვროს კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირი.

შპს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან გაფორმებული 2022 წლის პირველი მაისის №.09/07 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ათი მოდულის ფარგლებში პრაქტიკის განსახორციელებლად მიიღოს სტუდენტები, ჯგუფში არაუმეტეს 7 სტუდენტისა.

შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოსთან გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/05 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას რვა მოდულის ფარგლებში ერთდროულად მიიღოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

42 სტუდენტი და სტუდენტთა თითოეულ ჯგუფს (ჯგუფში არაუმეტეს 7 სტუდენტისა) განუსაზღვროს კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირი.

შპს №5 კლინიკური საავადმყოფოსთან გაფორმებული გაფორმებული 2022 წლის 01 სექტემბრის №09/08 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ოთხი მოდულის ფარგლებში ერთდროულად მიიღოს 28 სტუდენტი და სტუდენტთა თითოეულ ჯგუფს (ჯგუფში არაუმეტეს 7 სტუდენტისა) განუსაზღვროს კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირი.

შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკასთან გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/04 ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას კორპორაციის ქსელში შემავალ სამედიცინო ბაზაზე, რვა მოდულის ფარგლებში, ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 42 სტუდენტი და სტუდენტთა თითოეულ ჯგუფს (ჯგუფში არაუმეტეს 7 სტუდენტისა) განუსაზღვროს კლინიკური მოდულების განმახორციელებელი პირი.

ექსპერტებმა პროგრამის ფარგლებში კომპანიებში განსახორციელებელი მოდულები და კომპანიებში განსახორციელებელი მოდულები გაანალიზეს კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობებთან მიმართებაში და ასკვნიან, რომ **ყველა კლინიკური მოდულისათვის დაწესებულებას ჰყავს პარტნიორები, რომელთაც მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას (160 პროფესიული სტუდენტი (მოდულების უმრავლესობისათვის კვოტაზე მეტია).**

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობაა 16, მათ შორის 2 ზოგადი მოდულების. ასევე, დაწესებულებას ჰყავს 29 პრაქტიკოსი გამოცდილი ექთანი-ინსტრუქტორი პრაქტიკის ობიექტზე (7 პროფესიულ სტუდენტზე - ერთი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის და სასწავლო გარემოთა დატვირთვის ბადის, მიმდინარე ჯგუფების სასწავლო ცხრილების ანალიზით დასტურდება, რომ არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი სწორად არის შეფასებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ,,საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებამ განსაზღვრა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და არსებული რესურსი ადეკვატურად არის შეფასებული.

4. თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი იყო ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. თვითშეფასებით წარმოდგენილ პროგრამას დანართი არ ახლდა. ამასთან, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა სასწავლებლის დირექტორის დირექტორის 2022 წლის 09 სექტემბრით №01/59 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია პროგრამის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების დასახელებები. შესწავლილი იქნა პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში დანართების სახით წარმოდგენილია იმ მატერიალური რესურსისა და ნედლეულის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია პარტნიორების ბაზაზე განსახორციელებელი შემდეგი კლინიკური მოდულების სწავლებისათვის: *შინმოვლა; ავადმყოფის მოვლა, კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები; კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია. ექსპერტი ადასტურებს, რომ მითითებული რესურსებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ასევე, შესწავლილი იქნა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი (მატერიალური და ელექტრონული) და დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N01/11 ბრძანებით. ცვლილება შეტანილია შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/20 ბრძანებით. *ბოლო ცვლილება შევიდა ვიზიტს პერიოდში - №01/85; 17.11.2022).*

პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დებულებითა და პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „საექთნო განათლება“ საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის „საექთნო განათლება“ შემუშავების საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - „საექთნო განათლება“ (სარეგისტრაციო ნომრით - N09119-პ;) და ზოგადი მოდულები ,,ქართული ენა A2” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110001) და ,,ქართული ენა B1” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110002).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიმდგომები, სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (მათ შორის, ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1 “ მოდულებისათვის).

სასწავლო გეგმის შესწავლით გამოიკვეთა, რომ მოდულების ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1 “ განაწილების ბადეში დარღვეული იყო მოდულზე დაშვების წინაპირობა. არ იყო გათვალისწინებული, რომ ,,ქართული ენა A 2“ არის მოდულზე ,,ქართული ენა B 1“ დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, არ იყო გათვალისწინებული დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრული წინმსწრებ და მომდევნო მოდულს შორის სამკვირიანი ინტერვალი. ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/85 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცვლილება შევიდა „ფარმაციის“ და „საექთნო განათლების“ პროგრამებში და დაკორექტირდა ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმები (დანართი №4).

ამასთან, დაკორექტირდა არაქართულენოვანთათვის სწავლების ხანგრძლივობა. ფარმაციის პროგრამისაგან განსხვავებით „საექთნო განათლების“ სასწავლო გეგმა გათვლილია 24 სასწავლო კვირაზე და სასწავლო ბადეშიც საათების განაწილებაც ამ ორ სასწავლო გეგმას შორის განსხვავებულადაა წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ენის მოდულებზე სწავლა ერთად მოუწევთ ორ სხვადასხვა პროგრამაზე ჩარიცხულ არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტებს, რეკომენდებულია სასწავლო გეგმები ერთგვაროვანი იყოს. <u>შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, ფარმაციისა და საექთნო განათლების პროგრამებში ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.</u>

ასევე, ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია „საექთნო განათლების“ პროგრამის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით. ერთი და იმავე მოდულის ფარგლებშიც კი საათობრივი დატვირთვა სისტემატურად იცვლება და არასტაბილურია, რაც მოუქნელს გახდის სასწავლო პროცესის როგორც დაგეგმვას, ასევე მის განხორციელებას. გარდა ამისა, ყოველკვირეული დატვირთვა ხშირად არის 7-8 საათი. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული დატვირთვა მისაღებია პრაქტიკის ობიექტებზე რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებისას, მაგრამ არ არის რეკომენდებული კოლეჯში სწავლებისას, სადაც ძირითადად თეორიული კომპონენტი მიიღწევა. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაამუშაოს სასწავლო გეგმა. სტაბილურად გადაანაწილოს საკონტაქტო საათები და პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული დატვირთვაც იმგვარად გადაანაწილოს, რომ სტუდენტს დარჩეს თავისუფალი დრო.

რაც შეეხება პროგრამის შემუშავების პროცედურას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N01/11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბრძანებით. ცვლილება შეტანილია შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/20 ბრძანებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლის მე-6 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილების საკითხებს. რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ,,საექთნო განათლების" პროგრამაში ცვლილება შეტანილია შემუშავების ეტაპის ანალოგიურად, სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი იქნა პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: შეხვედრის ფურცლები და ოქმები. წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს გზით იდენტიფიცირდა ის ძირითადი საკითხები რაც შეიცვალა განახლებულ პროგრამაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება" შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N 01/19 ბრძანებით დამტკიცებული შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი"
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 16 მაისის N01/16 ბრძანებით შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ადგილების გაანგარიშების დოკუმენტი;
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საექთნო განათლება/Nursing და ფარმაცია (სააფთიაქო) Pharmacy დამტკიცების თაობაზე“ ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის №01/20 ბრძანება;
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათებლო პროგრამების საექთნო განათლება/Nursing და ფარმაცია (სააფთიაქო) Pharmacy დამტკიცების თაობაზე“ ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/85 ბრძანება
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N 01/59 09.09.2022 წ.
- კოლეჯის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზის შედეგი;
- შპს ,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის წესი;
- შპს ,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის №02/13 ბრძანება „საექთნო განათლება“ პრგოგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;

128

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- პარტნიორ კომპანიებთან: კორპორაცია სს ევექსის ჰოსპიტლები, შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო; შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, ააიპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი, შპს №5 კლინიკური საავადმყოფო - გაფორმებული ხელშეკრულებები
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ ცვლილების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფურცლები, ოქმები;
- დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეჯამება - 2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტის რვა კრიტერიუმის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით ექსპერტების მიერ **პირველი კომპონენტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისი“.**

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,საექთნო განათლების“ პროგრამისათვის გათვალისწინებულია: 5 A ტიპის აუდიტორია, თითოეულში 20 სამუშაო ადგილი, სულ 100 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე გამოიყენება „ფარმაციის“ პროგრამის მიზნებისთვის); 1 B ტიპის აუდიტორია, 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე გამოიყენება „ფარმაციის“ პროგრამის მიზნებისთვის); 4 A/C ტიპის აუდიტორია, მათ შორის: ქიმიის ლაბორატორია და ანატომიის ლაბორატორია ასევე გამოიყენება „ფარმაციის“ პროგრამის მიზნებისთვის.

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს, „საექთნო განათლების“ პროგრამისათვის გათვალისწინებული სასწავლო ფართები და მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. რესურსების ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ბალანსზე რიცხული აღჭურვილობის ჩამონათვალი, სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები. დადასტურდა, რომ დაწესებულების ბაზაზე განსახორციელებელი მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა რესურსი უზრუნველყოფილია.

გარდა კოლეჯში არსებული სასწავლო ფართებისა „საექთნო განათლების“ პროგრამით გათვალისწინებული 14 მოდულის ფარგლებში სწავლება გათვალისწინებულია პარტნიორების ბაზაზე. ყველა პარტნიორ კომპანიას აქვს შესაბამისი ლიცენზია იმ პროფილის ფარგლებში, რომელი მოდულების სწავლებაც გათვალისწინებულია აღნიშნულ კლინიკებში.

1. სს „ევექსის ჰოსპიტლები“-თან (ლიცენზია პროფილის მიხედვით - N000053, რეანიმაცია - N000565, კარდიოლოგია -N000560, სამეანო - N000387, გინეკოლოგია -N000373, პედიატრია პ N000035) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/02 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას კორპორაციის ქსელში შემავალ სამედიცინო ბაზაზე ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 160 სტუდენტის. აღნიშნულ კლინიკა იძლევა შესაძლებლობას მის ბაზაზე განხორციელდეს ყველა ის მოდული, რომელთა სწავლის შედეგებიც მიღწეული უნდა იქნას პრაქტიკის ბაზებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
- კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

2. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან (ლიცენზია -N00153; ფსიქიატრია -= N000693) გაფორმებული 2022 წლის ექვსი მაისის №09/01 ხელშეკრულების თანახმად, კლინიკაში ხორციელდება ორი მოდული: კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

ექსპერტები იმყოფებოდნენ კლინიკაში და მათი მოსაზრებით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში სწავლების განხორციელებას. კლინიკა 250 ადგილიანია. შედგა ინტერვიუ ექთან-ინსტრუქტორებთან, რომელთა უმრავლესობა ჩართულია სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან გაფორმებული 2022 წლის პირველი მაისის №09/07 ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

4. შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოსთან (ლიცენზია - N000055 გადაუდებელი პროფილის - N000587, რეანიმაცია -N000579, ინტერვენციული კარდიოლოგია - N000586 ქირურგიული პროფილი - N000577) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/05 ხელშეკრულების თანახმად, კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

5. შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკასთან (ლიცენზია პროფილის შესახებ - N000223; ქირურგიული პროფილი - N000938, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - N00516, რეანიმაცია - N000942) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/04 ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

6. შპს №5 კლინიკური საავადმყოფოსთან გაფორმებული გაფორმებული 2022 წლის 01 სექტემბრის №09/08. ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია 4 მოდულის განხორციელება:

- კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

პარტნიორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართების სახით ახლავს ზემოაღნიშნული მოდულების სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი რომლითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესი და რომლის გამოყენების საშუალებაც აქვთ პროფესიულ სტუდენტებს. აღსანიშნავია რომ კოლეჯი თანამშრომლობდა პარტნიორებთან და ხელშეკრულებები განახლდა რეავტორიზაციის მიზნებისათვის. მოქმედების ვადა გათვალისწინებულია 3 წლით, ავტომატური 3 წლით გაგრძელების პერსპექტივით.

ხელშეკრულებების დანართებში მითითებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია პროგრამასთან და პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუთი დადასტურებულია პრაქტიკის ბაზებზე სრულფასოვანი სწავლების და ყველა მოდულის გავლის შესაძლებლობა.

ვიზიტი განხორციელდა ორი პარტნიორი კომპანიის ბაზებზე: ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი და ხეჩინაშვილის კლინიკა. ადგილზე შედგა ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან და სტუდენტებთან. დადასტურებულია, პროგრამით გათვალისწინებულ გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სწავლების პროცესი. ხეჩინაშვილის კლინიკაში შევხვდით პროფესიულ სტუდენტს, რომელიც უკვე დასაქმებულია კლინიკაში და მან გამოთქვა კმაყოფილება სასწავლო გარემოსთან და ზოგადად პროგრამასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართებით. განმახორციელებლებიც ადასტურებენ, რომ რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება საუკეთესო შესაძლებლობაა კომპეტენციების განსავითარებლად.

ექსპერტების მიერ შეფასებულია არსებული მატერიალური რესურსი და ვადასტურებთ, რომ დაწესებულებისა და პარტნიორების ბაზებზე არსებული რესურსი იძლევა ერთდროულად 160 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

თუკი შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, დაწესებულების და პარტნიორის სასწავლო გარემოს დათვალიერების გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორთან მიმართებაში პროგრამა არის ,,სრულად შესაბამისი.

2. მოდულური პროგრამით „საექთნო განათლება“ გათვალისწინებულია 16 (თექვსმეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 2 (ორი) ზოგადი მოდულების. ასევე, დაწესებულება პრაქტიკის ობიექტებზე თანამშრომლობს 29 გამოცდილ ექთან-ინსტრუქტორთან. კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ ადამიანური რესურსის ჩამონათვალთან. კომპანიათა წარმომადგენლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები.

პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესის მიხედვით, პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ მოდულების განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული, რისთვისაც პროგრამის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფი დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრავს მინიმუმ ორ განმახორციელებელ პირს, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელების მდგრადობის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს იმ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე, რომლებიც ახორციელებენ მოდულებს, როგორც „საექთნო განათლების“ ასევე, „ფარმაციის“ პროგრამებზე და დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ უშლის ხელს, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულია რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.დაწესებულების სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში მოცემულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი განათლება ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის/სპეციალური ლიცენზია ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი სამუშაო გამოცდილება, არანაკლებ 2 წლისა.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. ასევე, კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირები, პრაქტიკის ობიექტის მხრიდან ჩართული ექთნები აკმაყოფილებენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: განათლება - საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება - საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება. დაწესებულება მხარდაჭერას უწევს სწავლებაში ახლად ჩართულ პირებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კლინიკური მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის განვითარების მიმართულებით.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, მიმდინარე წელს ჩართული იყვნენ პროგრამის ცვლილების პროცესში. მათ უმრავლესობას უკვე აქვს მოდულების განხორციელების გამოცდილება. ხოლო ერთეულ, სისტემაში ახლად შემოსულ პირებს ჩაუტარდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შესახებ ტრენინგები, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მსგავსი ტრენინგების განმეორებით ჩატარება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმახორციელებლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულების სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ის არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი და აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. აღსანიშნავია, რომ ის დასაქმებულია ხეჩინაშვილის კლინიკაში და ადგილზე უწევს კოორდინაციას კლინიკაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად. ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

დარგის ექსპერტი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს პრაქტიკის ობიექტზე. დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. ინტერვიუირების, პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციის და შიდა მიმოწერის, ანგარიშებისა და სხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ეცნობა პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგის შედეგებს, და პროგრამის სრულყოფის მიზნით ახდენს რეაგირებას ამ შედეგებზე. მუდმივად აკონტროლებს წაკითხული მოდულების ხარისხს, ამოწმებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, აგვარებს პროგრამასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებს. ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად არჩევითად მეცადინეობებს, ამოწმებს სტუდენტთა პრაქტიკულ მოდულებს პრაქტიკის ობიექტებზე. აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ორგანიზებას უწევს კალენდარული გეგმების მომზადებას, სასწავლო ლიტერატურის და მასალა-რესურსების შეძენა- განახლებას, ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებს, ადამიანური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსის განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი ცოდნა სწავლებისა და შეფასების საკითხებთან მიმართებით. საკმაოდ მაღალკვალიფიციურად ისაუბრა შეფასების კრიტერიუმების, შეფასების სქემის თაობაზე.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას „საექთნო განათლება“ ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. კოლეჯში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება.

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში, საწყის ეტაპზე, ჰქონდათ გამოწვევა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, მაგრამ მალევე მიეწოდათ გაციფრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო რესურსი. დაწესებულებამ სწორედ პანდემიის დროს დაიწყო სასწავლო რესურსის სრულად დიგიტალიზაციის პროცესი და 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში არსებული რესურსების სრული გაციფრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ისგ-ს (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას. ასევე, საბიბლიოთეკო მომსახურებისა და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქციაა შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში.

დაწესებულებას სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე სასწავლებელი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩართულობას. ამის დასტურია ის გარემობა, რომ მიმდინარე წელს დარეგისტრირებული იყვნენ სსსმ სტატუსის მქონე პირები, რომელთა პროფესიული მოსინჯვის მიზნით კოლეჯმა მოიწვია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელმაც უზრუნველყო აღნიშნული პროცედურისთვის შესაბამისი თანამშრომლების მომზადება და კოლეჯის ადმინისტრაციისთვის და მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება სსსმ პროფესიულ სტუდენტების სწავლების თავისებურებების შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგის ამსახველი მასალა -დასწრების ფურცლები, პრეზენტაცია, ფოტოები. **შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ წინამდებარე კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და წლების მანძილზე პროგრამა თვითდაფინანსებაზე იყო. თუმცა უკვე მეორე წელია პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროფესიული სტუდენტი იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. კოლეჯმა თვითშეფასებით წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც პროგრამის რენტაბელობის ზღვარი იყო 5 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ ბიუჯეტი არასრულყოფილად იყო შედგენილი, იქიდან გამომდინარე რომ ის მოიცავდა მხოლოდ შემდეგ ხარჯებს: მასწავლებლის ხელფასი, პრაქტიკის ხარჯი, სახარჯი მასალა, სტუდენტებისა და განმახორციელებლების აქტივობები. წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯებში არ იყო გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯი, კომუნალური ხარჯი და სხვ. მაშინ როცა დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილ პროგრამის დაფინანსების ბოლო 3 წლის სტატისტიკის დოკუმენტი მოიცავდა აღნიშნულ ინფორმაციას. გარდა ამისა, დაფინანსების წყაროდ მითითებული იყო მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსება, მაშინ როცა პროგრამას ჯერ კიდევ ჰყავს თვითდაფინანსებული სტუდენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული დაკორექტირებული ბიუჯეტი. რომელშიც აისახა დაფინანსების სხვადასხვა წყაროები, ასევე, გაიზარდა ხარჯების ნუსხა. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამა რენტაბელურია ჯგუფში 13 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში (დანართი №5)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პარტნიორ კომპანიებთან: კორპორაცია სს ევექსის ჰოსპიტლები, შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, წმინდა მიქაელ მთავარ ანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო; შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, ააიპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი - გაფორმებული ხელშეკრულებები
- ,,პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი დამტკიცების შესახებ“ „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N 01/19 ბრძანება;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N01/59 09.09.2022 წ.
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის შემოწმების შედეგი;
- პროგრამის „საექთნო განათლება“ ბიუჯეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალი, სასაქონლო ზედნადებები/მიღება - ჩაბარების აქტები;
- 2022 წლის ფინანსური და შესყიდვების გეგმები;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელთან, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგი.
- პროფესიული სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

დაწესებულების მიერ სრულად დაკმაყოფილებულია 2.2 კომპონენტის ყველა კრიტერიუმი, შესაბამისად, კომპონენტი ფასდება როგორც სრულად შესაბამისი.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლითაც გაწერილია პროგრამის შეფასების მექანიზმი. პროგრამის შეფასებას და შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. იგი პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ახორციელებს გამოკითხვებს, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს. ასევე, შეფასებისათვის გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი.

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ,,საექთნო განათლების" პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები. მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოში არის ექთნების რაოდენობის დეფიციტი, შესაბამისად, დაწესებულება ცდილობს პარტნიორებთან თანამშრომლობით შრომის ბაზარს მიაწოდოს კვალიფიციური კადრები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, სტუდენტთა მოძრაობის (ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა შეწყვეტა, დასრულება) სტატისტიკის შესწავლას; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და მოდულების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას.

გარდა შეფასებისა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების კოორდინატორს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულებამ 2022 წელს გადახედა და გააუმჯობესა თავისი რეგულაცია პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით. გარკვეული ტიპის გამოკითხვებს ატარებდნენ, მაგრამ ამას არ ჰქონდა სისტემატიზირებული ფორმა. რაც გაანალიზდა დაწესებულების მიერ და ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესდა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

გარდა ზემოაღნიშნულისა რეგულაციისა, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამების კოორდინატორის და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დაწესებულებაში არსებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, ის ეფუძნება PDCA ციკლს.

დაწესებულებამ 2022 წელს კონკურსის წესით აიყვანა ახალი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ მის მიერ სიღრმისეულად არის გააზრებული არსებული მექანიზმები. ის აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან და წარმოადგინა სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობით შემუშავებული განახლებული კვლევის კითხვარები, რომლებიც უკვე მის მიერ დაინერგება პროგრამების შეფასების პროცესში, მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

2. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. შესრულებული სამუშაოების მტკიცებულებებად წარმოდგენილია: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების მასალა, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრების ფოტო - მასალა. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წელს 115 პროფესიულ სტუდენტთან ჩატარებული ელექტრონული კვლევის შედეგების სტატისტიკა. წარმოდგენილი კვლევის ანალიზი არსებით ინფორმაციას პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით არ მოიცავს. ამ ეტაპზე დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს როგორც კვლევის კითხვარები, ასევე კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, ხარისხის მართვის მენეჯერის რამდენიმე ანგარიშები პროგრამის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოს თაობაზე.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ დადასტურებულია გამოკითხვებში მონაწილეობა. ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მუდმივად აძლევენ კოლეჯს უკუკავშირს.

რაც შეეხება შეფასების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს: დაწესებულებამ პანდემიის პერიოდში გაითვალისწინა არსებული ვითარება და პროგრამაში აისახა ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობის თაობაზე. მოდულებში განახლდა სასწავლო რესურსი და აისახა ინფორმაცია გაციფრულებული ელექტრონული რესურსის თაობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რეკომენდაციების საფუძველზე, გადაიხედა სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ფაქტობრივად ხელახლა განხორციელდა მოდულთა ადაპტირება. ასევე, დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში გააფართოვა პარტნიორთა ბაზა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 – 2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და პროგრამების განვითარებას. ასევე, პროგრამის შეფასებისა და განვითარების ფარგლებში დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა, რომლის შედეგების გამოყენება იგეგმება პროგრამის განვითარების მიზნით (ვრცლად იხილეთ 2.4 კომპონენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მოსაზრებით, 2022 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აჩვენა, რომ დაწესებულებას ჩამოუყალიბდა ხედვა ხარისხის განვითარების მიმართულებით. კოლეჯს შერჩეული ჰყავს მოტივირებული ხარისხის მართვის მენეჯერი და მოკლე პერიოდში განხორციელებული პროგრესიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი,
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის გეგმა;
- გამოკითხვების მასალები, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, მეცადინეობაზე დასწრების ფურცლები, ფოტო - მასალა.
- დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია დამატებითი შეფასების და განმეორებითი დამატებითი შეფასების ვადები (მინიმუმ 3 კვირა) იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს, როგორც 2.1 კომპონენტში აისახა, ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა მაღალია - 35- 40 საკონტაქტო საათი. რაზედაც გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გეგმასთან მიმართებით. მეორე სასწავლო წლის მე-20 კვირიდან სტუდენტები იწყებენ სწავლას პარტნიორ კომპანიებში, კლინიკური მოდულების ფარგლებში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი, რომელიც სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის მიერ სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებს სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში (პრაქტიკის ობიექტი) მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად. კომპანიაში სწავლება ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლებელსა და პრაქტიკის ობიექტს შორის შეთანხმებულ ვადებში და მისამართზე. აღნიშნული დადასტურებულია დოკუმენტურად და ინტერვიუირებით (კურსდამთავრებული, პროფესიული სტუდენტი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი).

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი და მტკიცდება დირექტორის სამართლებრივი აქტით. ***ექსპერტები თვლიან, რომ სასწავლო ცხრილების დამტკიცება ზედმეტი ბიუროკრატიაა და უმჯობესია არსებული რეგულაციის გადახედვა.***

მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან ეცნობება დაინტერესებულ პირებს სასწავლებელში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პანდემიის დროს განსაკუთრებით აქტიურად სარგებლობდნენ შიდა საკომუნიკაციო ჯგუფებით და ცხრილებსაც ამგვარად იღებდნენ. სტუდენტებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დამტკიცებული სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. შედგა ინტერვიუ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან. დადასტურებულია კალენდარული გეგმების არსებობა და სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ, ისევე როგორც ყველა სხვა დაწესებულებამ იმუშავა დისტანციურად ან მოგვიანებით ჰიბრიდული სწავლების მიდგომით. განსაკუთრებული გამოწვევები არ დაფიქსირებულა. ამას ხელი შეუწყო თავად პროგრამამაც, რადგან 14 კლინიკური მოდულის სწავლება მიმდინარეობდა კლინიკებში. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის და შეფასების წესი. ვიზიტის პერიოდში ,,საექთნო განათლების“ 2022 წელს ჩარიცხულ სტუდენტები სწავლობდნენ სრულად პირისპირ რეჟიმში, ხოლო 2022 წლამდე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, მათივე თხოვნით, რაც დაფიქსირებულია გამოკითხვის მასალაში, სწავლა მიმდინარეობდა ჰიბრიდულად. თეორიული კომპონენტი - კოლეჯში (განმსაზღვრელი შეფასება ტარდება კოლეჯში), ხოლო, პრაქტიკული კომპონენტის სწავლება - პრაქტიკის ბაზებზე.

შეჯამების სახით, ექსპერტები ადასტურებენ რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ფორს-მაჟორული გარემოებების, სასწავლებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სასწავლებელი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის დროს. კოლეჯი მაქსიმალურად გაუმკლავდა გამოწვევებს, ჰქონდათ მუდმივი კომუნიკაცია სტუდენტებთან. პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი მათ აწვდიდა ცხრილებს, გაციფრულებულ სასწავლო რესურსს. კოლეჯი სარგებლობს ონლაინ პლატფორმით, რომელიც იძლევა აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობებს. დოკუმენტურად და ინტერვიუირებით დადასტურდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებების არსებული პრაქტიკა, განსაკუთრების პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით.

სასწავლებელმა უზრუნველყო სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის ელექტრონული პლატფორმის მომხმარებლის პროფილების შექმნას და ტექნიკურ მხარდაჭერა. შემუშავდა რეგულაცია სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულებამ 2022 წელს ჩაატარა გამოკითხვა პანდემიის პერიოდში ჩარიცხულ სტუდენტებთან. მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებამ თეორიული მოდულების სწავლება დისტანციურ რეჟიმში დატოვა, გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ სტუდენტებს არ ჰქონდათ თბილისში საცხოვრებლის ქირაობის შესაძლებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან შეხვედრისას მათ მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯში რეორგანიზაციის, მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და რაც განსაკუთრებით შესამჩნევია მეტად გახდა ყველა პროცესი სტუდენტზე ორიენტირებულიო. გამოიკვეთა, რომ ხშირად ტარდება გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები სტუდენტთა ინტერესების გამოსავლენად და კმაყოფილების დასადგენად.

3. ექსპერტების მიერ პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ინიციატივების, მათ შორის ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების კუთხით და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები და მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

4. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

კოლეჯში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ და ამ მიმართულებით გამოცდილება არ მიუღიათ. ჰქონდათ სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შემთხვევა, როცა სტუდენტისათვის დამტკიცდა ისგ. გადამოწმების გზით, დადასტურებულია შესაბამისი პროცედურების დაცით ისგ-ს დამტკიცება და განხორციელება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება განხორციელდა პანდემიის პერიოდში. კერძოდ, ჯგუფებისათვის დამტკიცდა სასწავლო გრაფიკი, გაწერილი კონკრეტული კვირების მიხედვით, მოდულებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 5 სამედიცინო დაწესებულებასთან:

ა. სს „ევექსის ჰოსპიტლები“-თან (ლიცენზია პროფილის მიხედვით - N000053, რეანიმაცია - N000565, კარდიოლოგია -N000560, სამეანო - N000387, გინეკოლოგია -N000373, პედიატრია პ N000035) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №.09/02 ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას კორპორაციის ქსელში შემავალ სამედიცინო ბაზაზე ერთდროულად მიიღოს არაუმეტეს 160 სტუდენტის. აღნიშნულ კლინიკა იძლევა შესაძლებლობას მის ბაზაზე განხორციელდეს ყველა ის მოდული, რომელთა სწავლის შედეგებიც მიღწეული უნდა იქნას პრაქტიკის ბაზებზე.

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
- კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

ბ. შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან (ლიცენზია -N00153; ფსიქიატრია -= N000693) გაფორმებული 2022 წლის ექვსი მაისის №.09/01 ხელშეკრულების თანახმად, კლინიკაში ხორციელდება ორი მოდული: კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია.

ექსპერტები იმყოფებოდნენ კლინიკაში და მათი მოსაზრებით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში სწავლების განხორციელებას. კლინიკა 250 ადგილიანია. შედგა ინტერვიუ ექთან-ინსტრუქტორებთან, რომელთა უმრავლესობა ჩართულია სასწავლო პროცესში.

გ. შპს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრთან გაფორმებული 2022 წლის პირველი მაისის №09/07 ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

დ. შპს წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიან კლინიკურ საავადმყოფოსთან (ლიცენზია - N000055 გადაუდებელი პროფილის - N000587, რეანიმაცია -N000579, ინტერვენციული კარდიოლოგია - N000586 ქირურგიული პროფილი - N000577) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/005 ხელშეკრულების თანახმად, კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული
- პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

ე. შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკასთან (ლიცენზია პროფილის შესახებ - N000223; ქირურგიული პროფილი - N000938, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება - N00516, რეანიმაცია - N000942) გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/04 ხელშეკრულების თანახმად, აღნიშნული კლინიკის ბაზაზე ხორციელდება შემდეგი კლინიკური მოდულები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;

ვ. შპს №5 კლინიკური საავადმყოფოსთან გაფორმებული გაფორმებული 2022 წლის 01 სექტემბრის №09/08 ხელშეკრულების ფარგლებში შესაძლებელია 4 მოდულის განხორციელება:

- კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

პრაქტიკის ხელშეკრულებებში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა მისაღები რაოდენობა, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, მოდულები, საათობრივი დატვირთვა, მხარეთა ვალდებულებები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები და შესაბამისობაშია ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების მოთხოვნებთან.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. დაწესებულება ადგილზე ახორციელებს პროგრამა „საექთნო განათლების“ მხოლოდ თეორიულ მოდულებს, პრაქტიკულ მოდულებს კი კოლეჯი ახორციელებს პრაქტიკის ობიექტებზე. პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების ფარგლებში, პასუხისმგებლები არიან პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამისათვის ზოგადი უსაფრთხოების ნორმების არსებობა დაწესებულებაში სრულიად საკმარისია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შსახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- შპს "თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში" სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბერის 01/83 ბრძანება;
- „შპს „თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებლის" სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის 01/64 ბრძანება;
- საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება"
- სასწავლო და კალენდარული გეგმები; დამტკიცებული სასწავლო გრაფიკი;
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

160

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შუალედური შეფასების, ვალიდაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი შეფასება პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვროს შუალედური შეფასების პერიოდი. აღნიშნული დაეხმარება მას შუალედური შეფასების შინაარსის გააზრებაში და შეფასების სწორად დაგეგმვაში (აღნიშნული რეკომენდაცია ბმაშია 2.1 კომპონენტთან).

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე მასწავლებელი, პროგრამების კოორდინატორს წარუდგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. პროგრამების კოორდინატორი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციის - შინაარსობრივი მხარის შემოწმების კოორდინირებას პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით. ვალიდირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება სასწავლებლის ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

ექსპერტებმა გამოითხოვეს რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტი, რომლებიც მისი შეფასებით იყო ვალიდური. მათ შორის, გამოყენებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ - გვერდზე განთავსებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები.

გარდა ამისა, შეფასდა რამდენიმე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მისი შესაბამისი მტკიცებულებები. ინსტრუმენტთა ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები: არ იყო მითითებული, შეფასების თარიღი, სასწავლო გარემო, ერთი ინსტრუმენტით შეფასებული იყო მოდულის ყველა სწავლის შედეგი, მაშინ როცა შეფასების პროცესისათვის უმჯობესი იყო მათი რამდენიმე შედეგის ერთად შეფასება და არა ყველასი, შეფასების სქემაში არ იყო მითითებული ხარვეზის დასაშვები ნორმა (რასაც რეალურად ითხოვდა ინსტრუმენტი) თუმცა ყოველივე ამას, გავლენა არ მოუხდენია შეფასების შედეგებზე. ასევე, არ ყოფილა გასაჩივრების შემთხვევა, თუმცა დაწესებულებას აპელაციის წესი განსაზღვრული აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას 2022 წელს გადაუმუშავებია შეფასების ინსტრუმენტის არსებული ფორმა და ის არსებითად არის გაუმჯობესებული, მოიცავს შეფასების პროცესისათვის, შეფასების სისტემის ყველა მახასიათებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასაკმაყოფილებლად აუცილებელ ინფორმაციას და აღნიშნული ჩარჩოთი მიმდინარე წელს შემუშავებული ინსტრუმენტები აკმაყოფილებდა სტანდარტის ყველა მოთხოვნას (შეფასდა ზოგადი და პროფესიული მოდულების 2-2 ინსტრუმენტი).

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა 2022 წლის მიღების ჯგუფებთან დაიწყო თეორიული კომპონენტის ფარგლებში ელექტრონული შეფასება და სისტემა საკმაოდ კარად აქვთ გამართული. შეფასების შედეგების გაცნობას უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტი ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით/სტუდენტის პირად ელექტრონული ფოსტის მისამართზე. სანიმუშოდ განხილული იქნა უკვე ჩატარებული ერთი შეფასების მასალა.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №01/53 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესსა და პროცედურას.

ინტერიუირებით დადგინდა, რომ საექთნო განათლების პროგრამაზე წინა წლებში სრულყოფილი ვერიფიკაცია არ იყო ჩატარებული და ვერიფიკაციის ზემოაღნიშნული წესის შემუშავების შემდეგ შეიმუშავეს ვერიფიკაციის გეგმა და დაწყებული იყო ვერიფიკაციის პროცესი. დამტკიცებული ვერიფიკაციის გეგმის მიხედვით, ვერიფიკაციის პროცესი დაიწყო ფარმაციის პროგრამის ვერიფიკაციით. საექთნო განათლების პროგრამის ვერიფიკაციის პროცესი კი დასრულდება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე) (დანართი №7).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შედიან დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი. პროფესიული განათლების სასწავლებელი/დარგის სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, არ მონაწილეობს ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით რისკების ანალიზის მიხედვით, და ეფუძნება შესაძლო შეუსაბამობების მაღალ ალბათობას. შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ახალი განმახორციელებელი; სტუდენტების მიერ მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის/დადასტურების მიმდევრობით მაღალი მაჩვენებელი; სტუდენტის საჩივარი; შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი.

როგორ ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომლის ფარგლებშიც დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის ტექნიკური უზუსტობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ვერიფიკაციის გეგმის მიხედვით შესწავლილი იქნება აღნიშნული საკითხი და ვერიფიკაციის ფარგლებში მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მის შესაბამისად დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე). ექსპერტები აღნიშნულ კომპონენტს აფასებენ როგორც მეტწილად შესაბამისს და იძლევიან შესაბამისობის რეკომენდაციას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესისა და პროცედურის შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესის წარმართვა და დადგენილ ვადაში დასრულება.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება (ლექციებზე დასწრების აღრიცხვის ფურცლები, ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლებლის არქივს და ინახება სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სასწავლებლის საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

სტუდენტის მიერ ელექტრონული სახის პროდუქტი იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლებლის არქივს და ინახება სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება საქმის წარმოების წესის შესაბამისად. სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულება/პროდუქტი ინახება იმგვარად რომ შესაძლებელია მათი აღრიცხვა, რეგისტრაცია და ავტორ/ებ/ის იდენტიფიცირება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათ შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №01/53 ბრძანება;
- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის №01/75 ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის გეგმა;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმის გათვალისწინებით, რომ ვერიფიკაცია არ არის ჩატარებული საექთნო განათლების პროგრამაზე და დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც საექთნო განათლების პროგრამაზე აღნიშნული პროცესი დასრულდება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე) 2.4.2 ფასდება როგორც **მეტწილად შესაბამისი.**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Higher Vocational Qualification in Pharmacy
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას N7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	**სრული 3**	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	**სრული 3**	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	**სრული 3**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	**მეტწილი 2**	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. დ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

დაწესებულების გადაწყვეტილება ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას.

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N 01/19 ბრძანებით დამტკიცებულია ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი“, რომლის თანახმად, პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც მოიცავს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორის მიერ ბაზრის მოკვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების (ადამიანური, მატერიალური,სასწავლო და ფინანსური) ანალიზსა და კონსულტაციას სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს: ა) არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება მოკვლევებით ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამსაქმებლების ინიციატივებით; ბ) სასწავლებელი აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში; გ) პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას, ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას და/ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან და დასტურდება კვლევებით; დ) სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მიზანშეწონილობა შემუშავებულია აღნიშნული მეთოდოლოგიის დაცვით. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა გამომდინარეობს მისიიდან. საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ არის ჯანდაცვის მიმართულების პროგრამა და ის შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ფარმაციის მიმართულებით ბაზარზე არსებული დეფიციტთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მონაცემების, ანალიზითა და პარტნიორ კომპანიებთან კომუნიკაციით დაწესებულებამ დაადასტურა შრომის ბაზარზე პროგრამის მოთხოვნადობა. ასევე, მასზე მაღალია მოთხოვნა აპლიკანტთა მხრიდანაც, რაც დასტურდება აპლიკანტთა ოდენობის მზარდი სტატისტიკური მონაცემებით. მაგალითად, 2022 წელს მიღებაზე გამოცხადებულ 63 ვაკანტურ ადგილზე დარეგისტრირდა 230 აპლიკანტი. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, ჰყავს ძლიერი პარტნიორი - სააფთიაქო ქსელის შპს ,,ავერსი - ფარმას“ სახით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კოლეჯის გადაწყვეტილება ,,ფარმაციის (სააფთიაქო)““ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციაში მიზანშეწონილობაში წარმოსადგენ სავალდებულო ინფორმაციასთან მიმართებით: რეკომენდებულია დაწესებულებამ გაითვალისწინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და <u>მიზანშეწონილობის დასაბუთებაში გამოკვეთოს პროგრამის განხორციელების *ეკონომიკური და სამართლებრივი მიზანშეწონილობის ასპექტები*</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, რაც შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - ,,ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy“ (რეგისტრაციის ნომერი - 09110-პ; დამტკიცების და ბოლო ცვლილების თარიღები: 22.02.2019; 13.12.2022) მოთხოვნასთან.

სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ფარმაციის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა ითვალისწინებს მხოლოდ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების გავლას. დამატებითი შერჩევის მეთოდი, რაც დაშვებულია კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 03 ოქტომბრის №01/74 ბრძანებით ასევე, დამტკიცებულია ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა, რაც ითვალისწინებს კოლეჯის მეხუთე დონის პროგრამებზე სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის წარმოდგენას. რეგულაცია, კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე უშვებს შესაძლებლობას, რომ აპლიკანტმა არ წარმოადგინოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ,,ფარმაციის“ (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის 2022 წლის 10 ოქტომბრის №02/13 ბრძანება და პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითაც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან პირები პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით, ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ზემოაღნიშნული რეგულაციით გათვალისწინებულია უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის პროცედურა და შერჩევის მეთოდი (მოტივაციური გასაუბრება), თუმცა შესაბამისი სტატუსის მქონე პირები (რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანების 23-ე მუხლი), ფარმაციის პროგრამაზე ბოლო ორი წლის პერიოდში არ დარეგისტრირებულან და აღნიშნული მეთოდით აპლიკანტთა შერჩევაც არ განხორციელებულა.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლის მესამე მუხლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხები. მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და აღჭურვილობის რაოდენობა; პარტნიორი ორგანიზაციის/პრაქტიკის ობიექტის რესურსი (მატერიალური/ადამიანური/პრაქტიკის ხელმძღვანელთა რაოდენობა) და სასწავლო გარემოთა გამტარუნარიანობა, როცა ერთი და იგივე ფართი გამოყენებულია სასწავლებლის მიერ განხორციელებადი ორივე პროგრამის ფარგლებში. ასევე, გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელთა რაოდენობა და კვირეული დატვირთვა; პროგრამის განხორციელების ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, პროგრამის მოთხოვნადობა.

დაწესებულებამ ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამისათვის წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში იქნა მიღებული შემუშავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფაქტორები. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სასწავლებლის ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა, სასწავლო რესურსის რაოდენობა, სასწავლო სივრცე - A, B, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების, ინვენტარისა და აღჭურვილობის რაოდენობა და პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, სააფთიაქო ქსელთან ,,ავერსი -ფარმა“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთდროულად მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა შეთანხმებული რაოდენობა შესაბამისი და საკმარისია 120 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.

სასწავლებელი ორი სხვადასხვა პროგრამის (საექთნო განათლება) და ფარმაცია ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“) რამდენიმე მოდულის განხორციელების მიზნით იყენებს რამდენიმე ერთ და იმავე სივრცეს (A, B, C გარემო), ვინაიდან ისინი თავსებადია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებით სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებისადმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა სასწავლო გეგმებით განსაზღვრული მოდულების კვირეული დატვირთვა და ჯგუფების ოდენობა. კოლეჯში პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელებისთვის, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლებისთვის, ყველა სასწავლო გარემო მოწყობილია ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა არაუმეტეს 20 ადგილის გათვალისწინებით.

ფარმაციის პროგრამისათვის გათვალისწინებულია: 5 A ტიპის აუდიტორია, თითოეულში 20 სამუშაო ადგილი, სულ 100 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე გამოიყენება „საექთნო განათლება“ პროგრამის მიზნებისთვის); 1 B ტიპის აუდიტორია, 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის (ასევე გამოიყენება „საექთნო განათლება“ პროგრამის მიზნებისთვის); 4 A/C ტიპის აუდიტორია, მათ შორის: ქიმიის ლაბორატორია და ანატომიის ლაბორატორია ასევე გამოიყენება „საექთნო განათლების“ პროგრამის მიზნებისთვის და 2 პროფესიული მოდულების გარემო, თითოეულში 20 სამუშაო ადგილით, სულ 80 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი. პარტნიორ კომპანიასთან შპს ,,ავერსი - ფარმა“ გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/03 ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ერთდროულად მიიღოს 120 პროფესიული სტუდენტი და ის გადაანაწილოს სააფთიაქო ქსელის ობიექტებზე. აღნიშნული დადასტურებულია ინტერვიუირებითაც.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობაა 30, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების, 24 პროფესიული/დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის და სასწავლო გარემოთა დატვირთვის ბადის, მიმდინარე ჯგუფების სასწავლო ცხრილების ანალიზით დასტურდება, რომ არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი სწორად არის შეფასებული.

178

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა დაწესებულებამ განსაზღვრა მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და არსებული რესურსი ადეკვატურად არის შეფასებული.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი იყო ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. თვითშეფასებით წარმოდგენილ პროგრამას დანართი არ ახლდა, ამასთან, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 09 სექტემბრით №01/59 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია პროგრამის მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. დარგის ექსპერტის მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების დასახელებები. შესწავლილი იქნა პარტნიორ კომპანიასთან-შპს ,,ავერსი- ფარმა“ გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში დანართის სახით წარმოდგენილია იმ მატერიალური რესურსისა და ნედლეულის ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია პარტნიორის ბაზაზე შემდეგი მოდულების სწავლებისათვის: ,,მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“; „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“; „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“; „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“; „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“; „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“; „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“; „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ - სწავლის შედეგი: „სანიტარიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჰიგიენური წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“. ექსპერტი ადასტურებს, რომ მითითებული რესურსებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ასევე, შესწავლილი იქნა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი (მატერიალური და ელექტრონული) და დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს, რომლის კრედიტების რაოდენობა არ აღემატება პროგრამის საერთო მოცულობის 20%-ს. ეს მოდულია: ,,მზა სამკურნალწამლო ფორმები“, 3 კრედიტის მოცულობით. არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და იძლევა კურსდამთავრებულთათვის დამატებით საშუალებას, გაიფართოონ დასაქმების შესაძლებლობები. აღნიშნული მოდული გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია წარმოდგენილი პროგრამა.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N01/11 ბრძანებით. ცვლილება შეტანილია შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/20 ბრძანებით. ბოლო ცვლილება შევიდა ვიზიტს პერიოდში - №01.85; 17.11.2022)

პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი განსაზღვრულია შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დებულებითა და პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შემუშავებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საფუძველზე. პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო) “ შემუშავების საფუძველია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ (სარეგისტრაციო ნომრით - N09110-პ;) და ზოგადი მოდულები ,,ქართული ენა A2” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110001) და ,,ქართული ენა B1” (სარეგისტრაციო ნომრით - 0110002).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში წარმოდგენილია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა (მათ შორის, ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1 “ მოდულებისათვის).

181

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმის შესწავლით გამოიკვეთა, რომ მოდულების ,,ქართული ენა A 2“ და ,,ქართული ენა B1 “ განაწილების ბადეში დარღვეული იყო მოდულზე დაშვების წინაპირობა. არ იყო გათვალისწინებული, რომ ,,ქართული ენა A 2“ არის მოდულზე ,,ქართული ენა B 1“ დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, არ იყო გათვალისწინებული დაწესებულების რეგულაციით განსაზღვრული წინმსწრებ და მომდევნო მოდულს შორის სამკვირიანი ინტერვალი. ვიზიტის პერიოდში, დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/85 ბრძანებით ცვლილება შევიდა ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამაში და დაკორექტირდა ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმა. ამასთან, დაკორექტირდა არაქართულენოვანთათვის სწავლების ხანგრძლივობა და ნაცვლად 2 წელი და 5 თვისა განისაზღვრა 2 წელი და 7 თვით (27 სასწავლო კვირა) (დანართი №4).

აქვე აღსანიშნავია, რომ ამავე ბრძანებით დაკორექტირდა ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმა პროგრამისათვის ,,საექთნო განათლება“. ფარმაციის პროგრამისაგან განსხვავებით ,,საექთნო განათლების“ სასწავლო გეგმა გათვლილია 24 სასწავლო კვირაზე და სასწავლო ბადეშიც საათების განაწილებაც ამ ორ სასწავლო გეგმას შორის განსხვავებულადაა წარმოდგენილი. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ენის მოდულებზე სწავლა ერთად მოუწევთ ორ სხვადასხვა პროგრამაზე ჩარიცხულ არაქართულენოვან პროფესიულ სტუდენტებს, რეკომენდებულია სასწავლო გეგმები ერთგვაროვანი იყოს. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, ფარმაციისა და საექთნო განათლების პროგრამებში ქართული ენის მოდულების სასწავლო გეგმები მოიყვანოს ერთმანეთთან შესაბამისობაში.

ასევე, ექსპერტებს აქვთ განმავითარებელი რეკომენდაცია ფარმაციის პროგრამის სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით. ერთი და იმავე მოდულის ფარგლებშიც კი საათობრივი დატვირთვა სისტემატურად იცვლება და არასტაბილურია, რაც მოუქნელს გახდის სასწავლო პროცესის როგორც დაგეგმვას, ასევე მის განხორციელებას. გარდა ამისა, ყოველკვირეული დატვირთვა ხშირად არის 7-8 საათი. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული დატვირთვა მისაღებია პრაქტიკის ობიექტებზე რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებისას, მაგრამ არ არის რეკომენდებული კოლეჯში სწავლებისას, სადაც ძირითადად თეორიული კომპონენტი მიიღწევა. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია გადაამუშაოს სასწავლო გეგმა. სტაბილურად გადაანაწილოს საკონტაქტო საათები და პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული დატვირთვაც იმგვარად გადაანაწილოს, რომ სტუდენტს დარჩეს თავისუფალი დრო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის N01/11 ბრძანებით. ცვლილება შეტანილია შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/20 ბრძანებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლის მე-6 მუხლი არეგულირებს პროგრამაში ცვლილების საკითხებს. რეგულაციის მიხედვით, პროგრამის ცვლილების (სასწავლო გეგმის, საათების, შედეგების და სხვა) განხორციელებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშავების ეტაპების ანალოგიურად. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ფარმაციის პროგრამაში ცვლილება შეტანილია შემუშავების ეტაპის ანალოგიურად, სამუშაო ჯგუფის მიერ. წარმოდგენილი იქნა პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: შეხვედრის ფურცლები და ოქმები. წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუს გზით იდენტიფიცირდა ის ძირითადი საკითხები, რაც შეიცვალა განახლებულ პროგრამაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (საექთნო) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N 01/19 ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი“
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 16 მაისის N01/16 ბრძანებით შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დებულება;
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო“) განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ადგილების გაანგარიშების დოკუმენტი;
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საექთნო განათლება/Nursing და ფარმაცია (სააფთიაქო) Pharmacy დამტკიცების თაობაზე“ ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის №01/20 ბრძანება;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N 01/59 09.09.2022 წ.
- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საექთნო განათლება/Nursing და ფარმაცია (სააფთიაქო) Pharmacy დამტკიცების თაობაზე“ ,,შპს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი კოლეჯი №1 სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01/11 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/85 ბრძანება

- კოლეჯის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზის შედეგი;
- შპს ,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 08 აპრილის N01/06 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის წესი;
- შპს ,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის #02/13 ბრძანება ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
- შპს ,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 17 ნოემბრის №01/87 ბრძანება, ფარმაციის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N 01/59 09.09.2022 წ.
- პარტნიორ კომპანიასთან შპს ,,ავერსი - ფარმა“ გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/03 ხელშეკრულება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ ცვლილების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ფურცლები, ოქმები;
- დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეჯამება - 2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მეორე სტანდარტის პირველი კომპონენტის რვა კრიტერიუმის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და გასაუბრების შედეგების შეჯერებით ექსპერტების მიერ **პირველი კომპონენტი შეფასებულია, როგორც „შესაბამისი“.**

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ფარმაციის პროგრამისათვის გათვალისწინებულია: 5 A გარემო თითოეულში 20 სამუშაო ადგილით- პროფესიული სტუდენტისთვის სულ 100 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი. თეორიული სწავლების აუდიტორიები პარალელურად გამოიყენება „საექთნო განათლების“ პროგრამის მიზნებისთვის; ერთი B გარემო - 20 ინდივიდუალური სამუშაო ადგილით (ასევე გამოიყენება „საექთნო განათლების“ პროგრამის მიზნებისთვის); 4 A/C გარემო - მათ შორის: ქიმიის ლაბორატორია და ანატომიის ლაბორატორია ასევე, გამოიყენება „საექთნო განათლების“ პროგრამის მიზნებისთვის და 2 პროფესიული მოდულების A/C გარემო (ლაბორატორია), თითოეულში 20 სამუშაო ადგილით, სულ 80 ინდივიდუალური სამუშაო ადგილი პროფესიული მოდულების ფარგლებში.

დაწესებულებამ რეავტორიზაციის მიზნებისათვის მიიღო გადაწყვეტილება დაემატებინა პროფესიული მოდულებისათვის ერთი ლაბორატორია. ვიზიტის პერიოდისათვის მატერიალური რესურსი სრულად არ იყო შესყიდული. დაწესებულებამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით მატერიალური რესურსი შესყიდვების პროცედურა დასრულებული უნდა ყოფილიყო 2022 წლის ოქტომბრის თვის ბოლოს, <u>თუმცა ვიზიტის პირველივე დღეს დაწესებულების წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ბრძანებაში იყო ტექნიკური შეცდომა და შესყიდვების დასრულება (ისევე როგორც შესაბამისობის გეგმაში მითითებული ყველა სხვა აქტივობისა, რომლებიც ეხება მე-5 სტანდარტს) გათვლილია 2022 წლის დეკემბრის თვის ბოლომდე. ტექნიკური შეცდომა გასწორდა ვიზიტის პერიოდში და მტკიცებულებად წარმოდგენილია</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისობის გეგმაში შეტანილი ცვლილების ბრძანება (№01/88; 18.11 2022). გარდა ამისა, შესაბამისობის გეგმას დანართის სახით არ ახლდა შესასყიდი რესურსის ჩამონათვალი და ცვლილების ბრძანებაში აღნიშნულიც იქნა გათვალისწინებული (**დანართი №8).**

დაწესებულებას პროგრამაში მითითებული რესურსიდან A/C გარემოსთვის შესასყიდი აქვს 10 დასახელების რესურსი:

1. **რეფრაქტომეტრი - 1 ცალი**
2. **ქიმიური ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა- 1 ცალი**
3. **ხელის სასწორი 5. გრ - 10 ცალი**
4. **ხელის სასწორი 1 გრ. – 12 ცალი**
5. **საწონების კომპლექტი - 1 ცალი**
6. **ქიმიური კოვზი - 16 ცალი**
7. **შპადელი მეტალის - 3 ცალი**
8. **რეზინის ბურთი პიპეტებისთვის - 20 ცალი**
9. **სინჯარის დამწერი ინდივიდუალური - 22 ცალი**
10. **PH - მეტრი - 1 ცალი**

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს, „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამისათვის გათვალისწინებული სასწავლო ფართები და მის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი. რესურსების ფლობის მტკიცებულებად წარმოდგენილი იქნა ბალანსზე რიცხული აღჭურვილობის ჩამონათვალი, სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები. დადასტურდა, რომ დაწესებულების ბაზაზე განსახორციელებელი მოდულების სწავლის შედეგების მისაღწევად ყველა რესურსი უზრუნველყოფილი იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსისა, რომლის შესყიდვაც გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმით და, ასევე, დაწესებულების 2022 წლის ფინანსური და შესყიდვების გეგმებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის პროექტით 2.2 კომპონენტი შეაფასა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია, რომ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (2022 წლის დეკემბერი) დასრულებულიყო პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა.

2022 წლის 27 დეკემბერს შპს ,,პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ № 00012665 კორესპონდენციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც, სასწავლებელი ეთანხმება ექსპერტების მიერ დასკვნის პროექტში ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერას და წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში ,,ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით მატერიალური რესურსების შესყიდვების პროცედურების დასრულების მტკიცებულებები.

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ,,ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის მეორე სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, რომლის მიხედვით დაგეგმილი აქტივობები უნდა დასრულებულიყო 2022 წლის დეკემბერში (4 თვის პერიოდში). იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა და გაითვალისწინა შესაბამისობების გეგმა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უკვე მათი შესრულების მტკიცებულებების შესწავლა, რადგან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა გავიდა.

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასაქონლო ზედნადებები და მიღება - ჩაბარების აქტები, რომელთა შესწავლითაც დადგინდა, რომ დაწესებულებამ სრულად შეისყიდა ის მატერიალური რესურსი (ზემოთ ჩამოთვლილი 10 დასახელება), რომლებიც აკლდა ვიზიტის მომენტში.</u>

აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ინდიკატორის და შესაბამისად, 2. 2 კომპონენტის შეფასებისას.

189

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა კოლეჯში არსებული სასწავლო ფართებისა ,,ფარმაციის“ პროგრამით 8 მოდულის სწავლება გათვალისწინებულია პარტნიორის ბაზაზე. პარტნიორ კომპანიასთან - შპს ,,ავერსი - ფარმა“ გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/03 ხელშეკრულების 2.2 და 2.3 პუნქტების თანახმად, პარტნიორი აცხადებს მზაობას ერთდროულად მიიღოს 120 პროფესიული სტუდენტი და ის გადაანაწილოს სააფთიაქო ქსელის ობიექტებზე. აღნიშნული თანამშრომლობა დადასტურებულია ინტერვიუირებითაც, მათ შორის, კომპანიის წარმომადგენელთან ჩატარებული ინტერვიუთი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი აღნიშნულ რესურსს არ იღებს ერთ მიღებაზე და მას ანაწილებს ორ ნაკადზე.

კერძოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, პარტნიორის ბაზაზე ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მოდულები, ჯამში 19 კრედიტის მოცულობით (**პროგრამის საერთო მოცულობის 15%).**

1. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“ **(2 კრედიტი)**
2. „პროდუქციის მიღება - განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი“ **(4 კრედიტი)**
3. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ **(2 კრედიტი)**
4. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლისა და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“ **(3 კრედიტი)**
5. „მომხმარებლისათვის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“ **(3 კრედიტი)**
6. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“ **(2 კრედიტი)**
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის საგნების/საშუალებების შერჩევა“ **(2 კრედიტი)**
8. „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“ **მეხუთე სწავლის შედეგი (1 კრედიტი).**

190

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შპს ,,ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს ზემოაღნიშნული 8 მოდულის სწავლებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის, ასევე, მასალა-ნედლეულის ჩამონათვალი, რომლითაც უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესი და რომლის გამოყენების საშუალებაც აქვთ პროფესიულ სტუდენტებს. აღსანიშნავია რომ კოლეჯი თანამშრომლობდა კომპანიასთან და ხელშეკრულება განახლდა რეავტორიზაციის მიზნებისათვის. მოქმედების ვადა გათვალისწინებულია 3 წლით, ავტომატური 3 წლით გაგრძელების პერსპექტივით.

პრაქტიკის ობიექტებზე მოდულების თეორიული კომპონენტის სწავლებისათვის ,ავერსი ფარმას“ სათაო ოფისში გამოყოფილი აქვს A გარემო, სადაც ტარდება თეორიული მეცადინეობები პრაქტიკის ხელმძღვანელთა მიერ, ხოლო პრაქტიკული უნარები მიიღწევა აფთიაქებში. ხელშეკრულების დანართში მითითებული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი შესაბამისობაშია პროგრამასთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან ინტერვიუთი დადასტურებულია პრაქტიკის ბაზებზე სრულფასოვანი სწავლების და ყველა მოდულის გავლის შესაძლებლობა.

ვიზიტი განხორციელდა პარტნიორი კომპანიის ერთ-ერთ აფთიაქში (ქ. თბილისის №30 აფთიაქი, რომელთანაც თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვს დაწესებულებას და დადასტურდა სწავლებისათვის შესაბამისი გარემოს არსებობა. შედგა ინტერვიუ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, რომელსაც აქვს ფარმაცევტის კვალიფიკაცია და აქვს პროფესიულ სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება. აღნიშნულ აფთიაქში დასაქმებულია პროგრამის ორი კურსდამთავრებული. ამავე ობიექტზე შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. ,,ავერსი ფარმას“ ქალაქში 200- ზე მეტი აფთიაქი აქვს და თითოეულ ობიექტზე ანაწილებენ მაქსიმუმ 2 პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულებასა და პარტნიორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია თანამშრომლობის ფორმატი პროფესიულ სტუდენტთა გადანაწილებას, სწავლებასა და კომუნიკაციის არხებთან დაკავშირებით. ასევე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთათვის ვაკანსიების შეთავაზებისა და მათი დასაქმების ხელშეწყობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხი. პრაქტიკის ბაზებზე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებასა და შეფასებას მონიტორინგს უწევს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი, რომელთან ინტერვიუმაც დაადასტურა, რომ ის სრულფასოვნად ფლობს ინფორმაციას პარტნიორთა ბაზებზე მიმდინარე სწავლების თაობაზე, უწევს კოორდინაციას, პრაქტიკის ხელმძღვანელის მხარდაჭერით სტუდენტზე ობიექტებზე გადანაწილების პროცესს. სასწავლებელი და კომპანიის წარმომადგენლები ითვალისწინებენ სტუდენტთა ინტერესსაც, მათი საცხოვრებელი მისამართის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში შედგა შეხვედრა პროგრამის 2022 წლის კურსდამთავრებულებთან, რომელთაც თეორიული კურსის გავლა პანდემიის პერიოდში მოუწიათ. მათ დაადასტურეს პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვანი გავლა სააფთიაქო ქსელში.

ექსპერტების მიერ შეფასებულია არსებული მატერიალური რესურსი და დასტურდება, რომ დაწესებულებისა და პარტნიორის ბაზებზე არსებული რესურსი იძლევა ერთდროულად 120 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობას.

ექსპერტებმა გაითვალისწინეს არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი მტკიცებულებები და ასკვნიან. რომ ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. მოდულური პროგრამით ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებულია 30 (ოცდაათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 (ექვსი) ზოგადი მოდულების, ხოლო 24 (ოცდაოთხი) დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, მათ შორის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ ადამიანური რესურსის ჩამონათვალთან.

პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესის მიხედვით, პროგრამის მდგრადობის მიზნით, სასწავლებელი უზრუნველყოფს, რომ მოდულების განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული, რისთვისაც პროგრამის შემუშავებისას სამუშაო ჯგუფი დარგობრივი მოდულებისთვის განსაზღვრავს მინიმუმ ორ განმახორციელებელ პირს, მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელების მდგრადობის შეფასების მიზნით, ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს იმ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ბადე, რომლებიც ახორციელებენ მოდულებს, როგორც ,,ფარმაციის“ ასევე, „საექთნო საქმის“ პროგრამებზე და დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ უშლის ხელს, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები დატვირთულნი იყვნენ სხვადასხვა პროგრამებზე.

პრაქტიკის ობიექტებზე მიმდინარე მოდულებს ხელმძღვანელობს სამი პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომლებიც თეორიულ მეცადინეობებს ატარებენ ,,ავერსი ფარმას“ სათაო ოფისში გამოყოფილ A გარემოში. შპს ,,ავერსი ფარმასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი სტუდენტთა სწავლებისათვის განსაზღვრავს ფარმაცევტის კვალიფიკაციის მქონე პირს და პროფესიულ სტუდენტთა სწავლება მიმდინარეობს აფთიაქში, რეალურ სამუშაო გარემოში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, სტუდენტის ხელმძღვანელთან ერთად. აღნიშნული დადასტურებულია განმახორციელებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადასტურებულია რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი განათლება ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის/სპეციალური ლიცენზია ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულ(ებ)ით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ფლობის დამდასტურებელი სამუშაო გამოცდილება, არანაკლებ 2 წლისა.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ჰქონდათ გამოწვევები დისტანციური სწავლებისას ტექნოლოგიურ უნარებთან დაკავშირებით და კოლეჯმა უზრუნველყო მათი მხარდაჭერა, IT სპეციალისტის მიერ ჩატარებული ტრენინგების საშუალებით, რაც დადასტურდა დოკუმენტურადაც.

მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობდნენ მოდულების ადაპტირებაში, მიმდინარე წელს ჩართული იყვნენ პროგრამის ცვლილების პროცესში. აქვთ მოდულების განხორციელების გამოცდილება. ხოლო ერთეულ, სისტემაში ახლად შემოსულ პირებს ჩაუტარდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების შესახებ ტრენინგები, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მსგავსი ტრენინგების განმეორებით ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმახორციელებლებთან ინტერვიუთი დადასტურებულია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 16 მაისის #01/17 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს კვალიფიკაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ის არის დარგის კვალიფიციური წარმომადგენელი. პროფესიით პროვიზორი, აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება. დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. აღსანიშნავია რომ პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობდა „ფარმაცია სააფთიაქოს“ ,,შეფასების ინსტრუმენტების “ შექმნის პროცესში.

პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია პროგრამასთან ერთად. ექსპერტები გაეცნენ პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგის ექსპერტი შეხვდა პროგრამის ხელმძღვანელს პრაქტიკის ობიექტზე. დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი, 2022 წელს დაინიშნა პროგრამის ხელმძღვანელად პროგრამის მოდიფიცირებისას და მას აღნიშნული მიმართულებით არ აქვს დიდი გამოცდილება, თუმცა მასთან ინტერვიუთი განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი აქტიური ჩართულობა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში. ასევე გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. კოლეჯში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება.

პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში, საწყის ეტაპზე, ჰქონდათ გამოწვევა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, მაგრამ მალევე მიეწოდათ გაციფრულებული სასწავლო რესურსი. დაწესებულებამ სწორედ პანდემიის დროს დაიწყო სასწავლო რესურსის სრულად დიგიტალიზაციის პროცესი და 2022 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში არსებული რესურსების სრული გაციფრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარი, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ისგ-ს (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას. ასევე, საბიბლიოთეკო მომსახურებისა და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია, რომ მისი ერთ-ერთი ფუნქციაა შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში.

197

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე სასწავლებელი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას. ამის დასტურია ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს დარეგისტრირებული იყვნენ სსსმ სტატუსის მქონე პირები (რომლებმაც მოგვიანებით უარი განაცხადეს სწავლაზედა არ გამოცხადდნენ პროფესიულ მოსინჯვაზე), რომელთა პროფესიული მოსინჯვის მიზნით კოლეჯმა მოიწვია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. სპეციალისტმა უზრუნველყო აღნიშნული პროცედურისთვის შესაბამისი თანამშრომლების მომზადება და კოლეჯის ადმინისტრაციისთვის და მასწავლებლებისთვის ტრენინგების ჩატარება სსსმ პროფესიულ სტუდენტების სწავლების თავისებურებების შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგის ამსახველი მასალა -დასწრების ფურცლები, პრეზენტაცია, ფოტოები. **შესაბამისად, ექსპერტები ადასტურებენ, რომ წინამდებარე კრიტერიუმის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯი წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და წლების მანძილზე პროგრამა თვითდაფინანსებაზე იყო. თუმცა უკვე მეორე წელია პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროფესიული სტუდენტი იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. კოლეჯმა თვითშეფასებით წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც პროგრამის რენტაბელობის ზღვარი იყო 7 პროფესიული სტუდენტი. (აქვე იყო ტექნიკური ხარვეზი, რენტაბელობის ზღვარის ველში ეწერა სხვა ციფრი- 11). ექსპერტებმა მიიჩნიეს რომ ბიუჯეტი არასრულყოფილად იყო შედგენილი, იქიდან გამომდინარე რომ ის მოიცავდა მხოლოდ შემდეგ ხარჯებს: მასწავლებლის ხელფასი, პრაქტიკის ხარჯი, სახარჯი მასალა, სტუდენტებისა და განმახორციელებლების აქტივობები. წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯებში არ იყო გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხარჯი, კომუნალური ხარჯი და სხვ. მაშინ როცა დირექტორის მოადგილის მიერ წარმოდგენილ პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფინანსების ბოლო 3 წლის სტატისტიკის დოკუმენტი მოიცავდა აღნიშნულ ინფორმაციას. გარდა ამისა, დაფინანსების წყაროდ მითითებული იყო მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსება, მაშინ როცა პროგრამას ჯერ კიდევ ჰყავს თვითდაფინანსებული სტუდენტები.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული დაკორექტირებული ბიუჯეტი. რომელშიც აისახა დაფინანსების სხვადასხვა წყაროები, ასევე, გაიზარდა ხარჯების ნუსხა. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამა რენტაბელურია ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში **(დანართი №6)**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პარტნიორ კომპანიასთან შპს ,,ავერსი - ფარმა“ გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/03 ხელშეკრულება;
- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,თბილისი პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის №01/68 ბრძანება;
- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის №01/68 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის №01/88 ბრძანება;
- ,,პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი დამტკიცების შესახებ“ „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N 01/19 ბრძანება;
- შპს “თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,შპს საზოგადოებრივი კოლეჯი თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების: საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის განსაზღვრის თაობაზე ბრძანება N01/59 09.09.2022 წ.
- ცვლილება შესაბამისობის გეგმაში - №01/88; 18.11 2022).
- ,,შპს ,,თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი“-ს საშტატო განრიგისა და საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციებისათვის სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“ შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის 2022 წლის 16 მაისის №01/17 ბრძანება;
  - კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
  - კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
  - კოლეჯისა და პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
  - ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის შემოწმების შედეგი;
  - პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ ბიუჯეტი;
  - პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
  - ბალანსზე რიცხული რესურსის ჩამონათვალი, სასაქონლო ზედნადებები/მიღება - ჩაბარების აქტები;
  - 2022 წლის ფინანსური და შესყიდვების გეგმები;
  - შპს ,,პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ 2022 წლის 27 დეკემბრის № 00012665 კორესპონდენციით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი შესყიდვების მტკიცებულები (მიღება - ჩაბარების აქტები და სასაქონლო ზედნადებები);

200

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

- კოლეჯის წარმომადგენლებთან, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელთან, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგი.
-
- პროფესიული სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

კომპონენტი ფასდება როგორც მეტწილად „შეესაბამება“

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებულია პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი, რომლითაც გაწერილია პროგრამის შეფასების მექანიზმი. პროგრამის შეფასებას და შეფასების ანალიზს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. იგი პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით, ახორციელებს გამოკითხვებს, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს. ასევე, შეფასებისათვის გამოყენებულია სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეთოდი.

არსებული მექანიზმის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ფარმაციის პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის მოთხოვნები. მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებობს კვალიფიცირებული ფარმაცევტული კადრების მზარდი მოთხოვნა, შესაბამისად სააფთიაქო ქსელები საჭიროებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიციურ პერსონალს, რაც დადასტურებულია სააფთიაქო ქსელის პარტნიორების გამოკითხვით. კვალიფიციურ პერსონალს მუდმივად საჭიროებს კოლეჯის პარტნიორი ,,ავერსი ფარმა“, რომელიც ჩართულია სწავლების პროცესში.

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის, სტუდენტთა მოძრაობის (ჩარიცხვა, შეჩერება, მობილობა შეწყვეტა, დასრულება) სტატისტიკის შესწავლას; სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესისა და მოდულების შეფასების მიზნით, კურსდამთავრებულთა და პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვას.

გარდა შეფასებისა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, საკანონმდებლო ცვლილებების, პროგრამის გაუმჯობესების, დახვეწის, უკეთესი მომსახურების შეთავაზების მიზნით ან სხვა გარემოებების საფუძველზე; პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამების კოორდინატორს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულებამ 2022 წელს გადახედა და გააუმჯობესა თავისი რეგულაცია პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით. გარკვეული ტიპის გამოკითხვებს ატარებდნენ, მაგრამ ამას არ ჰქონდა სისტემატიზირებული ფორმა. რაც გაანალიზდა დაწესებულების მიერ და ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესდა პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

გარდა ზემოაღნიშნულისა რეგულაციისა, შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე).

პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; ბ) მონაცემების დამუშავება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/პროგრამების კოორდინატორის და სხვა პირების მიერ; დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დაწესებულებაში არსებული პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, ის ეფუძნება PDCA ციკლს.

დაწესებულებამ 2022 წელს კონკურსის წესით აიყვანა ახალი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომელთან ინტერვიუთი დადასტურდა, რომ მის მიერ სიღრმისეულად არის გააზრებული არსებული მექანიზმები. ის აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან და წარმოადგინა სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობით შემუშავებული განახლებული კვლევის კითხვარები, რომლებიც უკვე მის მიერ დაინერგება პროგრამების შეფასების პროცესში, მისი შემდგომი განვითარების მიზნით.

204

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა გამოითხოვეს ინფორმაცია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან მიმართებით. შესრულებული სამუშაოების მტკიცებულებებად წარმოდგენილია: კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი; პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების მასალა, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, სამუშაო შეხვედრების ფოტო - მასალა. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წელს 115 პროფესიულ სტუდენტთან ჩატარებული ელექტრონული კვლევის შედეგების სტატისტიკა (მათ შორისაა, ფარმაციის პროგრამის სტუდენტები). წარმოდგენილი დოკუმენტი არსებით ინფორმაციას პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით არ მოიცავს. ამ ეტაპზე დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს როგორც კვლევის კითხვარები, ასევე კვლევის მეთოდოლოგია. ასევე, წარმოდგენილი იქნა მოდულების შეფასების ფორმები, ხარისხის მართვის მენეჯერის რამდენიმე ანგარიში პროგრამის განვითარების მიზნით გაწეული სამუშაოს თაობაზე.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ დადასტურებულია გამოკითხვებში მონაწილეობა. ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მუდმივად აძლევენ კოლეჯს უკუკავშირს, მათ შორის, პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვასა და სწავლებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება შეფასების საფუძველზე პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს: დაწესებულებამ პანდემიის პერიოდში გაითვალისწინა არსებული ვითარება და პროგრამაში აისახა ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობის თაობაზე. მოდულებში განახლდა სასწავლო რესურსი და აისახა ინფორმაცია გაციფრულებული ელექტრონული რესურსის თაობაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რეკომენდაციების საფუძველზე, გადაიხედა სწავლებისა და შეფასების მეთოდები და ფაქტიურად ხელახლა განხორციელდა მოდულთა ადაპტირება. დაწესებულებამ შეაფასა პროგრამის მატერიალური რესურსი და მოხდა ახალი გარემოს მოწყობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაიგეგმა მატერიალური რესურსის განახლება/ შევსება. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროგრამების განვითარების მიზნით სხვა სამუშაოთა ჩატარება ფაქტიურად ვერც მოხერხდა და ამას საკმაოდ ობიექტური მიზეზი ჰქონდა - პანდემიის სახით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის მენეჯერის 2022–2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსის განვითარებას, დაინტერესებული მხარეების კვლევების ჩატარებას, პროგრამების შეფასებასთან დაკავშირებით ანგარიშგების წარდგენასა და პროგრამების განვითარებას. ასევე, ფარმაციის პროგრამის შეფასებისა და განვითარების ფარგლებში დაწესებულებას დაწყებული აქვს ვერიფიკაციის პროცესი, რომლის შედეგების გამოყენება იგეგმება პროგრამის განვითარების მიზნით (ვრცლად იხილეთ 2.4 კომპონენტი).

ექსპერტების მოსაზრებით, 2022 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აჩვენა, რომ დაწესებულებას ჩამოუყალიბდა ხედვა ხარისხის განვითარების მიმართულებით. კოლეჯს შერჩეული ჰყავს მოტივირებული ხარისხის მართვის მენეჯერი და მოკლე პერიოდში განხორციელებული პროგრესიდან გამომდინარე, ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 30 მაისის N01/19 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის შემუშავების, განვითარების, ცვლილებისა და გაუქმების წესი,
- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;

206

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის“ დირექტორის 2022 წლის 1 სექტემბრის N01/53 ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის გეგმა;
- გამოკითხვების მასალები, შეხვედრების ფურცლები, ოქმები, მეცადინეობაზე დასწრების ფურცლები, ფოტო - მასალა;
- დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს.

ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში, ასევე შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა. პროგრამის სასწავლო გეგმაში შეტანილია ყველა სასწავლო მოდული და განსაზღვრულია სასწავლო კვირების რაოდენობა და დაგეგმილია დამატებითი შეფასების და განმეორებითი დამატებითი შეფასების ვადები (მინიმუმ 3 კვირა) იმ მოდულებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მეორე მოდულზე დაშვების წინაპირობას. პროფესიული სტუდენტის კვირეული საათობრივი დატვირთვა დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება 40 საათს, როგორც 2.1 კომპონენტში აისახა, ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა მაღალია - 35- 40 საკონტაქტო საათი. რაზედაც გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია სასწავლო გეგმასთან მიმართებით. მეორე სასწავლო წელს 23-ე - 35-ე კვირების პერიოდში სტუდენტები გადიან სწავლებას პარტნიორ კომპანიაში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი, რომელიც სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორის მიერ სტუდენტების შესახებ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტებს ანაწილებს სასწავლებლის პარტნიორ კომპანიებში (პრაქტიკის ობიექტი) მათი რაოდენობის, პროგრამის, მოდულის და მოდულით განსაზღვრული საათების შესაბამისად.

კომპანიაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლებელსა და პრაქტიკის ობიექტს შორის შეთანხმებულ ვადებში და მისამართზე. აღნიშნული დადასტურებულია დოკუმენტურად და ინტერვიუირებით (კურსდამთავრებული, პროფესიული სტუდენტი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი). ვიზიტისას მეორე კურსის სტუდენტები იყვნენ პრაქტიკის მოლოდინში. მარტის თვიდან მათ ეწყებათ სწავლება პრაქტიკის ობიექტებზე და კოლეჯს უკვე ჰქონდა დაწყებული სამუშაოები მათ გადასანაწილებლად. აქვე უნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღინიშნოს რომ 2022 წლის 30 მაისის №01/20 ბრძანების მიხედვით, მოდიფიცირებული პროგრამა ვრცელდება მხოლოდ 2022 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე, ხოლო, 2021 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას განაგრძობენ ძველი პროგრამით.

კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სალექციო ცხრილების და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად, რომელსაც ადგენს სასწავლო პროცესის მართვის კოორდინატორი და მტკიცდება დირექტორის სამართლებრივი აქტით. ***ექსპერტები თვლიან, რომ სასწავლო ცხრილების დამტკიცება ზედმეტი ბიუროკრატიაა და უმჯობესია არსებული რეგულაციის გადახედვა.***

მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან ეცნობება დაინტერესებულ პირებს სასწავლებელში მოქმედი საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, პანდემიის დროს განსაკუთრებით აქტიურად სარგებლობდნენ შიდა საკომუნიკაციო ჯგუფებით და ცხრილებსაც ამგვარად იღებდნენ. სტუდენტებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია

პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი.

პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროგრამის სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა დამტკიცებული სასწავლო ცხრილების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან. მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. შედგა ინტერვიუ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან. დადასტურებულია კალენდარული გეგმების არსებობა და სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პანდემიის პერიოდში დაწესებულებამ, ისევე როგორც ყველა სხვა დაწესებულებამ იმუშავა დისტანციურად ან მოგვიანებით ჰიბრიდული სწავლების მიდგომით. განსაკუთრებული გამოწვევები არ დაფიქსირებულა. ამას ხელი შეუწყო თავად პროგრამამაც, რადგან 8 მოდულის სწავლება მიმდინარეობდა სააფთიაქო ქსელში. რაც შეეხება იმ მოდულებს, რომელთა სწავლება გათვალისწინებული იყო კოლეჯში, მაგრამ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება დისტანციურად ვერ განხორციელდა, პირისპირ სწავლის აღდგენის შემდეგ მასწავლებლებმა კოლეჯში ჩაატარეს პრაქტიკული საათები და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის და შეფასების წესი. ვიზიტის პერიოდში ,,ფარმაციის (სააფთიაქო“) ყველა ჯგუფი სწავლობდა პირისპირ რეჟიმში.

შეჯამების სახით, ექსპერტები ადასტურებენ რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად;

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, ფორს-მაჟორული გარემოებების, სასწავლებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სასწავლებელი მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის დროს. კოლეჯი მაქსიმალურად გაუმკლავდა გამოწვევებს, ჰქონდათ მუდმივი კომუნიკაცია სტუდენტებთან. პროფორიენტაციისა და სტუდენტური სერვისების კოორდინატორი მათ აწვდიდა ცხრილებს, გაციფრულებულ სასწავლო რესურსს. კოლეჯი სარგებლობს ონლაინ პლატფორმა, რომელიც იძლევა აუდიო და ვიდეო კომუნიკაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობებს. დოკუმენტურად და ინტერვიუირებით დადასტურდა სასწავლო გეგმის ოპერატიული ცვლილებების არსებული პრაქტიკა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, დარგის კონტექსტის გათვალისწინებით.

სასწავლებელმა უზრუნველყო სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის ელექტრონული პლატფორმის მომხმარებლის პროფილების შექმნას და ტექნიკურ მხარდაჭერა. შემუშავდა რეგულაცია სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის თაობაზე.

ინტერვიუს დროს, 2022 წლის მიღების სტუდენტებმა, რომელთაც სწავლა დაიწყეს მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის მიხედვით, გამოთქვეს სურვილი იმასთან დაკავშირებით, რომ საკონტაქტო კვირეული დატვირთვა არ იყოს ასეთი მაღალი (დღეში 7-8 საათი). თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ სწავლა ორი კვირის დაწყებული იყო და აღნიშნული პოზიცია მათ არ ჰქონდათ დანაფიქსირები ადმინისტრაციასთან. ექსპერტებს ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენლებთან კომუნიკაცია აღნიშნულ თემაზე და მათ გამოხატეს მზაობა მოქნილი რეაგირება მოახდინონ პროფესიულ სტუდენტთა იდენტიფიცირებულ საჭიროებებზე. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების მიზნით დაწესებულებამ 2022 წელს ჩაატარა გამოკითხვა პანდემიის პერიოდში ჩარიცხულ სტუდენტებთან. მათი ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებამ თეორიული მოდულების სწავლება დისტანციურ რეჟიმში დატოვა, გამომდინარე იქიდან, რომ რაიონებში მცხოვრებ სტუდენტებს არ ჰქონდათ თბილისში საცხოვრებლის ქირაობის შესაძლებლობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებთან შეხვედრისას მათ მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯში რეორგანიზაციის, მენეჯმენტის შეცვლის შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და რაც განსაკუთრებით შესამჩნევია მეტად გახდა ყველა პროცესი სტუდენტზე ორიენტირებულიო. გამოიკვეთა, რომ ხშირად ტარდება გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები სტუდენტთა ინტერესების გამოსავლენად და კმაყოფილების დასადგენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

3. ექსპერტების მიერ პროგრამის, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული ინიციატივების, მათ შორის ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების კუთხით და დამსაქმებელთა უკუკავშირის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის თანამედროვე მიდგომებს.

პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები და მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება დამხმარე ჩანაწერების ნაწილში. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

4. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის, ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა პროფესიული სტუდენტის მობილობის, სტატუსის აღდგენის, მოდიფიცირებული/ოპტიმიზირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისა და ფორსმაჟორული ვითარებებისათვის.

კოლეჯში სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ და ამ მიმართულებით გამოცდილება არ მიუღიათ. ჰქონდათ სტუდენტის მიერ სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შემთხვევა, მაგრამ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არ დამდგარა, რადგან სტუდენტს სტატუსი აღდგენილი ჰქონდა იმავე პერიოდში როცა განხორციელდა სტატუსის შეჩერება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლება განხორციელდა პანდემიის პერიოდში. კერძოდ, ჯგუფებისათვის დამტკიცდა სასწავლო გრაფიკი, გაწერილი კონკრეტული კვირების მიხედვით, მოდულებზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით.

ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ავერსი ფარმასთან“ (№09.03 01. 08. 2022 წ.) ხელშეკრულებით დარეგულირებულია: მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები.

ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის თაობაზე - განსაზღვრულია კომპანიის ბაზაზე მისაღწევი მოდულების/ სწავლის შედეგების დასახელება.

კომპანია აცხადებს მზაობას ერთდროულად მიიღოს 120 პროფესიული სტუდენტი. გათვალისწინებულია მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება, კვალიფიციური კადრებით სწავლების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებაში დანართის სახით მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია მატერიალურ - ტექნიკური ბაზისა და ასევე, ხელმისაწვდომი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

კომპანია ,,ავერსი ფარმა“ ფარმაცევტულ სფეროში ერთ- ერთი ლიდერი კომპანიაა, რომელსაც მხოლოდ თბილისში 200-მდე ობიექტი აქვს. ის ოპერირებს რეგიონებშიც. კომპანია უკვე რამდენიმე წელია ჩართულია სწავლების პროცესში. 2021 წელს ფარმაციის პროგრამა 41- მა, ხოლო 2022 წელს 38, ჯამში - 78 პირმა დაასრულა და ყველა მათგანმა სწავლება ,,ავერსი ფარმას“ ბაზაზე გაიარა. კომპანია ხელს უწყობს სტუდენტებს, მათი დაინტერესების შემთხვევაში, პრაქტიკული სწავლება გაიარონ მათივე რეგიონში არსებულ ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებთან და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენელთან ინტერვიუთი დადასტურებულია პროფესიული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა, სამუშაო გარემოში სწავლების სწავლების მეთოდოლოგიით. ავერსი ფარმა ამავე დროს კოლეჯის ერთ - ერთი დამსაქმებელია. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება, რომ სწავლების დასრულებისა შემდეგ იზრუნებს სააფთიაქო ქსელში არსებულ ვაკანსიებზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე.

6.,,ფარმაციის“ მოდულური პროგრამისათვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია“, რომელიც გამოკრულია ლაბორატორიაში. ინსტრუქცია არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ყველა ლაბორატორიაში მყოფ პირს. ლაბორატორიაში არსებული ნივთიერებები გარკვეულწილად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია სისუფთავის და წესრიგის დაცვა. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვითა და მისი მეთვალყურეობით. აღნიშნულ გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება (ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ), რომელიც უზრუნველყოფს - სამედიცინო არასახიფათო და სახიფათო (გარდა რადიაციული) ნარჩენების გაუვნებელყოფის სამუშაოებს (სპეციალურ კონტეინერებში განთავსება, სპეც. მანქანით ტრანსპორტირება საბოლოო დანიშნულებამდე და თერმული დამუშავება). წარმოდგენილია ხელშეკრულება და მიღება - ჩაბარების აქტი უვარგისი და ვადაგასული ქიმიური რეაქტივების განადგურების მომსახურებასთან დაკავშირებით.

უსაფრთხოების საკითხები დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული ხელსეკრულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული მექანიზმებით და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- შპს "თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებელში" სასწავლო პროცესის ჰიბრიდული ან ელექტრონული/დისტანციური/ონლაინ სწავლების ფორმატით წარმართვის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის 01/83 ბრძანება;
- ,,შპს „თბილისის პირველ სამედიცინო სასწავლებლის" სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 14 სექტემბრის 01/64 ბრძანება;
- ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია"
- უტილიზაციის ხელშეკრულება - შპს ,,მედიკა ტექნოლოგი" (№21/11- 1ხ; 21.11.2019); მიღება - ჩაბარების აქტები №20/07- 1ა;20.07.2022 და № 21/07-2გ; 21.07.2022;
- საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო);
- სასწავლო და კალენდარული გეგმები; დამტკიცებული სასწავლო გრაფიკი;
- პარტნიორ კომპანიასთან შპს ,,ავერსი - ფარმა" გაფორმებული 2022 წლის პირველი აგვისტოს №09/03 ხელშეკრულება;

216

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი.

ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მესამე თავი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, დამატებითი შეფასების და განმეორებითი დამატებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შუალედური შეფასების, ვალიდაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნები და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია შუალედური შეფასების წესი და პროცედურა.

შუალედურ შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვროს შუალედური შეფასების პერიოდი. აღნიშნული დაეხმარება მას შუალედური შეფასების შინაარსის გააზრებაში და შეფასების სწორად დაგეგმვაში (აღნიშნული რეკომენდაცია ბმაშია 2.1 კომპონენტთან).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით; მოდულის განხორციელების დაწყებამდე მასწავლებელი, პროგრამების კოორდინატორს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. პროგრამების კოორდინატორი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციის - შინაარსობრივი მხარის შემოწმების კოორდინირებას პროგრამის ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობით. ვალიდირებული განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტი ინახება სასწავლებლის ინსტრუმენტების ბანკში და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდგომი შეფასების მიზნებისთვის. პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასება აისახება შეფასების ფურცელში/ჩეკლისტში.

ექსპერტებმა გამოითხოვეს რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტი. დარგის ექსპერტმა შინაარსობრივად გადაამოწმა მოდულების: ბიოქიმია, ფარმაკოლოგია და სამკურნალო მცენარეული და ცხოველური ნედლეული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც მისი შეფასებით იყო ვალიდური. მათ შორის, გამოყენებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ - გვერდზე განთავსებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშები.

გარდა ამისა შეფასდა რამდენიმე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები და მისი შესაბამისი მტკიცებულებები. ინსტრუმენტთა ნაწილში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობები: არ იყო მითითებული, შეფასების თარიღი, სასწავლო გარემო, ერთი ინსტრუმენტით შეფასებული იყო მოდულის ყველა სწავლის შედეგი, მაშინ როცა შეფასების პროცესისათვის უმჯობესი იყო მათი რამდენიმე შედეგის ერთად შეფასება და არა ყველასი, შეფასების სქემაში არ იყო მითითებული ხარვეზის დასაშვები ნორმა (რასაც რეალურად ითხოვდა ინსტრუმენტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუმცა ყოველივე ამას, გავლენა არ მოუხდენია შეფასების შედეგებზე. ასევე, არ ყოფილა გასაჩივრების შემთხვევა, თუმცა დაწესებულებას აპელაციის წესი განსაზღვრული აქვს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას 2022 წელს გადამუშავებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის არსებული ფორმა და ის არსებითად არის გაუმჯობესებული, მოიცავს შეფასების პროცესისათვის, შეფასების სისტემის ყველა მახასიათებლის დასაკმაყოფილებლად აუცილებელ ინფორმაციას და აღნიშნული ჩარჩოთი მიმდინარე წელს შემუშავებული ინსტრუმენტები აკმაყოფილებდა სტანდარტის ყველა მოთხოვნას (შეფასდა ზოგადი და პროფესიული მოდულების 2-2 ინსტრუმენტი).

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ყურადღება გამახვილდა შეფასების სისტემაზე. სტუდენტებმა ისაუბრეს შეფასების კრიტერიუმებისა და განმსაზღვრელი შეფასების თაობაზე ინფორმირების მექანიზმის შესახებ. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ შეფასების შედეგები ეცნობებათ ელექტონული ფოსტების საშუალებით, რასაც ითვალისწინებს რეგულაცია.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა 2022 წლის მიღების ჯგუფებთან დაიწყო თეორიული კომპონენტის ფარგლებში ელექტრონული შეფასება და სისტემა საკმაოდ კარად აქვთ გამართული. შეფასების შედეგების გაცნობას უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო და სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სპეციალისტი ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით/სტუდენტის პირად ელექტრონული ფოსტის მისამართზე. სანიმუშოდ განხილული იქნა უკვე ჩატარებული ერთი შეფასების მასალა.

არსებული დოკუმენტაციის (ინსტრუმენტები, უწყისები, მტკიცებულებები) შეფასებით, მასწავლებელთა, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინტერვიუს საფუძველზე, ექსპერტები ადასტურებენ, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

2. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №01/53 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს ვერიფიკაციის ჩატარების წესსა და პროცედურას.

ინტერიუირებით დადგინდა, რომ ფარმაციის პროგრამაზე წინა წლებში ვერიფიკაცია არ იყო ჩატარებული და ვერიფიკაციის ზემოაღნიშნული წესის შემუშავების შემდეგ შეიმუშავეს ვერიფიკაციის გეგმა და დაწყებული იყო ვერიფიკაციის პროცესი. დამტკიცებული ვერფიკაციის გგმის მიხედვით, ფარმაციის პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესი დასრულდება 2023 წლის 15 მარტისთვის (გეგმის დამტკიცებიდან 5,5 თვის პერიოდში).

კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ხოლო ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, რომელშიც ვერიფიკატორის სტატუსით შედიან დარგის სპეციალისტ/ებ/ი და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკატორის/ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობისას გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტი. პროფესიული განათლების სასწავლებელი/დარგის სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ან ვალიდაციის პროცესში, არ მონაწილეობს ამ კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესში. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევითი პრინციპით რისკების ანალიზის მიხედვით, და ეფუძნება შესაძლო შეუსაბამობების მაღალ ალბათობას. შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ახალი განმახორციელებელი; სტუდენტების მიერ მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის/დადასტურების მიმდევრობით მაღალი მაჩვენებელი; სტუდენტის საჩივარი; შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი.

221

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორ ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა რამდენიმე შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომლის ფარგლებშიც დაფიქსირდა სხვადასხვა ტიპის ტექნიკური უზუსტობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ დაწყებულია ვერიფიკაციის პროცესი. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ორი მოდულის ფარგლებში განხორციელებული ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტები და ვერიფიკაციის შედეგები. ვერიფიკაცია განხორციელდა 2022 წლის ოქტომბრის თვეში. რისკების გათვალისწინებით, მოდულები შეირჩა შემდეგი პრინციპით - ერთი ინსტრუმენტით შეფასებული 4-ზე მეტი სწავლის შედეგი.

მოდულის - ,,სამედიცინო ფიზიკის საფუძვლების ფარგლებში“ განხორციელებული ვერიფიკაციის დასკვნაში ასახულია შემდეგი შენიშვნები და რეკომენდაციები: მაგალითად: შეფასების უწყისში და შეფასების ინსტრუმენტში მოდულების სახელწოდება იდენტური უნდა იყოს. მტკიცებულებაში შესაძლებელი უნდა იყოს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირება შევსებული ტესტის დასასრულს სტუდენტის სახელისა და გვარის მისათითებელ ველში შევსებული ინფორმაციით; შეფასების დრო არარეალურია - 8 შედეგის დადასტურება 9,5 საათში. რეკომენდებულია შეფასებები გაიყოს. შეფასების საათი საჭიროების შემთხვევაში დარედაქტირდეს. ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ ვერიფიკაციის პროცესი გრძელდება და მიღებული შედეგები გამოიყენება ხარისხის განვითარების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მის შესაბამისად დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა უზრუნველყოფილი იქნება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე), ექსპერტები აღნიშულ კომპონენტს აფასებენ როგორც მეტწილად შესაბამისს და იძლევიან შესაბამისობის რეკომენდაციას, დაწესებულებამ დადგენილ ვადაში უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესისა და პროცედურის შესაბამისად ვერიფიკაციის პროცესის წარმართვა და დადგენილ ვადაში დასრულება (2023 წლის 15 მარტი).

222

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება (ლექციებზე დასწრების აღრიცხვის ფურცლები, ტესტები, პროექტები, შემფასებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლებლის არქივს და ინახება სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება სასწავლებლის საქმისწარმოების წესის შესაბამისად.

სტუდენტის მიერ ელექტრონული სახის პროდუქტი იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება პროგრამების კოორდინატორთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა სასწავლებლის არქივს და ინახება სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება საქმის წარმოების წესის შესაბამისად. სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულება/პროდუქტი ინახება იმგვარად რომ შესაძლებელია მათი აღრიცხვა, რეგისტრაცია და ავტორ/ებ/ის იდენტიფიცირება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული უწყისები, მტკიცებულებები, მათ შორის, პრაქტიკის ობიექტებიდან მოტანილი მტკიცებულებები. დაათვალიერეს კოლეჯის არქივი. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების მიღწევის დონე სწავლის შედეგებთან მიმართებაში და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. რეგულაციის გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებასთან დაკავშირებით, პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით და ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

განმავითარებელ შეფასებას ემსახურება შუალედური შეფასებაც, რომელიც ახალი რეგულაციის მიხედვით დაინერგება კოლეჯში.

ინტერვიუირებით დადასტურდა მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათ შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს "თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 9 სექტემბრის N01/61 ბრძანება;
- ,,შპს თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს „თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებლის" დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის №01/53 ბრძანება;
- ფარმაციის პროგრამაზე შეფასების შიდა ვერიფიკაციის მასალაა (ორი ინსტრუმენტის ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაციის მასალა);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ ვერიფიკაცია არ არის ჩატარებული სამივე მიმართულების მიხედვით (შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია) და დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც ფარმაციის პროგრამაზე აღნიშნული პროცესი დასრულდება 2023 წლის 15 მარტისთვის (5,5 თვე), 2.4.2 ფასდება როგორც ,,**მეტწილად შესაბამისი**".

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XII. ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

225

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი №1 - დღის წესრიგი - პირველი სამედიცინო სასწავლებელი;

დანართი №2 - მტკიცებულება 4.1.1 კომპონენტისთვის;

დანართი №3 - მტკიცებულება 5.2.3 კომპონენტისთვის

დანართი №4 – მტკიცებულება 2.1.1 კომპონენტისთვი (საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო);

დანართი №5 - პროგრამის ბიუჯეტი - საექთნო განათლება;

დანართი №6 - - პროგრამის ბიუჯეტი - ფარმაცია (სააფთიაქო);

დანართი №7 - მტკიცებულება 2.4 კომპონენტისათვის (საექთნო განათლება და ფარმაცია (სააფთიაქო);

დანართი №8 - მტკიცებულება 2.2 კომპონენტისთვის (ფარმაცია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2022)